

ვლადიმერ მაიაკოვსკი

შარვლიანი ღრუბელი

ტიტრაკტიქი

კოემა

თარგმნა ვახტანგ ჯავახიძემ

პროლოგი

თქვენი აზრები,
ქარაფშუტა თქვენი აზრები,
როგორც გაქონილ სავარძელში ტლანქი ლაქია,
გავაბრაზო და გავამასხრო უნდა სავსებით, —
კადნიერი ვარ და არც მწარე გესლი მაკლია.

სულს არ მიმბიძებს ღერი ჭაღარაც,
არ მიმღერია ჯერ სიბერის ნაზი არია.
ჩემმა გუგუნმა ცა და მიწა შეაზანზარა,
ოცდაორის ვარ, —
მოვდივარ და მომიხარია.

ნაზებო!
აქებთ თქვენ სიყვარულს ვიოლინოზე,
დაფდაფით უყვართ სიყვარულის ქება უხეშებს.
მაგრამ არ გშველით არც სიტლანქე და არც სინაზე, —
ჩემსავით ვერვის ვერ ანუგეშებთ!

მოდით, ისწავლეთ, —
ანგელოზთა პანთეონიდან
მოდით, გამოსცდით სასტუმროთა კედლებს და ფუძეს.

დგას ჩინოსანი ჩინოვნიკის დინჯი ცოლი და
საკუთარ ტუჩებს საოჯახო წიგნივით ფურცლავს.

გნებავთ —
მექნება ბრაზიანი ხმა და იერი,
გნებავთ —
ცასავით ფერს შევიცვლი თავისუფალი,
და მე ვიქნები უნაზესი,
კაცი კი არა,
კაცი კი არა — შარვლიანი თეთრი ღრუბელი.

ლამაზი ნიცა არასოდეს არ მიტაცებდა!
მე კვლავ ვადიდებ და არ ვაკლებ ქებას და ალერსს —
ლაზარეთივით ჩაღამებულ მამაკაცებს და
ანდაზასავით გაცვეთილ ქალებს.

1

დიახ, ეს მოხდა ოდესაში.

ახლა ცხადია,
ეს არ ყოფილა არც ბოდვა და არც მალარია.

ოთხზე მოვალო, — მითხრა მარიამ.

დაიგვიანა.

უკვე

ათია.

მოდის დეკემბრის საღამო და
ფანჯრის მინებზე
ღამე იღვრება,
საშიში და
გულისწამლები.

ღამის წიაღში ხითხითებენ და ჭიხვინებენ
დიდი ჭალები.

ახლა ვერც მიცნობთ:
მომერია დარდი უდარდელს,
ლოდივით ტანი
ვერ ამომაქვს
ჭირ-ვარამიდან.
ლოდს ამოდენას ნეტავ რაღა უნდა უნდოდეს?
ლოდს კი ძალიან ბევრი რამ უნდა!

ბრინჯაოს სხეულს შემაჩვია
მკაცრმა თარიღმა,
გულიც გაცივდა—დაჰკარგვია ძველი ხალისი.
მინდა გავხადო საკუთარი ხმა
უფრო რბილი და
უფრო ფაქიზი.

და აი,
ვდგავარ სარკმელთან და
ველი მომავალს,
შუბლით მინაზე მიმაბჯინეს მძიმე ფიქრებმა.
ნეტავ
მომელის სიყვარული თუ არ მომელის?
ნეტავ
პატარა იქნება თუ დიდი იქნება?
ასე პატარა დიდ სიყვარულს როგორ მომიტანს,—
წყნარი იქნება,
პატარა და სხვაზე ნაკლები, —
რომელიც საყვირს ერიდება ავტომობილთა
და ენატრება ზანზალაკები.

ისევ და ისევ,
შეხიზნული
წვიმის კარავში,
ველი,
მასველებს ნიაღვარი უანკარესი.

წამოეწია შუალამე
მკაცრი და ავი,
წამოეწია,
მოუქნია ნაჯახი მყისვე!
და ჩამოვარდა მეთორმეტე საათი ისე,
როგორც სიკვდილით დასჯილის თავი.

მინებს აწყდება ლეგა წვიმა
შესაბრალისი,
მანჭავს ვეება სახეს ვნებიანს
და ისე ღმუის,
თითქოს პარიზის
ღვთისმშობლის ტაძრის ქიმერები იღრინებიან.

კმარა, წყეულო!
ვიწვალე ბევრი,
ნუ ამომავდებ კალაპოტიდან!

უცებ
მომესმა:

გადმოხტა ნერვი,
ვით ლოგინიდან
ავადმყოფი და, —
ჯერ გაიარა,
მერე შეხტა,
შეითამაშა,
აღტაცებულმა გაირბინა
კონტად, ლამაზად,
ორი სხვაც აჰყვა,
აიწყვიტეს უცებ სადავე
და ბუქნაობენ ახლა სამთავე.

ქვედა სართულზე ჩამოვარდა მძიმე ბათქაში.

პატარა ნერვი,
დიდი ნერვი,
ნერვი ათასი! —
დახტის და
დახტის
შეუსვენებლივ,
და ფეხზე ველარ დგანან ნერვები.

ჩემი ოთახი ამოავსო ღამემ მთლიანად,
თვალი დამძიმდა და ამოდ ბნელში ფათურობს.

კარებმა ისე გაიღრჭიალა,
თითქოს ერთმანეთს ვერ ახვედრებს
კბილებს სასტუმრო.

შენ შემოხვედი,
მკაცრი და ფიცხი,
ტყავის ხელთათმანს აწვალედი და შეშფოთებით—
კი არ მითხარი —
მომახალე:
„იცით —
ვთხოვდები!“

გათხოვდი.
რა ვქნა?!
მეც გავხდები უფრო გულცივი.
ხედავთ — მშვიდი ვარ!—
ცხედრის
პულსივით.

გახსოვთ?
აქებდით მაშინ

ჯეკ ლონდონს,
ფულებს,
სიყვარულს,
ვნებას,
ძიებას, —
მე კი მჯეროდა:
თქვენ იყავით ტურფა ჯოკონდა,
რომელიც უნდა მოიტაცონ აუცილებლად!

და მოიტაცეს.

კვლავ ავყვები გულის ხვაშიადს,
კვლავ ავენტები სიყვარულით განაწამები.
არაფერია!
დამწვარ სახლშიაც
ცხოვრობენ ზოგჯერ უსახლკარო მაწანწალები!
მალიზიანებთ?
„თქვენი ადლი მათხოვრის არშინს
ვერ გასწვდებო მაინც ბოლომდე“.
დაიმახსოვრეთ!
დაილუპა პომპეი მაშინ,
როცა ვეზუვი გააბოროტეს!

ვაჟბატონებო!
თქვენ
გიტაცებთ
დაუნდობელი
ჩხუბი,
სისხლისღვრა
მთელი ქვეყნის დასანახავად, —
მაგრამ
გინახავთ უარესი —
ჩემი პროფილი,
როცა
სრულიად
მშვიდი გახლავართ?

ველარ ვისვენებ —
თითქოს
კანში ველარ ვეტევი,
ვიღაც გამორბის
ჩემში — ჩემგან თავგამეტებით.

A!lo!
ვინ რეკავს?

ვინ არის ნეტავ?
დედა ხარ?
დედა!

ვერ არის კარგად თქვენი ვაჟი!
ოხრავს მუდარით.
გულის ხანძარში იფერფლება
მისი ოცნება.
ოლიასა და ლუდას უთხარით,
ღებმაც იცოდნენ, —
ველარ მორჩება.
ტუჩებზე დალი დასტყობია უღიმღამობის,
და ყოველ სიტყვას ისე ანთხევს,
ისე წარმოთქვამს, —
ოითქოს შიშველი კახბა გამორბის
ცეცხლმოკიდებულ სამეძაოდან.

ხალხმა იყნოსა დამწვრის სუნნი,
უხმო მუდარით
და შემოცვივდნენ
ჩაფხუტები
უელვარესი!
ჩექმებით არა! —
მეხანძრეებს ასე უთხარით, —
ფრთხილად ავიდნენ ცეცხლმოკიდებულ გულზე ალერსით.
ეს მე ვარ თვითონ.
ველარ ვაცხრობ მზერას დამუხტულს.
ნეკნებს ვეყრდნობი,
მარტო ვრჩები შიშველ სურვილთან:
უნდა ამოვხტე!
უსათუოდ უნდა ამოვხტე!
ვერა!
ვერასდროს ამოხტები თურმე გულიდან!

დამწვარმა კოცნამ
ბაგეების ჭრილი დატოვა
და მოემზადა გადმოსახტომად.

დედა!
როგორღა ვიგალობო ნაცნობ კილოზე,
გულის საყდარში იწვის კლიროსი!

თავის ქალიდან
სიტყვათა და რიცხვთა კრებული
გამორბის,
როგორც ხანძრიდან ბავშვი.

ასე იწევდნენ ალბათ ცისკენ
ცეცხლმოღებული
„ლუზიტანიის“
ხელები მაშინ.

ნავსადგურიდან გამოქცეულ
ცხრათვალა აისს
სურს — მიეშველოს ხალხის ელდას განუკურნებელს.
უკანასკნელო შეკვივლებავ,
შენ ერთმა მაინც
გადააკვნესე ჩემი დარდი საუკუნეებს!

2

მადიდეთ!
დღეებს შევეჩვიე უშელავათოს.
მე წავაწერე
ყველაფერს „nihil“.*

თავს არ ვიწუხებ
კითხვით არასდროს,
წიგნის წაკითხვაც
არაფრად მიღირს!

მეგონა —
ასე კეთდება წიგნი:
მოვა პოეტი,
არ სჭირდება ბევრი მუდარა,
პირს დააღებს და ამღერდება აგზნებით იგი —
და ამის მეტი არა უნდა რა.
ვიდრე იმღერებს,
თურმე ბევრჯერ დაყრის ფარ-ხმალსაც,
დახეტილობს უჩანგო და უდაფდაფო და —
გულის ჭაობში უხმოდ ფართხალებს
წარმოსახვათა უგუნური თევზი — ნაფოტა.
და ვიდრე ლექსში რომელიღაც შეჭამადს ხარშავს,
სიყვარულზე და ბუღბუღებზე ჰყვება არაკებს, —
უენო ქურა იკრუნჩხება, ვერ იღებს ხმასაც,
უენომ როგორ იყვიროს და ილაპარაკოს?!
ჩვენ კი ზვიადი სიამაყე გვალაპარაკებს,
ისევ ქალაქთა ბაბილონის გოდოლებს ვაგებთ,
მაგრამ უფალი
ანგრევს ქალაქებს

* „არარა“ (ლათ.).

და ენებს ჟრევს
განზრახ და განგებ.

იტანჯებოდა ქურა უხმოდ, კვნესის გარეშე,
ყვირილიც აღარ შეეძლო მეტი:
ყელში გაჩროდა უანგარიშო
დონდლო taxi და გამხდარი ეტლი.
ქუსლებმა ქურა
ჭლექზე უფრო მეტად დაცხრილეს.

ქალაქის მწუხრმა გადაკეტა გზები ნახევრად.

კარიბჭე მაინც ამოაგდო,
ყელში გაჩრილი,
ქურამ და
როცა ზედახორაც ამოახველა,
მეგონა:
მთავარანგელოზის ფეეება ქოროს
განსაკითხავად განძარცული ეწვია ღმერთი!

ქურა კი ჩაჯდა და ხმამაღლა იყვირა ბოლოს:
„წავიდეთ, კარგად გამოვძღეთ ერთი!“

გრიმს უკეთებენ —
დიდ კრუპებს და პატარა კრუპებს
უნდათ —
ქალაქი ათამაშონ მრისხანე როლში, —
პირში კი
ლეში სიტყვებისა იხრწნება უკვე
და სუნთქავს მხოლოდ ორად ორი მსუქანი სიტყვა—
ერთია „ფლიდი“,
უნდა იყოს
მეორე — „ბორში“.

ატირებული პოეტები უცებ უმწეოდ
გაიქცნენ,
ქურა მიატოვეს,
კვნესოდნენ ლამის:
„ამ ორი სიტყვით გულმოდგინედ როგორ ვუმღეროთ
ქალს,
სიყვარულს და
დანამულ ყვავილს?“

პოეტებს მიჰყვნენ,
მიატოვეს ქურის ცხოვრება:
იჯარადრებმა,

სტუდენტებმა,
პროსტიტუტკებმა.

წუთით შეჩერდით, ბატონებო!
თქვენ მათხოვრები
არ ხართ და
არ გაქვთ ნასუფრალის თხოვნის უფლება!

ყოველ ჩვენთაგანს,
ახოვანს და ფართომხრებიანს,
მე მოვუწოდებ,
რათა თავზე რისხვად დაეცეს —
მათ,
ვინც უფასო დამატებად ეტმასნებიან
ორსაწოლიან ყოველ სარეცელს!

რად გვინდა
მათი სამოწყალო ჰიმნი და ლექსი,
რას გვეტყვის
მათი გონება და მათი გუნება?!
შემოქმედები თვითონა ვართ,
როდესაც გვესმის
ქარხნებისა და ფაბრიკების აგუგუნება.

მეფისტოფელთან
და ფაუსტთან რა მესაქმება, —
ვერ აუკრძალავს ცის პარკეტზე სრიალს დუშმანიც!
ვიცი —
გოეთეს ფანტაზია უფრო ნაკლებად
კომმარულია,
ვიდრე ჩემი ჩექმის ლურსმანი!

ოქროპირი ვარ,
ოქროპირის ფილოსოფიას
სულსა და სხეულს
ვუდასტურებ
სიტყვით აგრეთვე,
ცოცხალი არსის უმცირესი მტვერი სჯობია
ყველაფერს,
რაც მე გავაკეთე
და გავაკეთებ!
ყური დაუგდეთ!
დღეს ქადაგებს
უჯანსაღესი
ახალი დროის ზარატუსტრა თავის იდეას!
ჩვენ სახე გვიგავს ნახმარ ზეწარს,

ხოლო სახეზე
ტურები ჭადის მსგავსად ჰკიდია.
ჩვენა ვართ
ქალაქ-ლეპროზორის კატორღელები,
ოქრომ და კეთრმა დაგვიკარგა თუმცა ლაზათი,—
უფრო სუფთა ვართ,
ვიდრე მზისა და ზღვის ხელებით
ტანგაბანილი ვენეციის წმინდა ლაჟვარდი!

რა მოხდა,
არ ჰყავთ ჩვენისთანა გამურულები
ჰომეროსებს
და ოვიდიუსებს?!
მზეს რომ ეხილა
ოქროები ჩვენი სულების,
უარს იტყოდა თავის შუქზე მარადიულზე!

ჩვენ მოწყალებას არ მოვითხოვთ, —
მაშასადამე,
ლოცვაზე მეტად ძარღვებსა და კუნთებს ვენდობით!
ხელში
გვიპყრია
ყველა სადავე
და ქვეყნებს ვმართავთ ამძრავ ღვედებით.
ასე მოსკოვის, პეტროგრადის, კიევისა და
ოდესის აუდიტორიის გოლგოთა გვერგო,
ყველა ყვიროდა,
ყველა იძახდა
ერთხმად:
„ჯვარს აცვი,
ჯვარს აცვი ეგე!“

მაინც მიყვარხართ
ურწმუნო დროში,
მაინც
ვივიწყებ წყენას და ცრემლებს.

გინახავთ:
როგორ ლოკავს და ლოშნის
ნაგაზი ხელებს, რომლებიც სცემენ;


დღეის თაობა
ჩემს ცხოვრებას და ჩემს მომავალს
აბუჩად იგდებს,
როგორც გრძელ და უხამს ანეგდოტს, —
მაგრამ მე ვხედავ შორეთიდან ჩვენკენ მომავალს,
რომელსაც ვერვინ ამჩნევს საერთოდ.

მოუძღვის მშვიერ ურდოს გუგუნით,
სადაც ვერ სწვდება მზერა ვერც ერთი,
რევოლუციის ეკლის გვირგვინით
მოდის მქუხარე ცხრაას თექვსმეტი.

მისი მაცნე ვარ, ბედმა მალღრსა,
წამების გზებით მოველ აქამდის,
ცრემლის ყოველი წვეთის დაღვრისას
საკუთარ სხეულს ჯვარზე ვაკრავდი.
ნურვინ მოელის შენდობას კიდევ,
დავდაღე სული—ნაზი ნიადაგ,
ეს უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე
აღება ათას ბასტილიათა!

თქვენ კი,
როდესაც ამბობდებით
და მხსნელს უზადოს
შეეგებებით,
რომ დალოცოთ მისი მისია, —
სულს ამოგართმევთ,
ფეხით გავსრეს,
რომ გაიზარდოს! —
და ჩაგაბარებთ ისე,
როგორც დროშას სისხლიანს.

დასასრული შემდეგ ნომერში



24

კალენბინ კატაევი

წყარო უკვდავებისა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნეს თამარ ჩიჯავაძემ და შოთა ნიშნიანიძემ

რომც არ იცოდე, თუ ვინ დაწერა ან როდის დაწერა ეს წიგნი, წაიკითხავ და უთუოდ მიხვდები, ეს კატაევის კალმით შექმნილი და მისი თვალთ დანახული ამბებია. კატაევს ხომ გასაოცარი ალღო აქვს დროის შეგრძნებისა. ეს კი ხელოვნებაში დიდი ნიჭია, უკეთ, დიდებული თვისება ყოველი ნიჭისა.

„წყარო უკვდავებისა“ მხატვრული ავტობიოგრაფია გახლავთ, სამოცდაათი წლის მწერლის მიერ გასაოცარი სიღალით დაწერილი, გასაოცარი „მუსიკალობით“ აწყობილი; ხან შენელებული, ხან აჩქარებული თხრობა ამბებისა, რიტმი, პაუზები ქმნის თავისებურ „კონტრაპუნქტს“, სადაც ორი თემა პარალელურად მისდევს ერთმანეთს...

და მაინც ამ წიგნს მემუარები არ დაერქმევა. რამეთუ ისეთი მხატვრული სახეებით, მხოლოდ ლირიკულ პოეზიას რომ სჩვევია, ჩვენ წინ ცოცხლდება არცთუ შორეული წარსული, ავტორის ჭაბუკური გატაცებანი, დანახული უკვე მომწიფებული შემოქმედის თვალთ, ვისთვისაც ესოდენ დიდი გამოცდილება მიუცია ცხოვრებასა და ლიტერატურას.

კატაევის ხელოვნება ამ უჩვეულო, გასაოცარ წიგნში — ეს მოგონებების გაცოცხლების ხელოვნებაა. აქ მწერალი ამბავს ისე კი არ გადმოგვცემს, როგორც მისთვის მეხსიერებას შემოუნახავს, არამედ თითქოს ხელახლა ხედავს, ხელახლა ძერწავს და პროზად აქცევს მას, არჩევს, უმატებს ათას წვრილმანს, პოულობს სიტყვის მარგალიტებს და ქმნის ბრწყინვალე სურათს გარდასული ამბებისა.

ირაკლი ანდრონიკაშვილი

ცხოვრების განუწყვეტელმა ორომტრიალმა და ფუსფუსმა უკვე დიდი ხანია გადაგვაჩვია და აღარ გვაოცებს გარემოს მრავალფეროვნება, მაგრამ საკმარისია თუნდაც ერთი დღით მოვწყდეთ მიწიურ ფუსფუსს, მაშინვე შევიგრძნობთ, რომ სამყაროს განვეკუთვნებით, სხვანაირად რომ ვთქვათ,

მარადიული სინორჩისა და ყოფიერების სიახლის გრძნობა დაგვიბრუნდეს.

საგნები გაახლდებიან და იძენენ სულ სხვა, ზენაარ აზრს. ავიღოთ, მაგალითად, ყვავილი, ამ წუთში თვალწინ რომ მიდგას. ტყუილა როდი მივაქციე მას ყურადღება. მე დიდი ხანია მალეღვებდა მისი გარეგნობა.

ასე ბურქ-ბურქად იზრდება ხოლმე მანჭკვალა სოკოც. ეს არის ბუდე გრძელი ღეროებისა, ერთი ძირიდან რომ ამოყრილან. ისინი სოსისებს, მოყინულ თითებს თუ ქორფა, ბოლოდაკვერილ სტაფილოს კონას ჰგვანან. შემდეგ გაიზრდებიან, ნარინჯისა და შაფრანის ფერს წითლით შეიცვლიან, ბოლოები დაუსკდებათ და გვირგვინივით გაიშლებიან. მაგრამ ისინი ესოდენ გავრცელებული ხუჭუჭა გრამაფონები როდი არიან. არც რაიმე აქვთ მათთან საერთო. მათი მოგრძო სხეულები — პატარა, ვიწრო ზარები მომრგვალებული პირით, ირგვლივ რომ ფურცლები შემოხვევია — მწიფე ჭერმისფრად ჭახჭახებენ, ყვავილის გულში კი თითქოს ავად ბრიალებს ცეცხლი და იქითკენ მონუსხულივით მიღოღავენ სიკვდილმისჯილი მწერები.

ეს ბუდასეული წითელი ფერია.

ისინი სწრაფად იზრდებიან, სწრაფადვე ჭკნებიან და მერმე წყდებიან ხოლმე ყვავილის მომწიფებულ ღეროს. რჩება მისგან მხოლოდ ნახევრად გამჭვირვალე სხეული, ბლანტი წვეთივით რომ შერჩენია ზედ პაწაწინა მწვანე ბუტკო.

ჰოდა, მუშაობის ნაცვლად ყვავილებს ვაკვირდები. მიხარია, რომ ისინი უამრავ საგანს მაგონებს, სხვათა შორის რძის ბოთლებზე ჩამოცმულ ოდნავ გამჭვირვალე რეზინის საწოვარებსაც. მერე მეზადის საძებნელად მივდივარ, მცენარის სახელი მინდა გავიგო. ჩემი ფიქრები ამ სულელურ საკითხს დასტრიალებენ. მართლაც და სულ ერთი არ არის, რა ერქმევა ამ ნაცნობ მცენარეს, ასე რომ გამაწამა. მისი ღონიერი ხვიარა ღეროები ვერანდის ბოძებს მოჰყვება და ყოველთვის თითქოს განზრახ ღამობს შაფრანისფერი ყვავილი პირსახეზე მომადოს. ეს ყვავილი რაღაც მნიშვნელოვანსა და ძვირფასს მახსენებს, ამასთანავე იმასაც ვამჩნევ, რომ ამ ყვავილეთში ყველა ასაკის ყვავილია: პატარა, ზრდადაუსრულებელი, რკოსავით ციცქნანი, შინდისფრად გადაფურჩქნული ხავერდოვანი ღამაზმანები — ყვავილდედოფლები და ბოლოს მიცვალებული ყვავილები. მათ გახუნებულ, ცარიელ შალითებს სიდამპლის შემზარავი ყავისფერი გადაუკრავს. მთელი მტევანი, მთელი მათი ოჯახი კი, ცოცხლებიცა და მკვდრებიც, პარალელურად მისდევენ ტერასის მოაჯირს და თითქოს ყველას ერთ მხარეს მიუქცევია პირი — ჩამავალი მზისაკენ, მთიან ჰორიზონტს რომ შეხებია უკვე.

მეზადემ მითხრა, მცენარეს „ბიგნონია« ჰქვიაო. მით უკეთესი.

მტვრიანი ბურქიდან გრძელმა გაფოთლილმა ჰორიზონტალურმა ტოტმა გამოყო თავი, ყვავილეთი გამომიწოდა, პიერეტას სამასკარადო ჩაჩივით

ვალენტინ კატაევი

დიდი ყვავილი თვალებთან მომიტანა, და უეცრად გამახსენდა: ზუსტად ასეთივე ივლისის ხვატიანი დილა, კოვალევსკის კოშკი, ღია ვერანდა და თაბაშირის პომპეუსისეული ლარნაკები. ეს ლარნაკები მაშინ რატომღაც მარმარილოსად აღვიქვი, აგარაკი კი მხატვარ სემირადსკის სტილის ძველ რომაულ ვილად, ხოლო არცთუ ღამაში შავი ზღვის პატარა ზოლი, საიდანაც მოცურავეთა ყივილ-ხივილი აღწევდა, ნეაპოლის ალაპლაპებულ ყურედ წარმომიდგა, სადაც წითელი აფრები დასრიალებდნენ. მე იქ უნდა მეხილა კაცი, ვის ნიჭსაც ქედს ვუხრიდი და ვინც თითქმის ზღაპრულ ქმნილებად მესახებოდა.

— ვანია, შენ გკითხულობენ! — დაიძახა მსუქანმა კაცმა მოსკოვურ კილოზე.

მაშინვე მივხვდი, იგი ივან ალექსანდროვიჩის უფროსი ძმა იყო, პედაგოგიურ თემებზე რომ სწერდა ხოლმე.

— ვინ არიან? — მოგვესმა ხმა კარს უკან.

— ახალგაზრდა პოეტები.

— ახლავე.

ტერასის ზღურბლზე თვითონ აკადემიკოსი ბუნიინი გამოჩნდა, იგი საზღვარგარეთული პიჯაკის ღილებს იკრავდა. თვალი შეგვავლო და გაუჩინარდა, ერთი წუთის შემდეგ უკვე ჩაცმული გამოვიდა, სხვანაირი ნაბიჯით.

ბევრსა აქვს აღწერილი ბუნიინის გარეგნობა. მე მგონი, ყველაზე უკეთ ანდრეი ბელის გამოუვიდა. კონდორის პროფილი, თითქოს ნამტირალევი თვალები და ასე შემდეგ, უფრო დაწვრილებით აღარ მახსოვს.

ისიც გამეგონა, ბუნიინს მშვენიერი ცისფერი თვალები აქვსო, მაგრამ ეს ვერ შევნიშნე, თუმცა იქნებ ასეც იყო.

ჩვენ წინ იდგა ორმოცი წლის ბატონკაცი—ხმელ-ხმელი, ფერმკრთალი და მოხდენილი— კაზმული სიტყვიერების დარგში საპატიო აკადემიკოსის შარავანდედით მოსილი. შემდეგში მივხვდი, რომ ეს ფერნაკლულობა უფრო ჰემოროიდული იყო, მაგრამ ეს არსებითი არაა.

კარგად შეკერილი შარვალი. დაბალყელიანი ყვითელი სქელლანჩა ინგლისური წალები; მუქი ქერა წვერი, როგორც მწერლებს აქვთ, ოღონდ უფრო მოვლილი და წაწვეტილი, ვიდრე ჩეხოვს ჰქონდა, ფრანგულ ყაიდაზე. ტყუილა როდი ეძახდა ხოლმე ჩეხოვი ხუმრობით ბატონ ბუკიშონს. პენსნეც ჩეხოვისებური ჰქონდა, ფოლადისა. მაგრამ ცხვირზე არ ეკეთა, ორად მოკეცილი ნახევრად სპორტული ჟაკეტის გულის ჯიბეში ედო (ჟაკეტი შესაძლოა კუბოკრულიც იყო).

მაღალი, განამებული საყელო, ღილისფერ ჰალსტუხზე ფართოდ გადაკეცილი, წკვერტები რომ ბრისტოლის საუკეთესო მუყაოს სავიზიტო ბართის კუთხეებს უგავდა. ოციან წლებში უსათუოდ ასე დავწერდი: ბრისტოლის საყელო-მეთქი. მაშინ ამას ჩვენში ეპითეტის გადატანას ვეძახდით. მგონი, მე თვითონ გამოვიგონე ეს ლიტერატურული ფანდი და ძაან ბოროტადაც გამოვიყენე, რაღაც ინვერსიის მსგავსად. ასე იყო, ძმებო!

მაგრამ ჰოი, რა შორს იყო ჯერ ოციანი წლები, ღამის მთელი საუკუნით შორს!

ახლა ასე წერისა მრცხვენია, დავბერდი, დავდინჯდი. დროა, სულზეც ვიფიქრო, მოვისტი¹ გავხდი.

ბუნიმა გოროზად შემოგვხედა და შორიდან გამოგვიწოდა ხელები, ერთი მე, მეორე ვოვკა დიტრისშტეინს. მაგრამ ხელის ჩამოსართმევად კი არა, ლექსები გამოგვართვა.

ვოვკა დიდერიკსიც, ან როგორც ის აწერდა ხოლმე ხელს — ვლ. ფონ დიტრისშტეინი, ახალგაზრდა პოეტი იყო, მაგრამ ჩემზე გაცილებით უფროსი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი მდიდარი სტუდენტი: კრემისფერი თივთიკის შარვალი, ჭრელი პიჯაკი, ჭილის ფარფლებიანი ქუდი; მსხვილი ოქროს ბეჭედი საგვარეულო გერბით, თეთრგვრემანი მაიმუნის სახე და მეჩხერი კბილები. ტიპიური უკანასკნელი ნაშიერი.

ბუნიმის გამჭვალავი მზერით მონუსხულებმა ჩვენი თხზულებანი ხელში მივაჩიქეთ. ვოვკამ თავის ხარჯზე იმხანად ახლად დაბეჭდილი დეკადენტური ლექსების წიგნი მიაწოდა — ჭვირნიშნიან ვერყეს ქალაღზე დაბეჭდილი, ყდა ორფეროვანი. წიგნს „მჭკნარი გვირგვინი“ ერქვა. მე კი მაგრად შემოჭერილი გიმნაზიელის ბალტიან ქამრიდან საერთო რვეული დავაძვრე.

ბუნიმა მაგრად ჩაავლო თითები ჩვენს თხზულებებს და გვითხრა, ორ კვირაში მომაკითხეთო. თავაზიანად დაგვიკრა თავი, გვაგრძნობინა, რომ აუდიენცია დამთავრებული იყო, და გაგვშორდა. მისმა ძმამ, იულიმ კი გვითხრა: ვანია სტუმრად მიიჩქარისო, და ბალის ბილიკზე ჩამავალ ქვის ტერასის საფეხურებამდე მიგვაცილა. ბილიკზე, ოდესის ყველა აგარაკის ბილიკების მსგავსად, მტვრიანი ხრეში იყო მოყრილი.

ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ზუსტად იმავე დროს ისევ ქვისფილებიან ნაცნობ ტერასაზე ვიდექით. მოაჯირიდან მუქ-ნარინჯისფერ კუნწულა ყვავილს გვიწვდიდა მცენარე, რომლის სახელიც მაშინ არ ვიცოდი და მხოლოდ ორმოცდაათი წლის შემდეგ გავიგე.

— ვანია, გკითხულობენ, — დაიძახა მსუქანმა კაცმა.

— ვინ არიან? — მოგვესმა გაგულისებული ხმა.

— ახალგაზრდა პოეტები.

— ახლავე.

შემინულ კარებში მაშინდელივით ხელებგამოწვდილი ბუნიმი გამოჩნდა და თხზულებანი გამოგვიწოდა, თან არც შემცდარა — ვოვკა დიტრისშტეინს თავისი წიგნი გაუწოდა, მე კი ჩემი რვეული.

— წავიკითხე თქვენი ლექსები, — თქვა ექიმივით მკაცრად და მეტი ყურადღება ვოვკას მიაქცია, რაც, ცოტა არ იყოს, გულზე მომხვდა. ამან კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჩემი ვარაუდი — თუკი სადმე ვარ, თუნდაც სულ პატარა თავყრილობაში, ან სრულებით ვერ მამჩნევენ, ან სულ ბოლოს შემამჩნევენ ხოლმე. ასეთი ბედი მაქვს. — აბა, რა გითხრათ, სახეიროს ვერაფერს გეტყვით, პირადად ჩემთვის ასეთი პოეზია უცხოა.

ვოვკამ სულელურად, მაგრამ დიდგულად გაიღიმა.

— თქვენ, — განაგრძობდა ბუნიმი, — რომელიმე დეკადენტისთვის უნდა მიგემართათ, მაგალითად, ბალმონტისათვის, მე კი, აბა, მე რა უნდა გითხრათ... მიჭირს. მანერულია, გაბრანჭული, გაურკვეველი, ბუნდოვანი და ბოლოს, უბრალოდ, რუსული ლექსი არაა...

¹ mauvais — ცუდი (ფრანგ.).

— კი მაგრამ, ნუთუ თქვენ გონებაშიღმურ პოეზიას არ აღიარებთ? — მედიდურად შეაწყვეტინა ვოვკამ და უფორმო, დანერწყვილი ტურები გაილოკა, — ახლა ამას ბევრი აღიარებს.

— შეიძლება, მაგრამ, ჩემი აზრით, რაკი იგი გონებაშიღმურია, მაშასადამე, გონების გარეშე დგას, ესე იგი, სისულელეა, — თქვა ბუნინმა.

მე სინარულით ავცახცახდი, ჩემი თანდასწრებით რომ ნამდვილი ლიტერატურული აფორიზმი დაიბადა, მაგრამ არ დავბნეულვარ და მაშინვე გავუწოდე ბუნინს წინა დღით ნაყიდი მისი დიდი რუხი პასპარტუმიანი ყავისფერი ფოტოსურათი. სურათში ვერცხლის მანეთიანი მივეცი ფოტოგრაფს, რომელსაც რეკლამისათვის ჰქონდა იგი გამოფენილი თავისი ატელიეს ვიტრინაში. ატელიე რიშელიეს ქუჩაზე იყო, ყვითელი აგურით ნაგებ მავრიტანული სტილის ოდესის ცნობილ ხუთსართულიან ცათამბჯენში.

სურათზე, პაპიროსის ქალაღდის ქვეშ, ფატიან საპატარძლოსავით ჩანდა ბუნინის სახე. იგი ოღნავ გვერდულად იჯდა ბალის რკინის სავარძელში. გამხდარი თითები იდაყვებისთვის ჩაევლო და ერთმანეთზე გადადებული ფეხები ისე გაეშვირა პირდაპირ მაყურებლისკენ, რომ საზღვარგარეთული დაბალყელიანი წაღები უჩვეულოდ დიდი ჩანდა, ხოლო სქელი ლანჩა და გაბანტული ტყავის ზონრები მყის თვალში გეცემოდა, მაშინ როცა აკადემიკოსის თავი, ლამაზი, თავადიშვილური კეფა გაცილებით პატარა მოჩანდა, ვიდრე მე მსურდა. ის კი არა და ბალის ხრეშიც კი გაცილებით გამოკვეთილი გახლდათ წინა პლანზე, ვიდრე სხვა დანარჩენი აქსესუარები.

ეს სურათი რომ დავინახე, შინ გავვარდი და ლამის ცრემლებით გამოვცინცლე დეიდაჩემს მანეთიანი, უნიჭო, მაგრამ ეშმაკმა ფოტოგრაფმა რომ მომთხვავა. ალბათ მიხვდა, დედაქალაქის გამორჩენილი პიროვნების თაყვანისმცემელ ახალგაზრდა პოეტთან რომ ჰქონდა საქმე.

მე გაყვითლებული გაზეთის ქალაღდიდან სურათი ამოვიღე და ბუნინს გავუწოდე.

— სამახსოვროდ გინდათ რამე წავაწერო? — გულცივად მკითხა ბუნინმა, მაგრამ შევატყვე, რომ ესიამოვნა ჩემი დამორცხვება და თავისი სურათიც, რომელსაც ცერად გახედა და, მგონი, მაშინვე შეამჩნია, რა პროვინციალურიც იყო ყველაფერი, რუხი პასპარტუმიდან დაწყებული მესამე ხარისხის პაპიროსის ქალაღდით გათავებული, — მაგრამ რა წაგიწეროთ? აი, რა არის საკითხავი.

— თუ შეიძლება ის წააწერეთ, რაც ახლა თქვით.

— რა ვთქვი? — გაუკვირდა ბუნინს.

— თქვენ თქვით, რომ გონებისმიღმური სისულელეაო.

— განა ეს მე ვთქვი?

— დიახ, თქვით.

ბუნინი წუთით ჩაფიქრდა, მაგრამ მაშინვე ამოიღო ჟაკეტის გულის ჯიბიდან ავტოკალამი, რაც მაშინ დიდი სიახლე იყო, და თავი მოხსნა.

— თქვენი სახელი, გეთაყვა?

მე ვუთხარი.

.სურათი თაბაშირის მოაჯირზე დადო და შედარებით თავისუფალ მარცხენა კუთხეში გარკვეულად წააწერა:

„ვალენტინ კატაევს. გონებასმილმური სისულელეა. ივ. ბუნინი“.

მე აღტაცებული ვიყავი, ვოვკა დიტრისშტეინი კი ბრაზისაგან სველ ტუჩებს იკვნეტდა. წყევლიდა თავის თავს, ბუნინის სურათის ყიდვა რომ ვერ მოიფიქრა.

.ყველაზე მეტად ბუნინის ხელმოწერაში დიდი ასო „ბ“ მომეწონა. ამ ასოს ზედა ნაწილი დასაწყისში საოცრად მსხვილი იყო, შემდეგ წვრილდებოდა და ეგვიპტურ ლურსმულ ასოს თუ ჰორიზონტალურად დასმულ ძანლის ნიშანს ან კიდევ ბოლოკის კუდს ემსგავსებოდა. იმაზე აღარაფერს ვიტყვი, რა საამაყო იყო ცნობილი მწერლის ხელით დაწერილი ჩემი სახელის ცქერა.

ამჟამად ტერასის კიბემდე მიგვაცილა ბუნინმა, გამომშვიდობებისას მაგრად ჩამოგვართვა ხელი, ჯერ ვოვკას, მერე მე და აი, მაშინ მოხდა სასწაული, პირველი სასწაული ჩემს ცხოვრებაში.

როცა ვოვკა დიტრისშტეინი კიბეზე ჩადიოდა, ბუნინმა გიმნაზიური ქურთუკის სახელოზე შემახო ხელი და ჩუმად, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— შემოიარეთ როგორმე ამ დღეებში, დილით. ვისაუბროთ.

ეს თქვა, ფრთხილად გამომადრო ილლიდან ჩემი ლექსების რვეული და ზურგს უკან დამალა.

ადვილი წარმოსადგენია, რა სატანჯველში ვიყავი ის ოთხი თუ ხუთი დღე. ზრდილობამ და სირცხვილმა შემაკავა, რომ მეორე დღესვე არ გავქცეულიყავი ბუნინთან.

ჰოდა, ერთ დილას, როგორც იქნა, გამაქროლა ქალაქგარეთ კოვალევსკის აგარაკისაკენ ელექტროტრამვაის ცარიელმა ვაგონმა, ლერწმებისაგან დაწნული ასაკეცი დივნები რომ ჰქონდა. მარცხენა მხარეს, ფლატეებს მიღმა, დამტვერილი სიმწვანიდან ხან გამორჩნდებოდა და ხან ისევ თვალს ეფარებოდა ზღვა. მარჯვნივ მზესუმზირის ჩენჩოთი მოფენილი აგარაკების ციციქნა ეზოები, გამაგრებულ სასმელების ჯიხურები, საფუნთუშეები და საფოსტო განყოფილებები მოჩანდა, ის კი არა და, ერთ ადგილას საზაფხულო თეატრიც კი დავლანდე, შესასვლელის თავზე რომ თაბაშირის ლირა ედგა. იქ აწყობდნენ თეატრის მოყვარულები სპექტაკლებს. მისრიალებდა ტრამვაის გორგოლაჭი სპილენძის მავთულებზე და ნაპერწკლებს ისროდა, დილის მზისა და ზღვის დამაბრმავებელი სიკაშკაშე რომ ნახშირით შავად აჩენდა. მავთული ამ დროს ვიოლონჩელივით წკრიალებდა. მოსახვევებში ხრჭიალებდა და კვნესოდა მუხრუჭები. მე კი ახალი ბელგიური ვაგონის ბაქანზე ვიდექი, ხელი რკინის ბოძისათვის მქონდა ჩავლებული და თავს გარეთ ვყოფდი, რათა მანქანით გადახოტრილი, გახურებული თავი გამგრილებოდა.

აგერ აგარაკის დაცარიელებული ბაღი, სიჩუმე, მტვრიანი ხრეშის ხრეშუნი, მინდვრის აბზინდის სურნელიანი ქარი, ქვის ვერანდა და ნაცნობი ხვიარა მცენარის წითელი ყვავილეთი, რომლის სახელი ჯერ კიდევ არ

ვიცოდით. ყვავილს, მზეზე მამლის ბიბილოსავით რომ პარპალებდა, კრაზანა დაბზუოდა.

ერთხელ, კარგა ხნის შემდეგ, პასტერნაკის ჯადოსნური სტრიქონები წავიკითხე: «...Голоса приближаются: Скрыбин. О, куда мне бежать от шагов моего божества!»¹

და ჰა, გაისმა ისევ ვერანდის მორეცხილ ქვის ფილებზე იმ უცხოური წაღების ჭრაჭუნნი. ტანზე ახლად დაუთოვებული ტილოს ბლუზა ეცვა, გულის ჯიბეში კი შავზონრიანი ფოლადის პენსნე ედო.

მაგრამ სამყაროში ალბათ უკვე რაღაც მომხდარიყო, ან ახლა ხდებოდა, რაღაც საბედისწერო და გამოუსწორებელი — რადგანაც კვლავ ისეთივე მცხუნვარე დილა იდგა, მაგრამ აგარაკი აღარ მომჩვენებია რომაულ ვილად და არც აბორგებულ ზოლზე დამინახავს ნეაპოლის ყურის წითელი იალქნები.

ოთახი, სადაც მასპინძელმა მიმიწვია, მეუზოვის ოთახივით სადა იყო — შეთეთრებული კედლები, ზეთის საღებავით შეღებილი პრიალა იატაკი. მის ქარვისფერ ფიცრებზე ლაჟვარდისფრად ირეკლებოდა პატარა ფანჯარა და სამზარეულო მაგიდა, ფაქიზად რომ ჰქონდა გადაფარებული ალისფერი საშრობი ქაღალდი. მაგიდის კიდეზე საფოსტო ქაღალდს მოვკარი თვალი, ზედ სტრიქონები იყო ჩამწკრივებული. ფანჯრის გახურებულ რაფაზე, ასეთივე ზომის საფოსტო ქაღალდზე ერთი ბლუჯანამიანი თურქული თამბაქო ხმებოდა. იქვე კონელსკის ფაბრიკის სიფრიფანა ჰილზების კოლოფი ჩანდა, ჰილზების სატენ ფოლადის მანქანას სპილენძის კილოები უბრჭყვიალებდა. შეუღებავი ხის მრგვალტარიანი ფოლადის წკირიც იქვე იდო ახალი პაპიროსის დასატენად. თუმცა ოთახში ისევ იდგა მოწეული თამბაქოს ცისფერი ბოლი. თვითონ ბუნინი უკვე ისეთი გოროზი აღარ მეჩვენა, წვერიც უფრო ჩეხოვისებური ჰქონდა, ვიდრე პირველად. წიფლის მოღუნულ, მსუბუქსა და მუსიკალურ ინსტრუმენტით მქლერ სკამებზე დავსხედით. მან მაგიდაზე ჩემი მუშამბისყდიანი რვეული დადო, მშრალი ხელისგული გადაუსვა და თქვა:

— მაშ ასე.

...მაინც როგორ მოხდა ეს? რა გვაქვს საერთო? რატომ მიყვარს იგი ასე საოცრად? სულ ცოტა ხნის წინათ ხომ მისი სახელიც არ მქონდა გაგონილი. კარგად ვიცოდით კუპრინის, ანდრეევის, გორკის სახელები. ვიცოდით, ვინ იყო არციბაშევი, იუშკევიჩი, ჩირიკოვი. ის ჩირიკოვი, ვისზეც ვითომ ავ მოხუცს, ტოლსტოის უთქვამს: „რა გვარია? ცურიკოვი თუ ჩუ-

¹ მიახლოვდება ნაცნობი ხმები —

სკრიაბინია!

საით გავუქცე, როგორ გავუქცე

მოახლოებულ ღმერთის ნაბიჯებს!

რიკოვიო...“ ბუნინზე კი სრულებით არაფერი გამეგონა. ხოლო ერთ მშვენიერ დღეს სრულიად მოულოდნელად ღვთაებად მექცა.

მოდი, გავარკვიოთ.

მე დიდი ხანია ვწერდი ლექსებს და, როგორც ყველა ახალგაზრდა პოეტი, სულიერად აფორიაქებული გახლდით: დავრბოდი განურჩევლად ყველა გაზეთის რედაქციაში, ვუკითხავდი ლექსებს შესვენებებზე გიმნაზიაში ყველას, ვინც შემხვდებოდა. ვუკითხებოდი შთაბეჭდილებებს ამხანაგებს, შინაურებს, მამას, დეიდას, შეკლული მყავდა ხელში ჩემი ნაწარმოებებით უმცროსი ძმა ჟენია, მომავალში ევგენი პეტროვად ცნობილი. ლექსებს ვუგზავნიდი ბებიას ეკატერინოსლავში. ნაცნობ გიმნაზიელ გოგოებში გიჟის სახელიც დამივარდა. ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რომ არავის შეეძლო აეხსნა ჩემთვის, როგორც მაშინ მეგონა — ყველაზე მთავარი — პოეზიის იდუმალება, მოეცა ამ იდუმალების გასაღები, ურომლისოდაც ალბათ ვერც გავიგებდი, რისთვის იწერება ან რას წარმოადგენს ჯერ კიდევ ლომონოსოვის დროიდან ცნობილი ეს რითმები, ათასჯერ გამეორებული, ათასჯერ წაკითხული თუ გადაკითხული, არავითარი საერთო რომ არა აქვს პირადად ჩემთან, ჩემს ცხოვრებასთან, ჩემს ბედთან და ჩემს ინტერესებთან, გინდაც აი ამ უღიმღამო სტროფებს: „холодом дышит природа немая, бешено волны седые кипят“¹ და ასე შემდეგ.

...ვარსკვლავები ოთხტაეპოვან ლექსებს შორის...

ასეთი რამ, მგონი, მაიაკოვსკიმ განიცადა თავის დროზე. მე მასზეც მინდა ზოგიერთი რამ ვთქვა ამ წიგნში. თავის ბიოგრაფიაში მაიაკოვსკი წერს:

„...გაცვეთილი მოთქმა-გოდება გამოვიდა, რალაც ამდაგვარი:

В золото, в пурпур леса одевались, солнце играло на главах церквей. Ждал я: но в месяцах дни потерялись, сотни томительных дней².

მთელი რვეული ასე გავავსე...“

არავის შეეძლო რაიმე ერჩია ჩემთვის, არც მე გამეგონია რაიმე გარდა ამისა: „წარმოიდგინეთ, ვალია ლექსებს წერს, თუმცა მის ასაკში ყველა წერს“.

რედაქციებში:

— ლექსებია? ძალიან კარგი, დატოვეთ, ორი კვირის შემდეგ გამოიარეთ, ხელნაწერებს არ ვაბრუნებთ.

ორი კვირის შემდეგ:

— არ დაიბეჭდება.

¹ სიცივით სუნთქავს მუნჯი ბუნება, გაცოფებული სდულან ტალღები...

² შემოდგომის ტყე წითელი და ოქროსფერია, ზიმზიმებს ტაძრის გუმბათებზე სხივთა არილი, ველოდი... მაგრამ დრო ამერია, დრო ამდენი ხნის მოლოდინში უქმად ჩავლილი.

— რატომ?

— იმიტომ რომ ლექსებში ვიხრჩობით, ჩვენ კი საერთოდ არ ვბეჭდავთ მათ.

ან მოულოდნელი ბედნიერება:

— ერთი შევარჩიეთ.

— რომელი?

— არ მახსოვს, რაღაც ბუნებაზეა. რვა სტრიქონიანი.

მხოლოდ ერთხელ „ოდესის ახალი ამბების“ რედაქციაში, სადაც ზვინად ეყარა სტამბის შავად დალაქული ანაწყოები, ცნობილმა ჟურნალისტმა გერცო-ვინოგრადსკიმ, ლოენგრინის ფსევდონიმით რომ ყოველდღე აქვეყნებდა მოკლე, დატეხილ სტრიქონებიან ფელეტონებს, ფელეტონების ა ლია მეფე ვლას დოროშევიჩმა, გამხდარი ინტელიგენტური სახისა და ვერჰარნის გრძელი უღვაშების პატრონმა წუთით შემომხედა ისევ ჩეხო-ვისებურ ფოლადის პენსნედან, რატომღაც დაინტერესდა ჩემით. ძნელი სათქმელია, რით დავაინტერესე, უხერხულობისაგან ისე არაბუნებრივად ვახველებდი, თითქოს სუსტი ფილტვები მქონდა, ნერვიულად ვტეხავდი გამადიდებელი შუშით ალაგ-ალაგ ამომწვარ გიმნაზიის ქუდის ლაქის კოკარდას, ისე მრცხვენოდა ჩინელივით წაწვეტილ ნიკაპზე ვულკანივით ამოზიდული ეგრეთ წოდებული „ასაკობრივი“ მუწუკებისა. ან იქნებ უბრალოდ შემიბრალა. ალერსიანად გადადო გვერდზე ჩემი ლექსები და გულახდილად მითხრა:

— დავუშვათ, მე რომ გთხოვოთ, ერთი კვირის შემდეგ შემოიარეთ-მეთქი, და მერე გითხრათ, რომ ვერ დავბეჭდავ, ვინაიდან ლექსებს საერთოდ არ ვბეჭდავთ, რომ ლექსები დაუხვეწავია, ლექსები შეიძლება მართლა დაუხვეწავი იყოს, ექნება ამას რაიმე მნიშვნელობა? გინდათ, სიმართლე გითხრათ? აი, თქვენ ლექსები მომიტანეთ, მე კი, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, აბსოლუტურად არაფერი გამეგება ლექსის და არც გამოსადეგი რჩევის მოცემა შემიძლია. ჩვენი გაზეთის რედაქციაში საერთოდ არავის არაფერი ესმის ლექსის, მარტო თავი მოაქვთ ისე, ვითომ გაეგებათ რაიმე. აი, რას გირჩევთ, ნამდვილ მწერალს წააკითხეთ ლექსები, გაიგეთ? ნამდვილს!—მან ხაზი გაუსვა ამ სიტყვას და კეთილი, ბებრული თვალები მომაპყრო.

— ჩვენთან ოდესაში ერთი ნამდვილი მწერალი ცხოვრობს, იუშკევიჩს არ ვთვლი. ალექსანდრე ფედოროვი, ალბათ გაგიგონიათ, არა?

— არ გამიგონია.

— ჩეხოვს მოსწონდა მისი ლექსი: «Шарманка за окном на улице поет, мое окно открыто, вечереет»¹.—მან პენსნე მოიხსნა და ცრემლები მოიწმინდა,—აი ხედავთ? მწერლობა რომ გინდათ, უნდა იცოდეთ ა. ფედოროვი, მასზე ენციკლოპედიაშიც სწერია.

საოცრად უხერხულად ვგრძნობდი თავს ჩემი უმეცრების გამო და ვდუმდი, ჩამოშვებულ ხელებში ქუდს ვაწვალავდი და გერბის ტოტებს ვამ-

¹ გარეთ, ქუჩაში მღერის არღანი, ღია სარკმელში შემოდის ბინდი.

ტვრევი. უცბად გონება გამინათდა: ა. ფედოროვი! ნეტა რეალისტ ვიტკა ფედოროვის მამა ხომ არ არის? ერთ დროს „ოტრადაში“ ვცხოვრობდით გვერდი გვერდზე და ვმეგობრობდით კიდევ ერთმანეთთან.

მახსენდება, ვიტკა ტრაბახობდა, მამაჩემი მწერალიაო.

— ის „ოტრადაში“ ხომ არ ცხოვრობს?

— „ოტრადაში“ ცხოვრობდა, ახლა კი საკუთარი აგარაკი აიშენა კოვალევსკის კოშკთან.

— მე მისი ბიჭის — ვიტკას ამხანაგი ვარ.

— სწორია, ბიჭი ჰყავს. მე მართლა გეუბნებით, ნულარ გადადებთ და მიდით ფედოროვთან. კარგი პოეტია, მაიკოვის მოწაფე, — იდუმალი რურჩულით დაუმატა მან. — მთელ რიგ ჭკვიანურ რჩევებს მოგცემთ. ეს ერთადერთი გონივრული საქციელია. თქვენ რა, ფილტვების საქმე კარგად ვერა გაქვთ?

— კარგად მაქვს, ეს ისე... თქვენთან ძალიან ცხელა...

— აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

აგარაკზე კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, ამიტომ თავისუფლად გავიარე ოთახები და კაბინეტის კარს მივაღექი, სადაც საწერ მაგიდას, ეჭვი არ იყო, თავად ა. ფედოროვი უჯდა. უკან მთელი კედლის სიგანეზე ძვირფას ურდულებიანი ვენეციური ფანჯარა ჩანდა. ფანჯრის მესამედი ზღვას, დიდ ფონტანსკაიას სანაპიროს და შუქურას ეკავა, ორ მესამედში ქუფრ ცას ვხედავდი, სადაც ვეება ღრუბლები იბოლქვებოდა. ადრიანი, ცივი და ქარიანი გაზაფხული იდგა. წაბლებსაც უჩვეულოდ დიდი კვირტები გამოეღოთ და ისე ბზინავდნენ, თითქოს წებო გადაუსვიათო.

ჩაფიქრებული ა. მ. ფედოროვი დროდადრო რაღაცას უბის დიდ წიგნაკში იწერდა. ალბათ ლექსებს წერს-მეთქი, გავიფიქრე და ოთახში შევაბიჯე, თან შეძრწუნებული ვისმენდი ჩემი ახალი ფეხსაცმელების ჭრაჭუნს. ჩავახველე და მივესალმე.

— გამარჯობათ.

იგი მთელი ტანით შეკრთა და უცბად ასწია პატარა ლამაზი თავი. პირისახეს კეხიანი ცხვირი და პატარა ვერცხლისფერი წვერი უმშვენებდა. წმინდაწყლის ევროპელი მწერალი იყო, ლამაზი, რომელიდაც სხვა დიდი სამყაროდან მოსული, ასეთ ადამიანებს ჯერ არასოდეს შევხვედრივარ. ერთი შეხედვითვე შეატყობდი, დახვეწილი, საოცრად სადა, თავით ფეხამდე ინტელიგენტი იყო. ამაზე გაბანტული საშინაო ბატისტის ჰალსტუხი, ველვეტის საშინაო ქურთუკი და ქარვის მუნშტუკიც მეტყველებდა, რაც საოცარ ლაზათს აძლევდა მას.

— გამარჯობათ, — კიდევ გავიმეორე და ფეხი ფეხს შემოვკარი. მან თითები გაჭალარავებულ საფეთქლებზე იტაცა და შეშლილივით შემომხედა.

— ოჰ, როგორ შემაშინეთ. ასე როგორ შეიძლება. ღმერთმა იცის, რა არ ვიფიქრე... ხანძარია-მეთქი... რა გნებავთ?

— ვიტკას ამხანაგი ვარ.

— ვიტკა სასწავლებელშია, — თქვა გაოცებულმა. — რატომ თქვენ არა ხართ გიმნაზიაში? იქნებ ვიტკას დაემართა რამე? — იყვირა მან და წამოხტა, — ღვთის გულისათვის, მითხარით, რა მოუვიდა?

— არაფერი არ მოსვლია.

ვალენტინ კატაევი

— ცოცხალია?

— ალბათ. კი მაგრამ, რა მოხდა?

— ეს მე უნდა გკითხოთ, რა მოხდა! რატომ არა ხართ გიმნაზიაში?

— ისე.

— უცნაურია.

— ვიტკასთან არ მოვსულვარ, თქვენთან მოვედი.

— ჩემთან? — გაიოცა ფედოროვმა.

მაგრამ სანამ შინელის ჯიბიდან ჩემი ხელნაწერების ამოღებას მოვასწრებდი, ყველაფერს მიხვდა და დამფრთხალი აწრიალდა.

— ლექსებია? არა, არა. გევედრებით, ოღონდ ახლა არა. ხომ ხედავთ, არ მცალია. ამ საათებში არავის არ ვღებულობ. მაინც როგორ მოახერხეთ აქ შემოსვლა?

ის განზე გახტა და შიშით მიაჩერდა ჩემს ხელნაწერებს, უკვე აჩქარებული რომ ვფურცლავდი. სახლში მხოლოდ ორნი ვიყავით. ფედოროვს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა.

— ლიდა, — დაიძახა მან სუსტი ხმით, მაგრამ გაახსენდა, რომ ცოლი ქალაქში იყო წასული საყიდლებზე, ხელი ჩაიქნია და დამნებდა. ოფლად გაღვრილმა ხველებ-ხველებით წავუკითხე ლექსები.

ქალებისაგან განებივრებული ცნობილი მწერლის მინაზებული ხმით მომცა რამდენიმე უხალისო შენიშვნა, მერე კი, როცა ხელნაწერები შევინახე, გონზე მოვიდა, თვალები, ცოტა არ იყოს, კვიმატურად გაუბრწყინდა, პატარა ვერცხლისფერ წვერზე ხელი ჩამოისვა და დაშაქრული ხმით მითხრა:

— ასე... რაც იქნება, იქნება, ახლა ჩემი რიგია, გამაგრდით, ვალია. ახლავე მოგიღებთ ბოლოს. — ესა თქვა, საწერი მაგიდის უჯრიდან ტარსიკონისყდიანი სქელი რვეული ამოიღო და ერთმანეთის მიყოლებით გატაცებით წამიკითხა სონეტები, ერთბაშად რომ დაეწერა წინა ღამეს ძილგატეხილს.

«Седые пейсы. Острый взгляд. Шейлок. Неровными зубами, торопливо он развязал заветный узелок. Таилось в нем сокровище на диво: жемчужина Персидского залива. Из мрака он на свет ее извлек и сам, гордясь, Любуется ревниво...»¹ ასე შემდეგ და მერე დიდებული დაბოლოება: «...она живет и дышит, и — о боже! — я слышу вздох: зачем меня хавас достал со дна для этих жадных глаз!..»².

¹ თეთრი, ჭალარა კიკინები, სასტიკი მზერა.

კბილებით გახსნა საიდუმლო ნასკვი წყეული და აჰა, ჯერაც არნახული საუნჯე ელავს — სპარსეთის ყურის მარგალიტი ელვად ქცეული. კაცს თვალს უხარებს წყვდიადიდან დახსნილი განძი და ავსილია სიამაყის ღვთიური განცდით.

² თითქოს ისმოდეს მარგალიტის სუნთქვა და გმინვა: ო, ღმერთო, რისთვის დამიკარგე ზღვის ფსკერზე ბინა, და თუ სამზეომ როგორც იქნა ჩემთვის ინათა, რად მომისაჯე ხარბი მზერა ადამიანთა!

მართლაც მომელო ბოლო. აი ნამდვილი პოეტი! ამ დღიდან ფედოროვის თავგამოდებული თავყვანისმცემელი და მოწაფე შევიქენი. ისიც მალე შემეჩვია და განაზებით ეუბნებოდა ნაცნობებს:

— ეს ვალიაა, ახალგაზრდა პოეტი, ჩემი ნიჭიერი მოწაფე, ლექსებს ვუკითხავთ ხოლმე ერთმანეთს.

ეს იდილია დიდხანს გრძელდებოდა, მაგრამ როგორღაც მოულოდნელად დამთავრდა. ერთ მშვენიერ დღეს გრძნობამორეულმა ფედოროვმა ნაზად მითხრა:

— ეჰ, ვალია... გულახდილად რომ გითხრა, ყოველივე ეს სისულელეა. თუმცა ჩემი მასწავლებელი მაიკოვი თავის ყველაზე ნიჭიერ მოწაფედ მთვლიდა და ბრწყინვალე მომავალს მიქადდა, — ამ სიტყვებზე ფედოროვმა რკინისსათვალისანი, წვერშევერცხლილი მოხუცის სურათს გახედა. სურათი პოეტ მაიკოვის იყო, ავტოგრაფით. — მაგრამ გულზე ხელი დავიდოთ და, რა პოეტები ვართ მე და შენ? ბუნინი — აი ვინ არის ნამდვილი პოეტი. წავიკითხავთ ბუნინი?

— არა.

— ბუნინის ლექსები არ იცით? — გაოცდა ფედოროვი, — არც არაფერი გაგიგიათ მის შესახებ?

— რაღაც ბუნდოვნად მახსოვს, — ვიცრუე მე, — რომელიღაც ჟურნალში წავიკითხე, გრძელი იყო და მოსაწყენი, როგორც მახსოვს, ურითმო. მგონი, ბუნინიც არ იყო.

ფედოროვმა მდუმარე საყვედურით შემომხედა, მთელი კედლის სიგანე უზარმაზარ წიგნების კარადასთან მივიდა, თაროდან წიგნი ჩამოიღო და ფურცვლა დაუწყო.

სამახსოვრო წარწერაზე დიდ ლურსმულ „ბ“-ს მოვკარი თვალი.

«Все море — как жемчужное зеркало. Сирень с отливом млечно-золотым. И как тепло перед закатом стало, и как душист над саклей тонкий дым! Вон чайка села в бухточке скалистой...¹ — ამ ადგილას ფედოროვმა თავისი პატარა გამოქანდაკებული თავი მოატრიალა, თვალები მოჭრუტა და ისეთი ყურადღებით გახედა შავი ზღვის სივრცეს, თითქოს მართლა ხედავდა კავკასიის სანაპიროზე ქოხს და კლდოვან ყურეში მონანავე თოლიას. — Вон чайка села в бухточке скалистой, как поплавок. Взлетает иногда — и видно, как струею серебристой сбегает с лапок розовых вода»².

გაშლილი წიგნი ეჭირა ფედოროვს, მაგრამ ისე კითხულობდა, შიგ არც იხედებოდა, კითხულობდა ლამაზი, ოდნავ არტისტული ტენორით, სიამოვნებისაგან ათრთოლებული ხმით.

¹ ზღვა სარკესავით კრიალაა, ფშვინავს საამოდ, როგორც ოქროსფრად დაცვარული იასამანი, ზღვაზე ეშვება თბილი სადამო და ქოხის კვამლით შერუჯულა ცის დასავალი.

² აგერ თოლია ცას და მიწას ფრთებით აზავებს, დაჰქრის ჭყლოპინით და დაფეთებით, ხანდახან წყლიდან აიჭრება ტივტივასავით და კლანჭებიდან ვერცხლისფერი ცვივა წვეთები.

გაოგნებული ვიყავი. თურმე რა მარტივი და უბრალოა პოეზიის იდუმალება, რაიც აქამდე ასე ჯიუტად მისხლტებოდა ხელიდან და სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

თუმცა ბუნდოვნად, მაგრამ უკვე ვიცოდი, რომ ლექსების შედგენა პოეტობას არ ნიშნავდა, ვერსიფიკაციული სიმარჯვე ვეღარ მატყუებდა. ლექსის გარეგანი ფორმა, აგრე რიგად რომ განსხვავდებოდა პროზისაგან ერთმანეთისაგან დაშორებული ოთხ-ოთხი სტრიქონით, პეწიანი დაკაბადონებით, სამ-სამი ვარსკვლავით, მრავალწერტილებითა და საყოველთაოდ ცნობილი სხვა ხრიკებით, კვლავ ანდამატურად მოქმედებდა ჩემზე. მაგრამ დროდადრო მაღიზიანებდა კიდევ. ის კი არა და ასეთი სულელური აზრიც მომივიდა თავში, მოსწავლის რვეულში წყვილ-წყვილად ჩამეწერა ყველა არსებული რითმა, შემდეგ გამრავლების ტაბულასავით დამეშეპირებინა ლექსის ყველანაირი ზომა — იამბები, ქორეები, ამფებრაქიები, რაც არც მაინცადამაინც ძნელია, და საქმეც გაიჩარხებოდა! რაც შეეხება შინაარსს, ის ყველასათვის ცნობილიც არის და ხელმისაწვდომიც: ოცნებანი, ზმანებანი, მწუხარება, ნაღველი, სიყვარული, ბალი, მთვარე, მდინარე, პაემანი, ვნება, ყვავილები, შემოდგომა, გაზაფხული, ზამთარი, იშვიათად ზაფხული, კოცნა, ღამე, დილა, საღამო, იშვიათად შუადღე, ღალატი, მწარე ბედი... ამას რა უნდა! ცხადია, ხშირად უნდა მიმართოს პოეტმა ზღვას, ტალღებს, ყურეებს, ქარიშხლებს, თოლიებს, მაგრამ ზოგადად. შეიძლება ყურეც, როგორ არა, მაგრამ ესეც ზოგადი უნდა იყოს, ნამდვილი კი არა, წიგნისა, არავითარ განსაკუთრებულ ნათელ წარმოდგენას რომ არ იძლევა.

მაგრამ იქ, ჯერ ერთი, ყურე კი არა, ციციქნა ყურე იყო, მეორეც — არც ზოგადი ყურე ეთქმოდა. ისეთი კლდიანი ნაპირი იყო, როგორც ბევრჯერ მინახავს არკადიაში თუ მცირე ფონტანკაზე და დავმტკბარვარ, ისე რომ აზრადაც არ მომსვლია, თუ ის შეიძლებოდა პოეზიის საგანი გამხდარიყო. არც თოლია ყოფილა წიგნების ვინიეტებისა თუ დაბოლოების აბსტრაქტული თოლია, სავსებით რეალური შავი ზღვის თოლია იყო, მცირე ფონტანკის შუქურას დობილი, ტივტივასავით რომ დასკუპულა კლდოვან ყურეზე. შედარებამ პირდაპირ გამაოგნა თავისი სისადავითა და თითქმის მეცნიერული სიზუსტით: ჩემზე უკეთ ვინ იცოდა, როგორ დაცურავს ზღვის ტალღებზე ლურჯად და წითლად შეღებილი ტივტივა.

ბუნინმა ცხადად დამანახვა ტივტივა, ისეთივე ხვედრითი წონა რომ აქვს ალბათ, როგორც თოლიას, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ არ გააჩნია თოლიას მსგავსად საოცრად მსუბუქი, გაპოხილი, ულტობი, თითქოს ჰაერით გაჟღენთილი ბუმბული და ღრუ ძვლები. თოლიას ვარდისფერი ფეხებიდან ჩამონადენი წყლის ვერცხლისფერი ნაკადიც ისე ცხადად იყო დახატული, ახლა შემიძლია ვთქვა, სტერეოსკოპულად-მეთქი, თითქოს შორიდან კარგი საზღვაო ბინოკლით ვუყურებდი, ხუთმეტჯერ რომ ადიდებს საგანს.

მე ჭეშმარიტი პოეზიის საოცრება ვიხილე, თვალწინ ახალი სამყარო გადამეშალა. იმავე საღამოს ვთხოვე მამას, ეყიდა ჩემთვის ბუნინის ლექსების წიგნი. მამას გული აუჩუყდა და, მგონი, ცრემლმორეული თვალებით

გამომხედა პენსნიდან — როგორც იქნა, ჭკუას მოეგო ბიჭიო. ციგურების, ბურთის, დამბარისა და ტენისის ჩოგნის ყიდვას კი არ თხოვდა—წიგნი მიყიდეო, ეუბნებოდა. თანაც კონან დოილის „შერლოკ ჰოლმსისა“ და გასტონ ლერუს „ყვითელი ოთახის საიდუმლოს“ კი არა, რუსი პოეტის შესანიშნავი წიგნი უნდოდა. იქნებ ეს ერთადერთი ჭეშმარიტი ბედნიერი დღე იყო მის ცხოვრებაში. ამას მამები გაიგებენ. ბავშვებიც გაიგებენ, მაგრამ ახლა კი არა, დროთა განმავლობაში.

მეორე დღეს, გაკვეთილებიდან რომ დავბრუნდი, წინკარში მამა შემომხვდა და შესანიშნავ თხელ ქალაქში გახვეული, „ზნანიეს“ მიერ 1906 წელს გამოცემული ივ. ბუნინის ლექსების სქელი კრებული გამომიწოდა. ქალაქს საწერი ნივთების მაღაზიის სანათი გაზის, გლობუსების, ფიზიკური რუკებისა და ლითოგრაფიის სუნი ასდიოდა. წიგნს მოჟამული მწვანე ყდა ჰქონდა და რაღაც სოციალ-დემოკრატიული იერი დაჰკრავდა.

ახლა კი ცოცხალი ბუნინის წინ ვიჯექი და მის ხელს ვაკვირდებოდი, ნელა რომ ფურცლავდა ჩემს საერთო რვეულს. ფურცლების გაქექილ, წითლად შეღებილ წიბოზე სხვადასხვა პოზაში იყო დახატული ერთი და იგივე პატარა კაცი, ისე რომ საკმარისი იყო ცერი მიგეჭირა რვეულის კუთხისათვის, მარაოსავით გაგეშალა ფურცლები — და ნახატი ამოძრავდებოდა ახლანდელი მულტიფიკაციის მსგავსად. ნახატი რამდენიმე წამის განმავლობაში — ეს რვეულის სისქეზე იყო დამოკიდებული — ხულებს მალლა სწევდა და ფეხებს იქნევდა.

ის კი არა და, გიმნაზიის ყველაზე უფრო სქელ სახელმძღვანელოზე — „ბუნებათმცოდნეობაზე“ ზოგიერთი დიდი მოთმინების მქონე გიმნაზიელი მოკრივეთ ხატავდა ან ცირკის ცნობილი ლეგენდარული მსახიობის დაცარილის ძალზე სახიფათო ნახტომს ჭოკიდან წყალში.

ნახატს ყურადღებას არ აქცევდა ბუნინი და რვეულის ფურცლას განაგრძობდა. მისი შავი მუშაშბის ყდაც ერთიანად დასერილი იყო ღუზებით, გულებითა და ისრებით. ზოგჯერ ფურცლას შეაჩერებდა და რომელიმე ლექსს რამდენჯერმე ჩაიკითხავდა თავისთვის, ხანდახან მოკლე შენიშვნას მაძლევდა, რომელიმე უზუსტობისა თუ ენობრივი შეცდომის გამო, მოკლე, უწყინარ და საქმიან შენიშვნას. როცა ნაწერს ვერ გაარჩევდა, პენსნეს იკეთებდა და მკითხავდა:

— ეს რა სიტყვაა?

ვერაფრით გამეგო, მოსწონდა ლექსები თუ არა.

დიდი ხნის შემდეგ გავიგე, როგორ უთხრა ერთხელ სტანისლავსკიმ „მფლანგველების“ რეპეტიციაზე რომელიღაც მსახიობს:

— შეგიძლიათ კარგად ითამაშოთ, შეგიძლიათ ცუდად, ეს მე არ მაინტერესებს. ჩემთვის მთავარია, ითამაშოთ სწორად და მართლად.

მგონი, მაშინ ბუნინიც ამ სიმართლეს ეძებდა ჩემს ლექსებში.

ერთი ლექსი, სადაც შემოდგომა აღვწერე აგარაკზე (რასაკვირველია, ა. ფედოროვის აგარაკზე), ბუნინმა აუჩქარებლად, ხმადაბლა ჩაიკითხა და ბოლო სტროფზე შეჩერდა, სადაც პოეტურად მქონდა გამოხატული, რომ პოეტი იგივე მხატვარია (ფედოროვი ხატავდა კიდევ). ჰოდა, დახატა რა

ასტრებიანი სურა, სიკვდილისაგან იხსნა უკანასკნელი ყვავილები, თავის ტილოზე სამარადისო სიცოცხლე მიანიჭა მათ.

«А в кувшине осенние цветы, их спас поэт от раннего ненастья, и вот они — остатки красоты — живут в мечтах утраченного счастья»¹.

ბუნინი შეიჭმუნა, თითქოს კბილი ეტკინათ.

— კერძოდ, რა გაქვთ აქ მხედველობაში? — მკითხა მან, — მგონი, მიტროფანოვიჩის სახელოსნო, მეორე სართულზე რომაა, სადაც ის ნატიურ-მორტებს ხატავს, არა? ხომ ასეა? მაშინ უკეთესი იქნებოდა ასე დაგეწერათ.

ბუნიმა ფანქრით გადახაზა ბოლო სტროფი და მინდორზე მიაწერა:

«А на столе осенние цветы. Их спас поэт в саду от ранней смерти»².

ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე გაბედულად დაამთავრა:

«Этюдни. Помятые холсты. И чья-то шляпа на мольберте»³.

მე გაოცებული ვიყავი, თითქოს ფუნჯის სამი მოსმით რა ზუსტად, მოკლედ და საგანთა საოცარი სიცხადით მოხაზა უცბად ბუნიმა ჩემს ბრმა, ზოგად სტრიქონებში თავისი მეგობრის ფედოროვის სახელოსნო, ამოიჩინა რა ყველაზე აუცილებელი წვრილმანები: ტილოები, ქუდი, მოლბერტი. რა ძუნწი სიტყვებია!

საოცარი სიცხადით წარმოვიდგინე საღებავებით მოსვრილი მძიმე, ტლანქად შეკრული მოლბერტი და ზედ დაუდევრად ჩამოკიდებული ხავერდის ქუდი, არტისტულად, ტიროლურ ყაიდაზე შეტეხილი ფარფლებით, რაც საოცარი სიზუსტით გადმოსცემდა ფედოროვის ხასიათს, მის ნატიფ დილეტანტიზმსა და უწყინარ ბოჭემურობას.

შემდეგში რატომღაც ხშირად წარმომედგინა, რომ სწორედ ასეთ მუქ მწვანე, ტიროლურად აკეცილ ფარფლებიან ხავერდის ქუდს ატარებდა თავის დროზე ცნობილი კრიტიკოსი და ესთეტი იული აიხენვალდი, ან იქნებ კორნეი ჩუკოვსკიც.

„დაჭმუჭნულმა ტილოებმა“ კი ცოტათი შემაცბუნა. დაჭმუჭნული ტილოები იშვიათად თუ ექნება მხატვარს. ტილოები ჩარჩოზეა გადაჭიმული, ან მსხვილად დახვეული სადმე კუთხეშია მიყუდებული. აბა, სინჯეთ და დაჭმუჭნეთ! დღემდე მაწვალებს ეს „დაჭმუჭნული ტილოები“, რაც იმის დასტურია, რომ ზოგჯერ საუკეთესო პოეტთანაც წააწყდებით გაცვეთილ ეპითეტს. ის ერთი შეხედვით თითქოს ზუსტია, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, უტყუარი არაა. იქნებ გაძვრესო — ამ პრინციპითაა ნახმარი.

¹ აგერ სურაში ყვავილები თვლემენ ნებივრად, და შემოდგომის ფერი ერევათ, იზმორებიან სილამაზის მკრთალი ნაშთები და მისტირიან აწ გარდასულ ბედნიერებას.

² სურა ყვითელი ყვავილებით თითქო მობერდა, სურათს დაღლილი შემოდგომის ფერი ერევა.

³ და დაჭმუჭნული ტილოები, ქუდი, მოლბერტი ერთად სტირიან აწ გარდასულ ბედნიერებას.

ჩემთან კი ვერ გაძვრა, ვერ შევძელი დაჭმუჭნული ტილოების დანახვა. მძიმე, გაზეთილი და დახვეული ტილოები კი ბევრჯერ მინახავს.

ეს ისე, სხვათა შორის.

დანარჩენი ლექსებიდან ბუნიმა წამით შეაჩერა თვალი ერთ მათგანზე, სადაც აღწერილი მქონდა პაემანი ნაცნობ გიმნაზიელ გოგოსთან შემოდგომის ერთ საღამოს სოფლის სასაფლაოზე, რაც მართლა შეესაბამებოდა სინამდვილეს. ეს ამბავი ხუტორ უსატოვში მოხდა, სადაც ამხანაგთან ვიყავი სტუმრად.

ბუნიის თვალებს ვაკვირდებოდი, ჩემს სტრიქონებს რომ კითხულობდნენ:

«Пришли, задумались, на камень тихо сели. Мечтательно звенел хрустальный хор сверчков. Качались по ветру сухие иммортели среди надгробных плит и каменных крестов» და შემდეგ: «И грустно стало мне и как-то одиноко. Но лишь на миг. Ведь ты была со мной. А в синеве небес уже стоял высоко двурогий месяц ледяной»¹.

ბუნი ცოტა ხანს შეჩერდა, თითქოს ჩემთან ერთად ისიც იჯდა სოფლის სასაფლაოს ცივ ლოდზე, სადაც მთვარე ვერცხლისფერს აფენდა ჩვენ გარშემო უკვდავას ყვავილებს. შემდეგ ფურცლის თავზე ჩემი ბოლომოდრღნილი ფანქრით ნიშანი დასვა, რაც, ჩემი აზრით, იმის მანიშნებელი იყო, რომ ლექსს არა უშავდა, ყოველ შემთხვევაში, „მართალი“ ლექსი იყო.

ასეთი ლექსი მთელ რვეულში ორი აღმომჩინდა და ყურები ჩამოვყარე, ვიფიქრე, ბუნიის თვალში გაცამტვერებული ვარ და ჩემგან ხეირიანი პოეტი არასოდეს გამოვა-მეთქი, მით უმეტეს, რომ გამოთხოვებისას საიმედო არაფერი უთქვამს. ჩვეულებრივი გულგრილი კაცის შენიშვნები მომცა: „არა უშავს“, „წერეთ“, „ბუნებას დააკვირდით“, „პოეზია ყოველდღიური შრომაა“.

ყოველდღიურ შრომაზე ბუნიმა ცოტა უფრო მეტი მითხრა:

— ლექსი ყოველდღე უნდა წეროთ, მევიოლინესა თუ პიანისტის დარად, ყოველდღე რომ რამდენიმე საათს უკრავს. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი ნიჭი უთუოდ გაღარიბდება, დაიშრიტება იმ ჭის მსგავსად, საიდანაც დიდი ხანია წყალი არავის ამოუღია. რაზე უნდა წეროთ? რაზეც გენებოთ. თუ ამყამად არავითარი თემა და იდეა არა გაქვთ, წერეთ იმაზე, რასაც დაინახავთ, — მან ფანჯარაში გაიხედა, — აი, ენაგადმოგდებული ძალღიმი მირბის, აწერეთ ძალღიმი ერთსა თუ ორსტროფიან ლექსში. მაგრამ აწერეთ ისე უტყუვრად, რომ სწორედ ეს ძალღიმი იყოს და არა სხვა. აწერეთ ხე, ზღვა, სკამი. მოძებნეთ მათთვის ერთადერთი ჭეშმარიტი განსაზღვრება. აწერეთ, რა ხმას გამოსცემს კენჭები, როცა სანდლებიანი გოგო მირბის ზღვისკენ,

¹ მოვიდნენ, დასხდნენ ერთ საფლავზე განმარტოებით, ქარს ჭრიჭინების ყრიაბული მიჭქონდა შორით. უკვდავას კრძალვით დაეხარა ხმელი რტოები საფლავის ლოდებს და ძეგლებს შორის. სულ ერთი წუთით მომეძალა დარდი და დაღლა, სულ ერთი წუთით, შენ იყავი, ძვირფასო, ჩემთან, ცაზე კი მთვარე მიიწევდა მაღლა, სულ მაღლა და მისი ცივი, თეთრი შუქი ხეებზე ჩქეფდა.

ხელში საცურაო ბუშტი უჭირავს, მხარზე კი პირსახოცი გადაუკიდია. რა ხმაა? ჭრაჭუნია? არა. წკრიალი? არა. შრიალი? — არა. რაღაც სხვაა, მხოლოდ კენჭების ხმაა, რაიც ერთადერთ, სწორ, უცილობელ სიტყვას მოითხოვს. მაგალითად, აწერეთ აი, ის წითელი ყვავილების ხვიარა ბურქი, მოაჯირზე რომ გადმომძვრალა, რათა ოთახში შემოიჭყიტოს და დაინახოს, რას ვაკეთებთ. საოცრად დამახასიათებელი მცენარეა დიდი ფონტანკის აგარაკისათვის, ივლისის თვის ხვატიანი შუადღისათვის, როცა ბალი დაცარიელებულია, როცა ყველა ზღვაზეა წასული და ნაპირიდან მობანავეთა შეძახილები და წივილ-კივილი ისმის.

მე გაფურჩქნილი წითელი ყვავილის თვალიერებით ვიყავი გატაცებული, ლბობა რომ დასტურ შეპარვოდა უკვე. გაყვითლებულ კუწუბოებს გზა გადაეღობათ კრაზანასათვის სულთმობრძავი ყვავილის წითელ გულში, სადაც თითქოს ომისა და რევოლუციის ქარცეცხლი მძვინვარებდა, რომელთა მოახლოებაც ჯერ კიდევ არ მქონდა შეცნობილი. მეორე ყვავილი უკვე მკვდარი იყო და მის უსიცოცხლო სხეულზე პატარა მოწითალო ჭიანჭველები დაცოცავდნენ, გაბაწრულნი რომ მოუყვებოდნენ მოაჯირის რიკულს.

ახლაც ვუყურებ პატარა უსუსურ ჭიანჭველებს და ისევ მაშინდელი ჭიანჭველები მგონია. იქნებ ისინიც არიან, მარადიულნი, უაზრონი, ასე უსუსურნი და დღემოკლენი, ინსტინქტურად რომ ეძებენ უზარმაზარ შეუცნობელ სამყაროში დამპალი ყვავილის სხეულს. რა ჰქვია ამ მცენარეს? ახლაც ვიცი, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი.

შემიმჩნევია, რომ ადამიანს სამჯერ უფრო ძლიერ აწვალებს საგნის გარეგნობა, თუ მისი სახელი არ იცის. დაარქვას საგნებს სახელი — იქნებ მხოლოდ ეს განასხვავებს ადამიანს სხვა სულდგმულთაგან. მაგრამ მე არა მაქვს სიტყვების ისეთი მარაგი, რომ მილიონობით არსებას, ცნებასა და საგანს დავარქვა იგი. აი ეს მაწამებს, მაგრამ ალბათ კიდევ უფრო მეტადაა გაწამებული თვით უსახელო საგანი: მის არსებობას სრულყოფა აკლია. უსახელო საგანთა გუნდი იტანჯება ჩემ გარშემო და მეც მტანჯავენ ყველაზე უფრო საშინელი შეგრძნებით, რატომ არა ვარ ღმერთი. უსახელო საგნები და ცნებები მარადიულობის მინის კარადებში დგანან, ვითარცა ტაძრის ბნელ კუნჭულებს შეფარებული ახალთახალი, მოოქროული, ჯერ კიდევ ხორცშეუსხამი ბუდას ქანდაკებები მონღოლეთის გახუნებული ცის ქვეშ, თითქოს სამსხვერპლოზე დამწვარი მინდვრის მცენარეების კვამლის, ყვითელი ხაშხაშის, სალბის, აბზინდისა და ბოგდო-გეგენის სასახლის ზარებიანი ჩინური სახურავების კრამიტის ძილისმომგვრელ სურნელს რომ გაუჟღენთია. ბუდები ერთმანეთს გვანან და ინდივიდუალობა არ გააჩნიათ. მათი ზარნიში ახალია, ყურებაშდე გაჭრილ პირზე შერჩენილი ღიმილი არავითარ აზრს არ გამოხატავს, დგანან და ელოდებიან ხორცშეუსხმას, რაიც მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა გაჩნდება სრულიად ახალი ცნება და პლასტიკურ გამოხატულებას მოითხოვს.

მაშინ თავგადახოტრილი ლამები, რომაელ სენატორებს რომ გვანან წითელ ტუნიკებსა და იადონივით ყვითელ ტოგებში — ოლონდ სანდლები კი არა, მონღოლური ჩექმები აცვიათ — გამოიღებენ კარადიდან ერთ-ერთ უსახელო ბუდას, სახელს დაარქმევენ და ტაძარში გადაიტანენ, სადაც დამწვარი კვარების ბულში, შეძახილებში, დაფდაფთა გრიალში, ლამაზ-ლამაზ შოკოლადის კანფეტებსა და კრეპდუშინის სარიტუალო თავსაფრების ფრიალში ბოლოს ღმერთად გადაიქცევა.

...ბუდისტური წითელი ფერი. ოქროს ჯაზი მსხვერპლშეწირვისა.

— თუნდაც ბელურა აღწერეთ, — თქვა ბუნინმა, — მე ვიცი, გული გაგიტყდათ, რომ უკვე ყველაფერი ნათქვამია, ყველა ლექსი თქვენამდეა დაწერილი, ახალი თემები და ახალი გრძნობები აღარაა, ყველა რითმა დიდი ხნის ნახმარია და გაცვეთილი, ზომების ჩამოთვლა თითებზე შეიძლება. ასე რომ პოეტად გახდომა შეუძლებელია. ახალგაზრდობაში მეც ასე ვფიქრობდი და ამას სიგიჟემდე მივყავდი. მაგრამ ეს სისულელეა, ბატონო ჩემო. ყველა ის საგანი, რაც თქვენ გარშემოა, ყველა თქვენი გრძნობა ლექსის თემაა. ყური მიუგდეთ თქვენს გრძნობებს, დააკვირდით გარემოს და წერეთ. ოლონდ წერეთ ისე, როგორც გრძნობთ და როგორც ხედავთ, და არა ისე, როგორც თქვენამდე გრძნობდნენ და ხედავდნენ სხვა პოეტები, თუნდაც გენიოსები. ხელოვნებაში დამოუკიდებელი უნდა იყოს. ამის შესწავლა შეიძლება. მაშინ თქვენ წინ ჭეშმარიტი პოეზიის ამოუწურავი სამყარო გადაიშლება და თავისუფლად დაიწყებთ სუნთქვას.

მე უკვე უამისოდაც თავისუფლად ვსუნთქავდი, ხარბად, ახალი თვალთ ვუყურებდი ყველაფერს, რაც ჩემ გარშემო იყო.

დაწვრილებით აღვწერე ბელურა და ახლა გოგონას აღწერა დავიწყე. მაგრამ ის არც ჩიტი გახლდათ და არც ყვავილი. მის დასახატად არაფერს ნიშნავდა, რომ ის ცამეტი წლის იყო, რომ ძველმანებისაგან გადაკეთებული მოკლე ქვედაკაბა ეცვა, რომ მზემოკიდებულ, გამხდარ ფეხებზე ჯერ კიდევ სველი სილა მიყროდა ფეტვივით, გახუნებულ ლურჯსაყელოიანი ზედაწელიდან კი ლავიწის ძვლები მოუჩანდა და თავზე მოკლედ შეჭრილი ყორნისფერი კულულები ეყარა. მოკლედ, მე ვიტყვოდი, ბერძნული თავი ჰქონდამეთქი, დანახვისთანავე მაყვალს რომ შევადარე.

მოაჯირის თაბაშირის ლარნაკებს რომ ჩაუარა, შემომხედა. მე გამხდარი, შავ-ყვითელი სახე დავინახე ვიწროდ გაჭრილი თვალებით, სადაც თითქოს იდუმლად ბრწყინავდა მთვარიანი ლამე. ბანაობისაგან ჩათეთქვილი ტურები ზიზღით მოპრუწა, მხრები შეათამაშა და თვალს მიეფარა, თავისი სილატაკით დამცირებული და ამავე დროს გაავებული და ამაყი, როგორც პატარა მშიერი დედოფალი.

ეს არ იყო მხოლოდ პატარა წვრილმანი ზღვის სანაპიროს ზაფხულისეული შუადღისა, საბაბი სიტყვიერი ფერწერისა, გაკვეთილი პოეზიისა.

უცბად მთელი არსებით შევიცან მასში მარტო გოგო კი არა, არამედ უკვე არსებული და არა მომავალი რომანის ტრაგიკული გმირი.

ეს იყო საოცრება პეიზაჟის ეპოსად, ტრაგედიად წამიერი გარდაქმნისა.

ვიცოდი, როდისმე კიდევ შევხვდებოდი ერთმანეთს.

მერე რამდენიმე დღე დავრბოდი ნაცნობებში და ვყვებოდი ბუნინთან შეხვედრის ამბავს. თითქმის არავისზე არ მოუხდენია ჩემს ნაამბობს დიდი შთაბეჭდილება. ვიმეორებ — ჩემი ბუნინი ნაკლებად ცნობილი იყო. მხოლოდ ჩემი ამხანაგები, ახალგაზრდა პოეტები დაინტერესდნენ, რომელთა რიცხვსაც უკვე ოფიციალურად ვეკუთვნოდი. თუმცა მათ უმრავლესობას პოეტადაც არ მიაჩნდა ბუნინი, რაც მათ ცებდა და ბავშვურად მამბობდა კიდევ. სამაგიეროდ, მისი საპატიო აკადემიკოსობა ყველას ძრწოლას ჰგვრიდა. რა გაიგეს, რომ დაუნდობლად მკაცრმა ბუნინმა თხუთმეტი ლექსიდან ორზე დამისვა მოწონების ნიშანი (თუმცა პირველად არც ეს სჯეროდათ), როცა თავისი თვალთ ნახეს თვით ბუნინის მიერ შეთხზული სტრიქონები მოლბერტზე დაკიდებულ ქუდზე, ოდნავ ყურადღება მომაპყრეს, თუმცა გულახდილად კი იჩეჩავდნენ მხრებს. არც მე მივაჩინდი პოეტად. საერთოდ მაშინ არავის არავინ არ მიაჩნდა. ეს კარგი ლიტერატურული გემოვნების მაჩვენებელი იყო.

სხვათა შორის, ახლაც ასეა.

მე თითქოს სახელგანთქმული პიროვნება შევიქენი, ბუნინის სტრიქონებიან ჩემს რვეულს კი ისეთი დღე დაადგა, რომ იძულებული გავხდი ხელში აღარავისათვის მიმეცა და შორიდან მეჩვენებინა.

დიდებისაგან თავბრუ მეხვეოდა. ახალი ბედნიერი ცხოვრებით ვტკბებოდი, ამდენ სიხარულს რომ მპირდებოდა! დაულალავად ვთხზავდი ლექსებს, სადაც ავწერდი ყველაფერს, რაც ჩემ გარშემო იყო. მივხვდი, რომ პოეზია სრულებით არ ყოფილა ის, რასაც პოეზიად თვლიან. პოეზია სწორედ ისაა, რაც პოეზიად არ მიაჩნიათ. მე არ მჭირდებოდა მისი ძებნა და სადღაცოდან ამოჩიჩქნა. ის აქვე იყო, ჩემ გვერდით, თვალის დასანახად, ხელშესახებად, ოღონდ შინაგანად უნდა შეგეგრძნო იგი პოეზიად. ხოლო ამ შინაგანმა შეგრძნებამ, რომ ცხოვრება პოეზიაა, მთელი არსებით დამიპყრო და დამეუფლა.

ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე მივხვდი, სულის სიღრმემდე შევიგრძენ, პოეზია ნიადაგ არსებობს-მეთქი სავსებით უბრალო საგნებში. მე მათთვის წინათაც ჩამივლია, მაგრამ არც მიფიქრია, თუ შეიძლებოდა ყოველ წამს გარდაქმნილიყვნენ ხელოვნების ნაწარმოებებად, თუკი ყურადღებით დააკვირდებოდი.

რამდენჯერ შემხვედრია ქუჩის უბრალო მეარღნე, მაგრამ მხოლოდ ახლა შევხედე მას ბუნინის თვალთ და მივხვდი — მეარღნეც, მისი მაიმუნიც პოეზია ყოფილა და გზაც პოეზია ყოფილა ოდესიდან ფონტანკამდე. «Ограды дач еще в живом узоре — в тени акаций. Солнце из-за дач глядит в листву. В аллеях блещет море... День будет долог, светел и горяч. И будет сонно, сонно. Черепицы стеклом светиться будут. Промелькнет велосипед бесшумным махом птицы, да прогремит в немецкой фуре лед».

¹ აგარაკების თეთრ გალავნებს მზემ შეურია აკაციების უხვი ჩრდილი და კბენას იწყებს.

თურმე ყოველივე ეს წმინდა პოეზიაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაშინ, თუ სიღრმემდე ჩასწვდები საგანს და მოვლენას: მაგალითად, ველოსიპედს, რომელიც „ჩაიქროლებს ჩიტივით ჩუმად“. ეს უხმაურო ქროლვა (თუმც მაინც მესმოდა ბორბლების შრიალი) პირდაპირ მაგიჟებდა თავისი ჯოჯოხეთური სიზუსტით, თანაც შიგ იგულისხმებოდა კიდევ ერთი დაუწერელი სიტყვა „сница“ (მანები), ნიკელის ბრჭყვიალსა და მზის ათინათებს რომ გაგახსენებდა უმაღლეს.

გადავიკითხე ნაწერი და ვიგრძენ, რომ თითქოს ყველაფერი მართალია, მაგრამ არცთუ სავსებით. ძალიან გაუბრალოებული ვჩანვარ მე, იმდროინდელი ახალგაზრდა კაცი. მერედა ხომ სწორედ იმ დროზე დაწერა შემდეგში ბლოკმა „შურისგების“ წინასიტყვაობაში:

„შენთვისაც და სხვისთვისაც საინტერესო და სასარგებლოა საკუთარი ნაწარმოების ისტორიის გახსენება. ამასთანავე ჩვენ, ჩვენი საუკუნის ბედნიერ თუ უბედურ შვილებს მთელი ჩვენი ცხოვრების გახსენება გვიხდება. ჩვენ მიერ განვლილი წლები მკვეთრ ფერებადაა შეღებილი ჩვენთვის და ვაი რომ მათი დავიწყება არ შეიძლება. თითქოს სისხლით დაუწერიათ თვითეული ციფრი, ისე წარუშლელნი ჩანან ისინი. არა, არ ძალგვიძს ამ ციფრების გადავიწყება. ეს ციფრები საკუთარ სახეებზე გვაქვს ამოტვიფრული“.

წიგნი, რომელსაც ახლა ვწერ, ნაწილობრივ „საკუთარი ნაწარმოების ისტორიაა“, უფრო ზუსტად, ჩემი ერთი რომანის „სიკვდილის ანგელოსის“ ისტორია, რომლის დაწერასაც მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი და ოცნებადვე დამრჩა.

ოცნების წიგნი.

მე ბლოკის უმცროსი თანამედროვე ვარ, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ისე შემეგრძნო დრო, როგორც ბლოკი შეიგრძნობდა მას.

„...1910 წელი სიმბოლიზმის კრიზისია, —წერდა ბლოკი, —რომელზეც ბევრი წერდა და ლაპარაკობდა მაშინ როგორც სიმბოლისტების, ისე მათ მოწინააღმდეგეთა ბანაკში. ამ წელს აშკარად იჩინა თავი მიმდინარეობებმა, მტრულად რომ განეწყვნენ სიმბოლიზმისა და ერთმანეთის წინააღმდეგაც. ეს მიმდინარეობებია: ჯკმეიზმი, ეგოფუტურიზმი და ფუტურიზმის პირველი საწყისები“.

რაც ბლოკისათვის 1910 წელი იყო, ჩვენთვის, ახალგაზრდა პროვინციელებისათვის ეს 1913—1914 წლები გახლდათ, როცა ოდესამდეც მოაღწია ამ „ფუტურიზმის პირველმა საწყისებმა“.

სქელ, თითქოს შესაფუთ ქალაღზე დაბეჭდილი უცნაური წიგნები უჩვეულო შრიფტით, საოცარი სათაურებით: „სილაქი საზოგადოებრივ გემოვნებას“, „დამხრჩვალ მთვარე“, „დაშაქრული кри...“ გაუგებარი ლექსები,

ზღვა ეომება ხეივანთა ტევრებს უსიერს,
დღე კი იქნება მოწყენილი, იქნება სიცხე.
და ძილი, ძილი აგარაკებს ეწვევა სტუმრად,
კრამიტი ბზინვას მინასავით გამოსცემს ოდეს,
ველოსიპედი ჩაიქროლებს ჩიტივით ჩუმად.
და საზიდარი ჩაატარებს ყინულის ზოდებს.

პოეტ-ფუტურისტების სასწაულებრივი გვარები, თითქოს განგებ რომ გამოეგონებინათ მკითხველთა გასაღიზიანებლად.

ამ კრებულებს მერხებში ვმალავდით მუამბოხე „სატირიკონსა“ და ვინმე ელზა გავრონსკაიას უხამს თავგადასავლებთან ერთად. თუმცა ამ წიგნებში არავითარი უხამსობა არ იყო, ის კი არა და გულისამრევად მოსაწყენიც განსლდათ, მაგრამ გიმნაზიის ხელმძღვანელობას მაინც პორნოგრაფიად მი-აჩნდა.

ჩემთვის სრულიად გაუგებარი, უსწორმასწოროდ, ზოგჯერ ყირამალა დაბეჭდილი ლექსებიდან, ისე რომ აღიქვებოდა, როგორც კადნიერი მისტიფიკაცია ან დიდი პროტესტი: „დირ ბულ შრილ-უბეშიურ“, ხელში ჩამივარდა ფუტურისტული კრებული „სადოკ სუდეი“. ამ კვადრატულ წიგნში, ფერადი შპალერის ყდა რომ ჰქონდა, ასეთი სტრიქონი ამოვიკითხე: **«В ушах оглохших пароходов горели серьги якореи»**¹.

ჰოდა, წავიკითხე თუ არა ეს ფუტურისტული სტრიქონი, კლასიკოსების ნაწერებზე გაზრდილმა და ბუნინის ჯადოსნურ რეალიზმს ახლახან ნაზიარებმა, უცბად საოცრად ნათლად დავინახე ნავსადგური, გავიგონე ჩემთვის კარგად ნაცნობი გემის საყვირის დაბალი ბანი და გულის წამლები სტვენა. რაწამს ის აგუგუნდებოდა და ბრანდსპოიტიდან გამოიჭრებოდა გავარვარებული ორთქლი, რომელიც მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ გადაიქცეოდა მკვრივ ღრუბლად და თბილ წვიმას დააცრიდა მგზავრებს თავ-პირზე, ყურები რომ დაეცოთ თითებით დაპირები დაეღოთ, ყურის აპკი არ გაგვისკდესო, ქვეყნად მყისვე მდუმარება გამეფდებოდა. ამიტომაც გემის საყვირის ხმა მუდამ მახსენებდა რეიდზე უეცრივ დასადგურებულ მდუმარებას და უცაბედად დაყრუებულ ხალხს.

მე მივხვდი, რომ დაყრუებული გემები ფუტურისტული მიკვლევა კი არ იყო, არამედ საოცრად მართალი რეალისტური გამოსახულება, ინვერსია — იმ დროისათვის სრულიად ახალი ხერხი, პოეტური აღმოჩენა. სიყრუის შეგრძნება აქ ადამიანიდან საგანზე იყო გადატანილი, გემები ცოცხალ არსებებად, რკინის ქალებად იყო გადაქცეული, სმენადაკარგულ ყურებზე რომ ღუზის საყურეები ეკიდათ.

რაც შეეხება სიყვარულსა და ვნებას (შემდგომ რედაქციაში), გამწარებული ღმუილით რომ აფრქვევდნენ გემები ვითომდა სპილენძის მილებიდან, ეს ქვეცნობიერების სიღრმეს ჩამწვდარი პოეტის გენიალური მიგნება იყო: გემის საყვირი ღრიალებდა და ეს ღრიალი რაღაც სქესობრივი გრძნობის მსგავსს იწვევდა, აზანზარებდა მთელ რეიდს — საბაჟო კატერებს, ბუქსირებს, კარჭაპებს, ორნიჩბიან ნავეებს, ალმებს და თეთრ შუქურას, რომლის ანარეკლიც დახუთული ღამის წინათგრძნობით ატანილ თოლიების მიერ დაფხრეწილ წერილის ნაკუწებივით მოჩანდა აკვატორიის ცისფერ სარკეში. მე ამ სტრიქონების დამწერი ფუტურისტის გვარი არც დამხსომებია, მაგრამ მისი ძალუმი წარმოსახვით დახატული ნავსადგურის

¹ და დაყრუებულ ვეება გემებს ეკიდათ ღუზის საყურეები.

სურათი სამუდამოდ ჩამრჩა მუხსიერებაში, ისევე როგორც ბუნინის ტივი-ტივა-თოლია.

ბუნინთან ხელახალი შეხვედრის მოლოდინში მეთქვინებდი იმ დაუვიწყარი დღის წვრილმანებს, როცა ფანქრით შენიშვნებს მიკეთებდა რვეულში და მირჩევდა, რაც შეიძლება მეტი მეკითხა ხალხთა ისტორიაზე, მეუბნებოდა, რომ ყველა ჭეშმარიტმა პოეტმა კარგად უნდა იცოდეს მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია, სხვადასხვა ქვეყნების ბუნება, ყოფა, ზნე-ჩვეულებანი, რელიგია, რწმენა, ხალხური სიმღერები, თქმულებები, საგები. მაშინ მე ეს, საუბედუროდ, სრულიადაც არ მალეღვებდა, თუმცა ისე ვიჭერდი თავს, თითქოს მოხიბლული ვიყავი ბრძნული რჩევით და ვითომ გატაცებით ვიწერდი ნაკარნახევი წიგნების სათაურებს.

მე კი მერჩია ისეთი რამ წამეკითხა, მაშინვე, დავიდარაბის გარეშე რომ მასწავლიდა კარგი ლექსების წერას და ცნობილ პოეტად მაქცევდა.

ბუნინის დაჟინებულმა რჩევამ, თავს ნუ გამოიღებ ლექსების დასაბეჭდად, ცოტა დაიცადე, არ აჩქარდე, თავის დროზე ყველაფერი იქნებაო, ცოტა არ იყოს, გული გამიტეხა.

ბუნინმა ძუნწად გამიღიმა და მითხრა:

— ეჭვიც არ მეპარება, მაინც არ დამიჯერებთ, ყველა რედაქციას გაუგზავნით ლექსებს, ოღონდაც დაბეჭდილი ნახოთ ისინი, მით უმეტეს, თქვენი გვარი... ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი. ახლა კი ძალზე ვნანობ, ბევრი სუსტი ლექსი დავბეჭდე. გაიგეთ, ჩემო ბატონო, ჩემთვის იოლია მოგცეთ ჩემი სადარბაზო ბარათი და მაშინ ყველა დიდი ჟურნალი დაგბეჭდავთ...

ღმერთო ჩემო, ნუთუ „სოვრემენი მირიც“? — გავიფიქრე მე.

— ...მაგრამ არაა საჭირო. დაიცადეთ.

ოჰ, როგორ მინდოდა შევმუდარებოდი:

„ივან ალექსევიჩი, გეთაყვა, მომეცით რეკომენდაცია, მომეცით თქვენი სადარბაზო ბარათი, ეს ხომ თქვენთვის არაფერია“.

მაგრამ ყასიდი მორჩილებით ვუქნევდი თავს:

— მესმის, დიახ, დიახ. რა თქმა უნდა, მართალი ბრძანდებით, დაცდა ჯობია.

მან სარკასტულად შემომხედა:

— თქვენ კი ალბათ დღესვე გაიქცევით თქვენი ლექსებით „ოდესკი ლისტოკში“. კარგად გიცნობთ ახალგაზრდა პოეტებს, ვერ მომატყუებთ! მეც ასეთი ვიყავი.

შემდეგ საუბარი შეცვალა და ძალზე დინჯად, ღრმა დაჯერებით მითხრა:

— თქვენ, ცხადია, გინდათ, რაც შეიძლება მალე გაიგოთ ჩემგან შემოქმედების ყველა საიდუმლო, არ ვიცი, ძალმიძს თუ არა დაგეხმაროთ. ეს ერთი კი დაიმახსოვრეთ: ჯერ ერთი და ეს ყველაზე მთავარი რამაა — უნდა სძლიოთ სუფთა ქალაქის ზიზღს, თითქმის ყოველი ნამდვილი მწერალი რომ განიცდის, უნდა წეროთ ყოველდღე, რეგულარულად, არ

დაელოდოთ შთაგონებას, განწყობილებას, წერა ისევე სავალდებულო უნდა იყოს თქვენთვის, როგორც სამსახურში ან გიმნაზიაში სიარული.

ახლა ციებცხელებიანივით ველოდებოდი ბუნიტან მორიგ შეხვედრას. მაგრამ სწორედ ამ დროს ომი დაიწყო, ბუნიტის წავიდა და მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შევხვდი ხელახლა ხრახნილ კიბეზე, „ოდესკი ლისტოკის“ კანტორაში რომ ჩადიოდა. როგორც მახსოვს, მაშინ იქ ჰონორარი მივიღე რომელიღაც ლექსში.

ჩემ წინ ისევ ის ბუნიტის იდგა, ხმელ-ხმელი, ფერმკრთალი პირწმინდა დედაქალაქელი, მიუწვდომელი — ჩემი ძველებური ივან ბუნიტის, ვისზეც მთელი ეს წლები, არტილერიის სათვალთვალ პუნქტზეც კი ვფიქრობდი, ვინც თითქოს ჩემი მხატვრული შემეცნების გამაკონტროლებელ ორგანოდ ქცულიყო. ბუნიტს ერთი ნაბიჯით დაეხია უკან და ხმაამოუღებლად მათვალისწინებდა დაკვირვებით, თითქოს იქვე უნდა აღმწეროსო.

— მიცანით? — ვკითხე მე.

არაფერი მიპასუხა, ისიც კი მომეჩვენა, შეკითხვა ვერ გაიგონა-მეთქი. ისე მათვალისწინებდა, თითქოს წიგნი ვიყავი და თავის გულში ამ წიგნის არშიაზე შენიშვნებს აწერდა.

— ოფიცერი, გიორგის ჯვრის კავალერი. დემობილიზებული. გაზრდილხარ, დავაჟაკებულხარ, — აღმაცერად დახედა ჩემს მარჯვენა ფეხს, ჯერ კიდევ რომ ვერ დამედგა კიბის საფეხურზე მტკიცედ, — დაჭრილხარ. მაგრამ ძვალი მრთელია, ხომ?

მე ჩვეულებისამებრ დარცხვენით ჩავახველე. ბუნიტმა ჩემს ხრინწიან, მშრალ ხველაზე ყური დაცქვიტა (წინათ ასე არ მახველებდა).

— გაზის ბრალია? ფოსგენის? — და მეგობრულად, გულლიად, ალერსიანად გამომიწოდა ხმელი ხელი. — გამარჯობათ, ვალისა, — ისე მითხრა, შევატყვე, გაუხარდა ჩემი ნახვა, — გამარჯობათ, ახალგაზრდა პოეტი, ვალენტინ კატაევი!

— დიდი ხანია ოდესაში ბრძანდებით?

ესეც დარცხვენამ მათქმევინა, თორემ უკვე ვიცოდი მისი ბოლშევიკური მოსკოვიდან ოდესაში გამოქცევის ამბავი. იმ დღეებში წავიკითხე მისი რამდენიმე ჩემთვის უცნობი ლექსი. ერთ-ერთი მათგანი, მგონი, რომელიღაც მოსკოვური პოეტური საღამოსა და უცნობი პოეტი ქალის აღწერა იყო. „ვეება მუფტა, ფერმკრთალი ლოყა“.

შემდეგ, როგორც მახსოვს, ეს პოეტესა მშვიდად ამბობდა:

„კუზმინ, წამიკითხეთ. ახალი ტრიოლეტი“.

ეს პატარა ლექსი ასეთი მოკლე სტრიქონით მთავრდებოდა:

„მოსაწყენია, გარყვნილი და ვნებადაცლილი“.

აი აქ ჩანდა მთელი ბუნიტის, მისი სიზუსტე, ლაკონიურობა, ღვარძლიანობა და დილეთანტური ხელოვნების სიძულვილი.

მე შევნიშნე, პოეტი კუზმინი არასოდეს არ წერდა-მეთქი ტრიოლეტებს. ბუნიტმა მითხრა, მიხეილ კუზმინს არ ვგულისხმობდი, უბრალოდ, ის გვარი დავწერე, რაც პირველად გამახსენდაო. „თუ გინდათ, სხვა გვარით შევცვლი“. მეორე ლექსიდან ორი ნაწყვეტი დამამახსოვრდა:

პირველი:

«Где ты теперь? дивишься ль волнам зеленого Бискайского залива меж белых платьев и панам?»¹.

და უკანასკნელი:

«Скажи поклоны князю и княгине. Целую руку детскую твою за ту любовь, которую отныне ни от кого я не таю»².

შემდეგ არც ერთ კრებულში არ შევხვედრივარ ამ ლექსებს, მაგრამ ოდესის იმდროინდელ გაზეთებსა და ჟურნალებს თუ გადავქექავ, ვფიქრობ, ვიპოვი.

ეს იყო ახალი ბუნინი, თითქმის ემიგრანტი თუ უკვე ემიგრანტი, ვისაც მთელი სიღრმით შეეგრძნო ძველი რუსეთის აღსასრული, ყველა ურთიერთობების რღვევა. მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო დაეწერა, დაეხატა, სანახლოდ გამოექვეყნებინა ეს სტრიქონები თავის ფარულსა და ნაზ სიყვარულზე, ვისაც ღრმად სწამდა ცხოვრების დასასრული.

რატომ „ამიერიდან“? რატომ „ვერ დავუმალე“?

იმიტომ, რომ ამიერიდან აღარაფერი იქნება. ყველაფერი გათავდა, იგი რუსეთში დარჩა, სადაც მისთვის საშიში, დაუნდობელი რევოლუცია ბობქრობდა. ის, თავადის ასული, უკვე შორს იყო, საფრანგეთში, ბისკაის ყურის მწვანე ნაპირზე.

და შემდეგ ნაცვლად — „ჩემი მოკითხვა გადაეცით“, დახვეწილი — „ჩემი მოკითხვა ქალბატონს, ბატონს“.

ამ ლექსებში მაშინ რაღაც ტრაგიკული შევიგრძენი, სასოწარკვეთა, ძრწოლა, მორჩილება, ასეთი ლექსები წამების წინა ღამეს შეიძლება დაიწეროს.

ლანჟერონის ქუჩით ქალაქის თეატრსა და ყვავილებით გამოსახულ ოდესის გერბიან გაზონს ჩავუარეთ, უკან მოვიტოვეთ ისტორიული მუზეუმის ანტიკური სადარბაზო, ქალაქის საბჭო და ხის ლაფეტზე მდგარი სახელგანთქმული თუჯის ზარბაზანი, შემდეგ აუჩქარებლად გავყევით ნიკოლაევსკის ბულვარს, პუშკინის ძეგლიდან დუკა დე რიშელიეს ქანდაკების მიმართულებით, კვარცხლბეკში რომ თუჯის ბომბი ჰქონდა და ხელი ზღვისკენ, „თავისუფალი სტიქიონისაკენ“ გაეშვირა.

სასტუმრო ლონდონის ახლოს მდებარე სასახლე გერმანელების შტაბს ეკავა, სადარბაზოსთან ფოლადისკასკიანი ორი გუშაგი იდგა. მაღლა, ბულვარის გარდიგარდმო, მჭახე ყვითელი, მე რომ მკითხო, ნიყვივით ყვითელი ვეებერთელა ტილო ეკიდა გოთური გერმანული წარწერით. ბუნინი შეჩერდა და არწივის შორსმხედველი თვალებით წაიკითხა: „ავტომობილენ ლანგზამფარენ!“ რაც ნიშნავდა — „ავტომობილებმა ნელა იარონ!“

¹ სადა ხარ ახლა, ხომ არ გაოცებს ბისკაის ყურის მწვანე ტალღები ან თოვლისფერი კაბები და ჭილის ქუდები.

² ჩემი მოკითხვა ქალბატონს, ბატონს, დაგიკოცნიდი ბავშვურ ხელებს, ნაზს და მხურვალეს, ეს სიყვარული ჩუმი და სათნო ამიერიდან ველარავის ვერ დავუმალე.

ორი თუ სამი ავსტრიელი ოფიცერი შტაბის ახლოს იდგა და რკინის ბადის ქვეშ გამოკრულ, მანქანაზე დაბეჭდილ და როტატორზე გავრცელებულ ოპერატიულ ცნობებს კითხულობდნენ. მათ ხელს აწერდა ფელდმარშალი ლუდენდორფი. წელზე ოფიცრებს ნიკელის ქარქაშიანი ხმლები ეკიდათ.

ჩემთვის, გიორგის ჯვრის კავალერ რუსი ოფიცრისათვის უცნაური იყო მტრის ჯარით დაკავებულ რუსულ ქალაქში, რუს აკადემიკოსთან, გამორჩენილ მწერალთან ერთად სიარული, თავისი სურვილით რომ გამოქცეულიყო საბჭოთა რუსეთიდან, საერთო პანიკას აპყობოდა და ვილაციისგან თავის გადარჩენას ცდილობდა ოკუპირებულ სამხრეთში, გერმანელებისაგან გამოგონილ უკრაინულ სახელმწიფოში, აქამდის ყველასათვის უცნობი გეტმანი სკოროპადსკი რომ მართავდა, თითქმის ოპერეტული პიროვნება, მეფის ყოფილი არმიის გენერალი თუ პოლკოვნიკი.

— როდის ვნახეთ ერთმანეთი უკანასკნელად? — მკითხა ბუნინმა.

— თოთხმეტი წლის ივლისში.

— თოთხმეტის ივლისი, — ფიქრიანად თქვა მან, — ოთხი წელი, ომი, რევოლუცია, მთელი საუკუნეა.

— მაშინ აგარაკზე მოვედი * თქვენთან, მაგრამ ველარ მოგისწართ.

— ჰო, ომის გამოცხადების მეორე დღესვე გავემგზავრე მოსკოვს. ძლივს გავადწიე. ყველგან სამხედრო ეშელონები იდგა... რუმინეთის შიში მქონდა, თურქეთის ფლოტის...

გავჩუმდით.

ივლისის ხორშაკიანი დღე იყო. ცხელი ქარი კულიკოვის ველზე შავი მტვრის ღრუბლებს ერეკებოდა, დაწნეხილი თივის ბულულები მოჰქონდა, კუდებს უპრეხავდა ხუტორებიდან მობილიზაციით მორეკილ ცხენებს. ლითონისფერი ცა და სისხლისფერი დაისი ქალაქის თავზე სამუდამოდ ჩამრჩა მესხიერებაში, მუდამ მახსენებს ამ ლექსებს:

«Вечернюю! Вечернюю! Вечернюю! Италия! Германия! Австрия!» И на площадь, мрачно очерченную чернью, багровой крови пролилась струя!»¹.

და კიდევ უფრო საშინელ სტრიქონებს:

«Мама и убитый немцами вечер».

«Ах, закройте, закройте глаза газет!»

ეს ლექსები უშიშრად დაწერა ბობოქარ პატრიოტულ დღეებში იმ ახალგაზრდა ფუტურისტმა, ვისმა ლექსმაც („ნავსადგური“) ასე მომხიბლა ოდესღაც, მაგრამ ახლა უკვე ვიცოდი მისი ვინაობა. ის ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო...

«Звонок. Что вы, мама? Белая, белая, как на гробе газет. «Оставьте! О нем это, об убитом, телеграмма. Ах, закройте, закройте глаза газет!»¹.

ეს სტრიქონები სულში მქონდა ჩაბეჭდილი მთელი ომის განმავლობაში, მაგრამ განა შეიძლება ბუნიანს სცოდნოდა ეს? მასთან მაიაკოვსკის გვარის ხსენებისაც კი მეშინოდა. ასევე არ შემეძლო შემდეგში მაიაკოვსკის თანდასწრებით ბუნიანის სახელი წარმომეტქვა. ისინი ერთმანეთს გამორიცხავდნენ, ჩემს მეხსიერებაში კი ისინი გვერდიგვერდ დგანან, და ასეც იქნება მუდამ.

ბუნიანი სწრაფად მიდიოდა. ნიკაპი წინ წამოეწია, დაძარღვულ კისერს ატრიალებდა, გამჭრიახად იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს უნდოდა ყველაფერი კარგად, ძალიან კარგად დაემახსოვრებინა და შემდეგში დაწვრილებით აეწერა სადმე: ასწლოვანი ჭადრების ღია მწვანე დაფოთლილი ტანი, ბულვარის ქვემოთ გარინდული ნავსადგური, ფოლადისფერი გრძელი გერმანული შტაბის მანქანა „ბენცი“, კუთხეში მდგარი გუშაგის ახლოს რომ გაუხვია. გუშაგი ჩვეულებრივი რუსი ჯარისკაცი იყო, რაღაც უცნაური სამკბილათი მორთული ჩინოვნიკის მრგვალკოკარდიანი ქუდი ეხურა, რაც ალბათ იმას ნიშნავდა, რომ ჯარისკაცი გეტმან სკოროპადსკის თვითმპყრობელურ „ვარტას“ ეკუთვნოდა.

კარგად ნაცნობი ხილის მაღაზიების ზოლიანი ფარდულები ეკატერინეს მოედანზე, სადაც ახლად შემოსული მსხვილ-მსხვილი ხენდროთი და ჩაშავებული თუ ღია ვარდისფერი ბლით სავსე კალათები იდგა. ბლის პრიალა კუნწულებში თითქმის ზაფხულის მზე ისარკებოდა.

ჩემი მასწავლებლის მაგრად მოკუმულ ყბებსა და დაძაბულ სახეზე კარგად დაფარულ შეცბუნებას, დაბნეულობასაც კი ვკითხულობდი. გავიგე, რომ იგი ცოლით იყო ჩამოსული ქალაქში და მხატვარ ბუკოვეცკისთან დაბინავებულიყო, მაგრამ უახლოეს დღეებში აგარაკზე გადადიოდა, სადაც მიმიწვია კიდევ.

ასე დავუახლოვდი კვლავ ბუნიანს იმ დღემდე, ვიდრე ორი წლის შემდეგ მან საბოლოოდ და სამუდამოდ არ დატოვა სამშობლო.

ისევ ის მეთექვსმეტე სადგური და აგარაკი, მაგრამ ამჟამად არა კოვალევსკისა, სადაც პირველად გავიცანი იგი, არამედ სხვა, კოვალევსკის აგარაკამდე ტრამვაის ლიანდაგის მარჯვენა მხარეს რომ იდგა და უფრო ახლოს იყო მინდვრებთან, ვინემ ზღვასთან. მაგრამ ისევ ისეთი ტიპური დიდი ფონტანსკაიას აგარაკი გახლდათ—კრამიტის სახურავის ქვეშ შეყუჟული სახლი. ყვავილნარში ვარდები, სპარსული იასამანი და ტუიები, მათ ფენა-ფენა დაწყობილ ტოტებზე ხმელი, მოშავო-მოცისფრო დამტვერილი გირჩები მოჩანდა, ტოტების სიღრმეში თეთრად გაბლანდილიყო აბლაბუდა. კრიკინას დაებურა ღია ვერანდა. როცა გაჩახჩახებულ, დასიცხულ გარემოს დააღწევდა კაცი თავს და გახურებული კიბით ტერასაზე

¹ წკრიალებს ზარი... დედაჩემო, რა გემართება!
რატომ ჩანხარ სუდარასავით ნაფერმკრთალები?
„ეს დეპეშაა სიკვდილისა... ეჭვი მართლდება.
ო, დაუხუჭეთ, დაუხუჭეთ გაზეთს თვალები!“

ავიდოდა, ჯერ სიბნელე დააბრმავებდა, შემდეგ კი ოქროსფერ ბინდბუნდში სასადილო მაგიდას დალანდავდა. ჭრელ მუშამბას ზოლა-ზოლად აჩნდა დაღვრილი კაკაო და ზედ კრაზანები დაცოცავდნენ.

დაახლოებით ასეთსავე ვერანდაზე ვნახე პირველად ბუნინის ცოლი — ვერა ნიკოლაევნა მურომცევა, ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ბანოვანი კი არა, სწორედ ქალი, — მაღალი, ცისფერთვალეა, სახე კამეას უგავდა, სადად გადავარცხნილი ქერა თმის გრაგნილი უკან, კისერზე დასცურებოდა, ეცვა კურსანტი ქალის დარად. ჰქონდა წმინდა მოსკოვური სილამაზე, თვალს რომ არასოდეს არ მოგჭრის. გახლდათ პროფესორთა იმ ინტელიგენტურ წრიდან, უფრო მიუწვდომელი რომ იყო, ვინემ აგურისფერყდიანი „ვესტნიკ ევროპი“. ეს ყურნალი მრავლისმეტყველი, თითქოს მეტისმეტად მეცნიერული გვარის მქონე პროფესორ ოვსიანიკო-კულიკოვის რედაქციით გამოდიოდა. ვხედავდი, ვერა ნიკოლაევნა ლამაზი იყო, მაგრამ ჩემს გემოვნებას არ ესადაგებოდა: მსხვილი ფეხები, ღილებიანი ფეხსაცმელები, ანტიკური ქაღალმერთის — მაგალითად, დემეტრას—მოგრძო ცხვირი, სათნოებით აღსავსე ქალი. მაგრამ თავი და თავი, ბუნინის ცოლი! მგონი, არც ჯვარდაწერილი, არამედ მოსკოვის ლიბერალთა კვალობაზე სამოქალაქო წესით შეუღლებული. ამ ქალზე წერდა თავის ბიოგრაფიულ შენიშვნებში ადრე უკვე დაქორწინებული ბუნინი, ამა და ამ წლიდან „ჩემი ცხოვრების თანაზიარია ვ. ნ. მურომცევამ“. იგი იყო მკვიდრი ძმისშვილი პირველი სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის, კადეტური მოსკოვის გამოჩენილი ბურჟუაზიული პოლიტიკური მოღვაწის მურომცევისა, ცნობილი „ვიბორგის მოწოდების“ სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის.

ახლა ბუნინი და მისი ცოლი ბოლშევიკებს გამოქცეოდნენ, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „სოვდეპიდან“ გამოელწიათ, სხვა მოსკოველ ლტოლვილებივით აგარაკზე ცხოვრობდნენ და იმ დროს ელოდებოდნენ, როცა საბჭოთა ხელისუფლება საბოლოოდ დაიმსხვრეოდა და შინ დაბრუნება გახდებოდა შესაძლებელი.

მე უკვე ისე ხშირი სტუმარი ვიყავი მათი, რომ ბუნინი არ მერიდებოდა და ხანდახან მოსკოვურ ყაიდაზე ეჩხუბებოდა ხოლმე ცოლს.

— ვერა, შენ მართლა სულელი ხარ! — გაგულისებით ყვიროდა ბუნინი.

ის კი ანგელოზური ცისფერი თვალეებით მორჩილად შეჰყურებდა თავის მბრძანებელს და კვნესით ამბობდა:

— იოან, გევედრები, ნუ ხარ ასე აუტანლად უხეში, — თან ერთმანეთში ხლართავდა გრძელ მოციხფრო თითებს, — რას იფიქრებს ახალგაზრდა პოეტი? ხომ შეიძლება იფიქროს, რომ პატივს არა მცემ.

მახსოვს, მაშინ ძალზე გამაოცა, ბუნინს რომ „იოანი“ უწოდა. მაგრამ მალე მივხვდი, ეს მაშინდელ მოსკოველთა ჩვევა გახლდათ. მაშინ მოდაში იყო რუსული წარსულით გატაცება. ივანეს ნაცვლად იოანის დაძახებაც სავსებით ესადაგებოდა მოსკოვურ სტილს და იქნებ ნაწილობრივ ივანე მრისხანესაც ადარებდა, იმიტომ რომ ბუნინსაც ღვარძლიანი სახე, წვერები და მეფურად მოწკურული არწივისებური თვალეები ჰქონდა.

ასე იყო თუ ისე, ვერა ნიკოლაევნა სიყვარულით თრთოდა და ცახცა-

ხებდა თავისი მბრძანებლის წინაშე და ერთგული ქვეშევრდომივით ეთაყვანებოდა, თუმცა ბუნინი სრულებით არ ჰგავდა ივანე მრისხანეს.

აქამდე, მგონი, პოლონურად უქცევდა ქმარს სახელს და იანს ეძახდა.

მე სულ ახალ-ახალი ლექსები და მოთხრობები მიმქონდა მასწავლებელთან.

— აბა, დაუკვირდი, ვერა, — ეუბნებოდა ბუნინი ცოლს, ხელში კი ჩემი თხზულებანი ეჭირა, — როგორც ყველა დამწყებს, ამასაც ჰგონია, რომ ლიტერატურა დიდებას, ფულს და ფუფუნებას მოუტანს. გამოტყდით, მოწყალეო ხელმწიფევ, — ახლა უკვე ჯიქურ მე მომმართა, — რომ ოცნებობთ გაზეთებსა და ჟურნალებში იხილოთ თქვენი პორტრეტები, გაქოთ და გადიდოთ პრესამ, გქონდეთ საკუთარი აგარაკი ფინეთში, ფული ლიონის ბანკში, გყავდეთ ლამაზი ცოლი და მანქანა! ერთი შეხედვით, ვერა, როგორ გაწითლდა! ახლა დაიწყებს ტყუილებს, არაფერი არ მინდა წმინდა ხელოვნების გარდაო. აი რას გეტყვით, მოწყალეო ხელმწიფევ: ნუ გგონიათ თითქოს ყველა გამოჩენილი მწერალი უსათუოდ მდიდარი უნდა იყოს. სანამ ასე თუ ისე უზრუნველყოფილ, მინიმალურად უზრუნველყოფილ მდგომარეობას მიაღწევს, თითქმის ყველა მწერალი საოცრად ღარიბად ცხოვრობს. არ გჯერათ? კეთილი. რა შეხედულებებისა ხართ, მაგალითად, კუბრინზე? ცნობილი მწერალია, ხომ? ზედიზედ სცემს წიგნებს, უზარმაზარი სახელი აქვს, მკითხველი საზოგადოების კერპია, მეთანხმებით?

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, ნება მიბოძეთ ვითხრათ, რომ ამ ცნობილ მწერალს, კუბრინს, თვეების განმავლობაში არ ჰქონდა ხოლმე ჯიბეში სამი კაპიკიც კი. ამას გადატანითი მნიშვნელობით როდი ვამბობ. ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით — არ ჰქონდა სპილენძის სამკაპიკიანიც კი.

ბუნინმა ისე შთამბეჭდავად თქვა ეს სიტყვები, რომ მის გამოწვდილ ხელისგულზე მეფისდროინდელი სპილენძის სამკაპიკიანი დავინახე, ჩაშავებული არწივის გერბით. როგორც მაშინდელი ყველა ხურდა ფული, ისიც უკვე გასულიყო ხმარებიდან. ისინი საფოსტო მარკებს, ცისფერ ათკაპიკიანებს, მწვანე ოცკაპიკიანებს და ოდესის ქალაქის გამგეობის მიერ გამოშვებულ რაღაც უცნაურ ყვითელ ათშაურიანებს შეეცვალა. მათზე გამოსახული იყო ქალაქის გერბი — შავლუზიანი ჰერალდიკური ფარი. ასე რომ პორტმონეში ხურდა ფულის ნაცვლად ყველა გაქეჩილ ქალაღდებს დაატარებდა.

ბუნინს ჩემი ნაწერები თავის ოთახში მიჰქონდა, რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ტერასაზე გამოდიოდა და მეუბნებოდა:

— მაშ ასე. განაგრძეთ, რაღაც-რაღაცეები კი გაქვთ, მაგრამ მუშაობა და მუშაობაა საჭირო.

ან დაახლოებით ამის მსგავსს მეტყობდა ხოლმე.

შინ დაკვირვებით ვსწავლობდი ბუნინის ფანქრისა თუ ფრჩხილის ნაკვალევს: მკრთალად ხაზგასმულ სიტყვებს, ნოტაბენებს, აღნიშვნებს და თავს ვიმტკრევდი თვითულის მნიშვნელობის გასაგებად.

მოუთმენლობას სიგიჟემდე მივყავდი, გულისღევით ველოდებოდი შემდეგ შეხვედრას.

დილით მისვლა არ შეიძლებოდა, რადგან ბუნინი სწორედ დილაობით მუშაობდა ხოლმე. ქალაქიდან ნასადილევს ჩამოვდიოდი, შეღამებამდე. ხანდახან, როცა ტრამვაის მარკები არ მქონდა, ფეხით ვკეცავდი თხუთმეტიოდე ვერსს დიდ ფონტანსკაიას მტვრიან გზაზე აგარაკების, შუქურებისა და სადგურების გასწვრივ. ხანდახან ვჩერდებოდი და თვალუწვდენელი ზღვით და აქაფებული ტალღებით ვტკბებოდი, საიდანაც ასეთი სუფთა და ლალი ქარი ქროდა.

მზე ტრამალზე ეშვებოდა და ჩემი ფეხების გრძელი ჩრდილი — გალიფესა და ჩექმების წყალობით ორთაფეხებზე შემდგარს ვგავდი — აბზინდის არშიაშემოვლებულ ხრამამდე აღწევდა, იქ კი ჩემი ტანის და თავის ჩრდილი — დაჭმუჭნული ფრონტული ქუდი მეხურა, — თითქოს უფსკრულში იჩეხებოდა და ასტრალური სხეულივით მიქროდა შიგ; მხოლოდ ხანდახან თუ გაკრთებოდა პატარა მკაფიო ლანდად ზღვის კენჭებზე ან მღვრიე მწვანე ტალღაზე, ძნელად გასადნობ მინის მილივით რომ იგრაგნებოდა და უცბად ნამსხვრევებად იფანტებოდა კლდეებზე.

მანიაკის სიჯიუტით ვფიქრობდი ბუნიზე, მის ახალ ლექსებზე, პროზაზე, საბჭოთა რუსეთიდან, იდუმალი რევოლუციური მოსკოვიდან რომ ჩამოეტანა.

ეს იყო სხვა, ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი ბუნი, ახალი, სრულიად განსხვავებული იმ ბუნიდან, სიგრძე-სიგანით რომ ვიცნობდი ომის დროს „ნივას“ დამატებად გამოსული მისი თხზულებათა კრებულით. ეს იყო ყვითელყდიანი წიგნი, ვინიეტებად კი ჩამოცვენილი ფოთლები ჰქონდა.

როგორც ჩანს, იგი ჯერაც ისე აღიქვებოდა, როგორც შემოდგომის ჭკნობის მომღერალი, „ფოთოლცვენის“ ავტორი.

«Лес, точно терем расписной, лиловый, золотой, багряный, веселой, пестрою стеной стоит над светлою поляной...»¹.

ეს პატარა პოემა ჩემთვის მთელი რუსული პოეზიის შემოდგომის სურათების ენციკლოპედია იყო დერჟავინიდან მოყოლებული ფეტსა და პოლონსკამდე, ისევე, როგორც პუშკინის „ევგენი ონეგინი“ ითვლებოდა რუსული ცხოვრების ენციკლოპედიად.

შეიძლება აქ არაფერი არ იყო ახალი, მაგრამ „ფოთოლცვენა“ ბრწყინვალედ ამთავრებდა მთელ პოეტურ ეპოქას. მისი თვითუღი ლექსი სანუკვარ ასოციაციებს იწვევდა ყოველ რუს ადამიანში.

¹ ტყე აღმართულა ზღაპრულ კოშკივით
მზისფერი, მწვანე და ოქროსფერი,
ფერებმდიდარი და აქორჩილი
ჭრელ კედელივით ველს გადმოსცქერის.

«...И Осень тихою вдовой вступает в пестрый терем свой...», «...и месяц медленно встает. Все тени сделал он короче, прозрачный дым навел на лес и вот уж смотрит прямо в очи с туманной высоты небес»¹.
ეს ადგილი ყოველთვის მახსენებდა პუშკინის სტრიქონებს:

ტყეს მოჩვენებად თავს წამოადგა
მთვარე მდუმარე და ნისლიანი.

სტრიქონები — „შორი მინდვრიდან ბუკის ძახილი ტყეს ეფინება სპილენძის ჟღერად“ — „გრაფ ნულინს“ მაგონებდა ხოლმე ცხადლივ. მაგრამ ეს მაინც ორიგინალური იყო, წმინდა ბუნინისებური:

«...И в горностаевом шугае, умывши бледное лицо, последний день в лесу встречая, выходит Осень на крыльцо...»².

შემდეგ კი დიდებული დასასრული:

«...И будут в небе голубом сиять чертоги ледяные и хрусталем и серебром. А в ночь, меж белых их разводов, взойдут огни небесных сводов, заблещет звездный щит Стожар — в тот час, когда среди молчанья морозный светится пожар. Расцвет Полярного Сиянья!»³.

რადაც მნიშვნელოვანს ვხედავდი იმაში, რომ „შემოდგომას“ საკუთარი სახელივით ასომთავრულით წერდა. მაშინ ეს ძალზე მომწონდა, ახლა კი მანერულად მეჩვენება. მაგრამ ასეა თუ ისე — ლექსები ბრწყინვალე იყო.

პირველ წიგნებში ბუნინი თავის სამშობლოზე ტრადიციულ-ხალხოსნური შეხედულებების ტყვეობაში იმყოფებოდა, რომლის მიხედვით რუსეთი ლატაკი, მორჩილი და უბადრუკი ქვეყანა იყო.

«Я не люблю, о Русь, твоей несмелой, тысячелетней, рабской нищеты. Но этот крест, но этот ковшик белый... Смиранные, родимые черты!»⁴.

ბუნინს მაშინ ისევე უჩუყებდა გულს ლატაკი რუსეთი, როგორც მის ერთ-ერთ თანამედროვე პოეტს.

¹ ...და შემოდგომა ტყის კოშკში შედის ქვრივივით ჩუმი და მოწყენილი.

...და ამოცურდა მთვარე ნელ-ნელა,
ტყეს გამჭვირვალე კვალი დაჰკიდა,
და დაუმოკლა ხეებს ჩრდილები
და იხედება ცათა სარკმლიდან
მონისლულ მზერით და მორჩილებით.

² ...ტყე შემოსილა ყარყუმით, ფარჩით,
არ აკრთობს ზამთრის მოახლოება
და შემოდგომა გამოდის კარში
და უკანასკნელ დღეს ეთხოვება.

³ ცაში ყინულის სასახლეები
შეიჭედება ბროლით და ვერცხლით.
და ღამდამობით ხის ტოტებს შორის
ცათა თაღები იელვებს შორით.
ცა ვარსკვლავების სუსხით დამზრალი
მარადისობის არის ზიარი,
ჩუმად ანთია ყინვის ხანძარი
და ჩრდილოეთის ჰყვავის ციალი.

⁴ არა, არ მიყვარს, ო, რუსეთო, ეგ გაჭირვება,
საუკუნოვან მონურ ყოფას დასადარელი...
მაგრამ ეს ჯვარი, თეთრი ციცხვი, ეგ მორჩილება
მშობლიურია, ახლობელი და საყვარელი.

«Россия, нищая Россия, мне избы серые твои, твои мне песни ветровые — как слезы первые любви!»¹

ახლა კი ბუნინის უკანასკნელ წიგნში, რუსეთში რომ გამოსცა ჩვენთვის უცნობმა პეტროგრადის გამომცემლობა „პარუსმა“ 1918 წელს (თხზულებათა ათტომეული), წავიკითხე ლექსი „არქისტრათიგი“, სადაც რუსეთი სულ სხვანაირად აქვს წარმოდგენილი ავტორს:

«Архистратиг средневековый, написанный века тому назад на церковке одноголовой, был тонконог, весь в стали и крылат... Кто знал его? Но вот совсем недавно открыт и он, по прихоти тщеславной столичных мод, — в журнале дорогом изображен на диво, и о нем теперь толкуют мистики, эстеты, богоискатели, девицы и поэты. Их сытые, болтливые уста пророчат Руси быть архистратигом, кощунствуют о рубище Христа и умиляются — по книгам, — как Русь смиренна и проста»¹.

ეს ლექსები, მგონი, 1916 წელს დაწერა ბუნინმა, როცა წინასწარმეტყველივით იგრძნო მისთვის საშიში რევოლუციის მოახლოება, რასაც ვერ იქნა და სიკვდილამდე ვერ შეურიგდა.

შემდეგში კი, ემიგრაციაში, სიტოცხლის უკანასკნელ ხანს, ამოშალა მან ლექსიდან მისტიკოსები, ღვთის და რწმენის მაძიებლები, პოეტები, ესთეტები, ამოშალა „მსხვილტუჩება მოლაყბეები“. მაგრამ მე არა მწამს ასეთი თვითცენზურა. რაც დაიწერა, დაიწერა, რაც ითქვა, ითქვა, იმას უკან ვერ დაიბრუნებ.

ასე დაიბადა ოდესღაც ჩემთვის ახალი ბუნინი, თითქოსდა ძველი რუსეთის სამყაროს მოციქული, მკაცრი, ფანტასტიკური, არავის მსგავსი და ამავე დროს საოცრად ახლობელი ნაციონალური სამყაროსი, თავის ყაიდაზე რომ შექმნეს ჩვენმა პაპებმა; ამ სამყაროში საოცრად აღრეულიყო კერპთაყვანისმცემლობა თუ ქრისტიანობა, ძველსლავური, ფინურვარიგული, ბიზანტიური თუ თათრული სული. ეს სასტიკი, სისხლიანი და გენიალურად თვითმყოფადი სამეფო სრულებით არ ჰგავდა იმ „ძველ რუ-

¹ არქისტრათიგი — შვილი შუა საუკუნეთა, ვისაც ღვთის ნებით მორჩილებს ჯარი, გამოესახათ ეკლესიის მაღალ გუმბათზე მთლად შეაბჯრული, რკინაში მჯდარი. მანამდე უცხო, აგერ ახლა აღმოაჩინეს და გადაბეჭდეს ჟურნალების ყდებზე მაშინვე. მასზე მსჯელობენ რწმენითა და აღფრთოვანებით მისტიკოსები, ესთეტები, შინაბერები. მასზე მსჯელობენ ღვთის და რწმენის მაძიებლები, სახე დაჟღაჟა, მსხვილტუჩება მოლაყბეები. მაცხოვრის ძონძებს დასცინიან, სახელს თათხავენ, რუსეთს კი მთავარანგელოზად წარმოსახავენ, ხოლო წიგნებში ცრემლებს ღვრიან და ვიშვიშებენ დედა რუსეთის სათნოებით და მორჩილებით.

სეთს“, სკოლის დაბალ კლასებში რომ ვკითხულობდით რუსული ისტორიის საცოდავად თხელ სახელმძღვანელოში.

საკმარისია, ბუნინის იმდროინდელი ლექსების თუნდაც მხოლოდ სათაურები ჩამოვთვალოთ—„ურდო“, „ტაკიმასხარები“, „ექვსფრთოსანი“, „წამება“, „ბერი“, „მათე გამჭრიახი“, რომ ნათლად დავინახოთ, რა ფორიაქი გამეფებულიყო მაშინ მის სულში.

«Алел ты в зареве Батыя — и потемнел твой жуткий взор. Ты крылья рыже-золотые в священном трепете простер. Узрел ты Грозного-юрода монашеский истертый шлык — и навсегда в изгибах свода застыл твой большеглазый лик»¹.

აქამდე საშინლად მაღელვებს ბუნინის იმდროინდელი გაურანდავი სტრიქონები:

«Бысть некая зима всех зим иных лютейша паче»... «Все лицо его тугое смехом сморщилось, корешки зубов из рта зачернелись»... «Туманно утро красное, туманно... Точите нож, мочите солью кнут!.. Давай, мужик, лицо умыть, сапог обуть, кафтан надеть, веди меня, вали под нож в единый мах — не то держись: зубами всех заем, не оторвут!»... «Князь Всеслав в железы был закован».. «И тьма и холод в моей пещере... Одежды ветхи... Сплю в гробу... О боже! Дай опору вере и укрепи мя на борьбу!»².

თუ ლექსი ნაწილობრივ მაინც არის პოეტის სულის ანარეკლი, ეს კი, ცხადია, მხოლოდ მაშინაა, თუ ავტორი ჭეშმარიტი პოეტია — მაშინ ჩემი ბუნინის სული, იმ ბუნინისა, ვისკენაც დიდი ფონტანსკაიას სანაპიროთი მივისწრაფვოდი, ჯოჯოხეთის ცეცხლში იკრუნჩხებოდა და თუ ბუნინი არ კვნესოდა, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ჰქონდა რევოლუციის აღსასრულის იმედი.

ამასობაში ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. ხანდახან ისიც კი მეჩვენებოდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა-მეთქი, უბრალოდ, წინა წლების მსგავსად ხალხი დასასვენებლად ჩამოვიდა სამხრეთში, ოდესის სანაპიროზე. ჩამოვიდნენ ლტოლვილები და ემიგრანტები კი არა, ჩვეულებრივი მოაგარაკეები — ლურჯი ემალის ქვაბებით, ნავთქურებით, სა-

¹ კოცონთა ალში ყოველი კრთება და ჩაგიმუქდა შიშით თვალები და ოქროსფერი წითური ფრთები გაშალე თრთოლვით და მოკრძალებით. იხილე კიდევ მრისხანე და მკაცრი სალოსი თავზე მონაზვნის გაცვეთილ ჩაჩით, ვერ დაიწყნარე სულში ქაოსი და გაქვავებულ თაღებში ჩარჩი.

² „დადგება ზამთარი ყველა ზამთარზე უმკაცრესი“... „დაძაგრული სახე სიცილმა დაუმანჭა, ჩაშავებული კბილების ფესვები გამოუჩნდა...“ „ნისლიანია წითელი დილა, ნისლიანი... გალესეთ დანა, დააღბეთ შოლტი! მიდი, გლეხკაცო, ჩექმა და ხიფთანი ჩაიცვი, მეც წამიყვანეთ ჯანდაბას და დანით მომკალით, არადა ყულში გეცემით და დაგლრღნით კბილებით!“ „თავად ვსესლავს ჯაჭვის პურანგი ეცვა“... „სიცივეა და სიბნელე ამ ჩემს მღვიმეში, შემომძარცვია ტანსაცმელი... მძინავს კუბოში... ღმერთო ძლიერო, მომეცო რწმენა, მომეცი ძალა შებრძოლებისა!“

ბანაო ჩაჩებით, ველოსიპედებით, „სკოროხოდებით“ (ასე ეძახდნენ სანდლებს), კროკეტებით. შეიძლება მოაგარაკენი ამჟამად გაცილებით მეტი იყვნენ, მაგრამ ეს დიდ განგაშს არ იწვევდა: კარგი ზაფხული იყო, შესანიშნავი ამინდი იდგა. როგორც „ოდესკი ლისტოკი“ წერდა: „მოაგარაკენი მოზღვავდნენ და საკურორტო სეზონი გახურდა“. თითო აგარაკზე ორისამი ოჯახიც კი ცხოვრობდა.

მაგალითად, ბუნიებთან აგარაკზე ცხოვრობდა ერთი მდიდარი, მსუქანი ქალბატონი, ვისი მოთხოვნაც ახლახან დაბეჭდილიყო ჟურნალში „ვესტნიკ ევროპი“. ეს კი მაშინ „დიდ ლიტერატურაში შესვლას“ უდრიდა. ქალბატონს ფუნჩულა გოგონა და ქმარი ჰყავდა. ქმარი არაფრით არ იყო შესანიშნავი, მაგრამ ფრიად შეძლებული ჩინოვნიკი გახლდათ. ჰოდა, იგი სიამოვნებით შევიწროვდა და ორი ოთახი თავისი ვერანდით ბუნიის დაუთმო. ბუნიის დიდება ბოლო ხანებში საგრძნობლად გაზრდილიყო. ახლა იგი მხოლოდ მარტოობის პოეტი, რუსული სოფლისა და გალატაკებული თავადაზნაურობის მომღერალი როდი იყო, ის იყო ავტორი საოცრად ახლებური მოთხოვნებისა: „სანფრანცისკოელი ვაჟბატონი“, „ჩანგას სიზმრები“, „ლალი სუნთქვა“. ამ მოთხოვნებმა თითქმის პირველ რუს პროზაიკოსად გახადეს იგი.

ჩემმა მეგობრებმა კი — ახალგაზრდა და არც ისე ახალგაზრდა ოდესელმა პოეტებმა — ერთ მშვენიერ დღეს ერთხმად აღიარეს ბუნიის უცილობელ ავტორიტეტად. „ნივამ“ თავის ღამათებად გამოსცა ბუნიის თხზულებანი, რამაც მაშინვე კლასიკოსად აქცია იგი.

ბუნიის მოაგარაკის იერი ჰქონდა, მაგრამ პროვინციული მოაგარაკისა კი არა, ჩალის ქუდს, აპაშე ხალათსა და ტილოს ფეხსაცმელებს რომ ატარებდა; ბუნიის ქალაქელი მოაგარაკე იყო, საოცრად ნატიფი ინტელიგენტი, ძვირფასი საზაფხულო სანდლები, საზღვარგარეთული წინდები და კარგად დაუთოვებული საყელოგადაკეცილი ტილოს ხალათი ეცვა. გულის ჯიბეში ორად მოკეცილი ფოლადის პენსნე ედო. წელზე გაჩეჩილ ფუნჯებიანი აბრეშუმის ზონარი კი არ ერტყა მამაჩემივით, სადა, მაგრამ ამავე დროს საკმაოდ ძვირფასი ტყავის ქამარი ჰქონდა მოჭერილი, ხანდახან ტოლსტოისებურად რომ უყრიდა იგი ხელებს. ქუდს არ ატარებდა, მაგრამ თუ განსაკუთრებით დააცხუნებდა მზე, მაშინ საუცხოო, ნამდვილ პანამას იხურავდა, რომელიდაც შორეულ ქვეყნიდან რომ ჩამოეტანა, ან კიდევ ისეთ ტილოს კარტუზს, ფეტი, პოლონსკი, და, მგონი, თვით ლევ ტოლსტოი რომ ატარებდნენ ზაფხულში.

ვხედავ დიდ საზოგადოებას აგარაკის ვერანდაზე. არა, კი არ ვხედავ, თავს ვაიძულებ დავინახო, თითქოს ვფათურობ მეხსიერების ბნელ კუნჭულებში და ალაღბედზე ვეხები ტლანქი თითებით მის ყველაზე იდუმალ კვანძებს.

ყველა ესენი ლტოლვილები არიან საბჭოთა რუსეთიდან: ცნობილი ვეჭილები, ექიმები, ლიტერატორები, თვით აკადემიკოსი ოვსიანიკო-კულიკოვსკი, „შემოქმედების ფსიქოლოგიისა“ და ტურგენევის დაწერილი სტატიების ცნობილი ავტორი, იმ მიუწვდომელ, დიდად პატივცემულ ჟურნალ

„ვესტნიკ ევროპის“ რედაქტორი, სადაც სულ ცოტა ხნის წინ დაიბეჭდა იმ სქელი ქალბატონის პატარა მოთხრობა, ნახევარი აგარაკი რომ დაუთმო ბუნინებს. ახლა იგი, როგორც წესი, უკვე „შევიდა რუსულ ლიტერატურაში“, სადაც შესანიშნავად გრძნობდა თავს.

მე, მაგალითად, კიდევ არ ვიყავი შესული. ის კი შევიდა!

ქალბატონი მარტო სქელი კი არა, ზორბა და ძალ-ღონით სავსე იყო, შავთმიანი და შავთვალწარბა; პატარა ბაგე, დაკუნთული ყბები, მრგვალი, მკვრივი ნიკაპი და მსუქანი, ალექსილი ლოყები ჰქონდა. მბრძანებლური ბუნებისა იყო და ამავე დროს ლამის დნებოდა ორი გამორჩენილი აკადემიკოსის წინაშე.

არა, აქამდე არასოდეს არ მოეყარა ოდესაში თავი ესოდენ ბრწყინვალე საზოგადოებას. მართალია, ლტოლვილები, პოლიტიკური ემიგრანტები, განდგომილები იყვნენ, მაგრამ მაინც!..

თუმცა, ვინ იცის, ვინ იცის!

ბუნინი შესანიშნავ, ოდნავ სარკასტულ გუნებაზე იყო. ცერად უყურებდა იმ ზორბა ქალბატონს, თითქოს მისი აბრეშუმის კორსეტის ტკაცუნს უგდებოდა ყურს. შეიძლებოდა გეფიქრა, აქვე, ადგილიდან გაუნძრევლად გადაუწყვეტია მისი აღწერა და ისიც მხოლოდ ერთი ხაზის მოსმით. ეტყობოდა, სწორედ ამ ერთადერთ, უზუსტეს ხაზს ეძებდა. ამავე დროს ვგრძნობდი, რომ ბუნინი იდუმლად მაძლევდა ლიტერატურის გაკვეთილს. შემდეგ სახეზე შევატყვე, რომ მიაგნო კიდევ და მსუბუქი ხელის გაქნევით თითქოს ზორბა ქალის სახის ირგვლივ მაგიური ოვალი მოხაზა შორიდან.

ყველანი გაისუსნენ, ელოდნენ, რას იტყოდა ბუნინი.

— ჰოო, — თქვა მან და გონებაში წარმოსახულ ოვალზე საჩვენებელი თითით თავდაყირა დაუსვა აქეთ-იქით მძიმეები, — პატარა შავი ულვაშები, ელენა ვასილევნა... და ზედ გამოჭრილი პეტრე დიდი იქნებოდით.

უცბად ყველამ დავინახეთ პეტრეს სახე.

ქალი წამოენთო, არ იცოდა, როგორ მიეღო ეს შედარება: პირისახეში რომ რაღაც მეფური აღმოუჩინეს, ეს მოსაწონი იყო, მით უმეტეს, რევოლუციის შფოთიან დროს თუ მივიღებდით მხედველობაში, მაგრამ მამაკაცს რომ მიაშვავსეს, ეს კი ეთაკილა.

თუმცა გამორჩენილმა ბუნინმა რომ აღწერა გამორჩენილი ოვსიანიკოკულიკოვსკის თანდასწრებით, თავი და თავი მაინც ეს იყო და ყოველგვარ ეჭვს აქარწყლებდა.

მან ქალურად და ამავე დროს მეფურად გაუღიმა ბუნინს და ყოველი შემთხვევისათვის თითით დაემუქრა:

— ოჰ, ივან ალექსევიჩი, ივან ალექსევიჩი, რატომ მეუბნებით საჯაროდ ასეთ ქათინაურებს!

ერთხელ მეც დამადგა თავისი კვიმატური თვალი. უცბად შემომხედა, თავზე შორიდან რაღაც თავსამტვრევი ნიშნები შემომიხაზა საჩვენებელი თითით და შემდეგ თქვა:

— ვერა, აბა შეხედე: ამას ზუსტად მგლის ყურები ჰქონია.

...თვითონ ბუნინსაც რომ მგლის ყურები ჰქონდა, ეს მე უფრო ადრე შევამჩნიე.

ზაფხულის მიწურულის ნალვლიანი ოქროსფერი დღე იყო. მიტოვებულ აგარაკზე გავატარეთ იგი: მეზობლები ქალაქში გადავიდნენ, ვერანკოლაევნა კი ტრამვით გაემგზავრა ქალაქს სანოვაგისათვის, რისი შონაც უფრო და უფრო ჭირდა.

წინა დღეს აქამდე დაწერილი ყველა ჩემი ლექსი მივუტანე ბუნინს მისივე მოთხოვნით: ოცდაათი ლექსი და რამდენიმე მოთხრობა. ზოგი ხელნაწერი იყო, ზოგი ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი და საკანცელარიო ქალაქში დაწებებული. საკმაოდ დიდი გრაგნილი გამოვიდა.

— ხვალ დილით მოდით. ვისაუბროთ. — მითხრა ბუნინმა.

მივედი და კიბეზე ჩამოვჯექი. ველოდებოდი, როდის გამოვიდოდა ოთახიდან. გამოვიდა, გვერდით მომიჯდა. პირველად ვნახე ასეთი წყნარი, ჩაფიქრებული. საკმაოდ დიდხანს დუმდა, შემდეგ აუჩქარებლად, ჩაფიქრებით მითხრა სიტყვები, ვერასოდეს რომ ვერ დავივიწყებ, და თან დაუმატა:

— მე სიტყვებს უმიზნოდ არ ვხარჯავ.

საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. ასე მეგონა, რომ ყველაფერი, რაც ჩემ გარშემო ხდებოდა, არარეალური იყო. მან კი ცოტა ხნის დუმის შემდეგ თავი ჩაღუნა, დაკვირვებით დააჩერდა ხრეშზე ნიჟარას და ჩემთვის უცნობი ლექსების კითხვა დაიწყო. არასოდეს არ მომესმინა, როგორ კითხულობდა საკუთარ ლექსებს. ისე წარმოთქვამდა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა, ბუტბუტებდა და ღრმად სუნთქავდა პაუზებისა და ცეზურის დროს.

«Настанет Ночь моя, Ночь долгая, немая. Тогда велит Господь, творящий чудеса, Светилу новому взойти на небеса. Сияй, сияй, Луна, все выше поднимая свой Солнцем данный лик. Да будет миру весть, что День мой догорел, но след мой в мире есть»¹.

მეორე ლექსიც წაიკითხა:

«Звездами вышит парус мой, высокий, белый и тугой, лик боготери меж них сияет, благостен и тих. И что мне в том, что берега уже уходят от меня! Душа полна, душа строга — и тонко светятся рога молодой луны в закате дня»².

¹ დადგება ღამე მუნჯი და გრძელი,
დიდი ხანია იმ ღამეს ველი,
და უფლის ნებით სულ სხვა მნათობი
ამობრწყინდება ზეცის ტატნობით.
დაე მზის შუქით იწვოდეს მთვარე,
გზას მინათებდეს ციური კვარი,
დღე გადავიდა, მაგრამ იცოდეთ,
წუთისოფელში დატოვა კვალი.

² აფრა გავშალე ვარსკვლავებით ამოსირმული,
ზედ ახატია ღვთისმშობელი სახემზიური,

ეს დღე ჩემი მოწაფედ თუ შეგირდად აყვანის დღედ ჩავთვალე. ჩვენი საუბარი დაწვრილებით ვერ შემომინახა მუხსიერებამ, იქნებ საერთოდ არც ყოფილა ეს საუბარი. იყო ხანგრძლივი დუმილი, ნალვლიანი ოქროსფერი შემოდგომის დღე, წყნარი ზღვა და ცაზე ღრუბელივით თეთრი ნაკლული მთვარე.

ჩემ გვერდით, კიბეზე, ბუნინი იჯდა, ოღონდ უსიამო, ღვარძლიანი, ცივი და დიდგულა ბუნინი კი არა, როგორც გარშემომყოფთ მიაჩნდათ, ამ დღეს თითქოს წამიერად გადამეხსნა მისი სული — ნალვლიანი, ეული, დამოუკიდებელი, უშიშარი და ამავე დროს საოცრად ნაზი, რომლის დაკოდვაც ასე იოლად შეიძლებოდა.

შეძრწუნებული ვიყავი, რომ ბუნიანს აგრე განებივრებული ბუნინი — როგორც მაშინ მეგონა — ასე უკმაყოფილო იყო თავისი მდგომარეობით ლიტერატურაში, უფრო ზუსტად, თავისი ადგილით თანამედროვე მწერალთა შორის.

მართლაც, მკითხველთა ფართო მასები ნაკლებად ამჩნევდნენ ბუნიანს, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე სევდიანად, „ლიტერატურული ბაზრის“ ხმაურში. ბუნიანს ისეთი დიდი ვარსკვლავები ჩრდილავდნენ, ვისი სახელებიც ყველას პირზე ეკერა: კოროლენკო, კუბრინი, გორკი, ლეონიდ ანდრეევი, მერეჟკოვსკი, თედორე სოლოგუბი და მრავალი სხვა „ფიქრთა მპყრობელი“. იგი არ იყო „ფიქრთა მპყრობელი“.

პოეზიაში მეფობდნენ ალექსანდრ ბლოკი, ბალმონტი, ბრიუსოვი, ზინაიდა გიპიუსი, გუმილევი, ახმატოვა და ბოლოს, უნდოდათ თუ არა, იგორ სევერიანინიც, ვისი სახელი არა მარტო ყველა გიმნაზიელმა, სტუდენტმა და ოფიცერმა, არამედ ნოქრებმა, ფერშლებმა, კომივოიაჟერებმა და იუნკრებმაც კი იცოდნენ, მაშინ როცა წარმოდგენა არ ჰქონდათ ისეთ რუს მწერალზე, როგორიც იყო ივანე ბუნიანი.

ბუნიანს უკანასკნელ დრომდე იცნობდა და აფასებდა რუსული ლიტერატურის ჭეშმარიტ მცოდნეთა და მოყვარულთა მცირე ნაწილი, ვისაც ესმოდა, რომ იგი ყველა თანამედროვე მწერალზე გაცილებით უკეთ წერდა. კრიტიკა იშვიათად არჩევდა ბუნიანის ნაწერებს, განსაკუთრებით მისი ლიტერატურული შემოქმედების დასაწყისში, რადგანაც მისი ნაწარმოებები არ იძლეოდა მასალას „პრობლემური“ სტატიებისათვის, არ იძლეოდა ლიტერატურული სკანდალის საბაბს. ამ მიზეზების გამო არ იხსენიებოდა მისი სახელი საჯარო ლექციებსა და დისპუტების აფიშებზე, სადაც მდარე ხარისხის არციბაშევი ბატონობდა, თავისი სქესობრივი პრობლემებით.

ეს პირდაპირ არ უთქვამს ჩემთვის ბუნიანს, მაგრამ სწორედ ამ აზრით იყო გამსჭვალული შხამითა და გესლით აღვსილი მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი შენიშვნები თანამედროვე ლიტერატურის მიმართ.

შეიძლებოდა დაგესკვნა, რომ მთელი თანამედროვე რუსული ლიტერატურიდან იგი მხოლოდ ტოლსტოის აყენებდა უყოყმანოდ თავის თავზე

რა მოხდა მერე, სანაპიროს დავცილდი თუკი,
სული მხნედაა,
სული იმედს არ კარგავს მაინც,
ამოდის მთვარე და ვერცხლის შუქი
ანათებს დაისს.

მალა, ჩეხოვი, ასე ვთქვათ, თავისი სიმადლის მწერლად მიაჩნდა, შეიძლება ცოტა უკეთესადაც... დანარჩენები კი?.. კუპრინი ნიჭიერია, ძალზე ნიჭიერიც, მაგრამ ხშირად დაუდევარი, ლეონიდ ანდრეევზე კარგად თქვა ტოლსტოიმ, „ის მაშინებს და მემუქრება რაღაცას, მე კი არ მეშინია.“ გორკი და კოროლენკო სინამდვილეში პუბლიცისტებია და არა მხატვრები, რაც სრულიადაც არ ამცირებს მათ დიდ ტალანტს, მაგრამ... ნამდვილი პოეზია კი გადაგვარდა. ბალმონტი, ბრიუსოვი და ბელი მოსკოვის შინგა-შორეკილი დეკადენტები არიან, ფრანგულისა და ნიჟეგოროდულის ნაზავით, არც მეტი და არც ნაკლები. „ო, დაიფარე თეთრი ფეხები“, „მინდა შლეგი და თავხედი ვიყო, შემოგახიო ტანზე სამოსი“, თუ სხვა სისულელეები. ახმატოვა დედაქალაქში მოხვედრილი პროვინციელი ქალიშვილია, ბლოკი — გამოგონილი, მწიგნობრული გერმანული პოეზია. იგორ სევერიანინის ლაქიურ „პოეზიებზე“ — ნეტავი საიდან მოიტანეს ასეთი საძაგელი სიტყვა. — ხომ ლაპარაკიც არ ღირდა. ფუტურისტები კი სისხლის სამართლის დამნაშავეებს გვანან, გამოქცეულ კატორღელებს...

მოკლედ, ბუნინი თითქმის იგივეს იმეორებდა, რაც რამდენიმე წლის წინ თქვა „რუსკი ვედომოსტის“ იუბილეზე:

„...რა დღე არ ვაყარეთ ჩვენს ლიტერატურას უკანასკნელი წლების მანძილზე, რისი მიბაძვა და იმიტაცია არ შეუძელით, რომელ სტილსა და ეპოქას არ გადავწვდით, რომელ ღმერთებს არ მოვუხარეთ ქედი! თითქმის ყოველ ზამთარს ახალ-ახალი კერპი გვყავდა. ვეზიარეთ დეკადანსს, სიმბოლიზმს, ნეონაციონალიზმსა და პორნოგრაფიასაც, „სქესობრივი პრობლემა“ რომ უნდა გადაეჭრა ვითომ, ვეზიარეთ მითოსმთხველობასა და ღმრთისმბრძოლობას, რაღაც მისტიკურ ანარქიზმსაც, დიონისესა და აპოლონსაც, „მარადისობაში სრბოლას“, სადიზმს, სნობიზმს, „სამყაროს მიღებას“ თუ „სამყაროს არმიღებას“ და რუსულს მიმსგავსებულ ბევრ სიყალბეს. ვეზიარეთ ადამიზმსაც და აკმეიზმსაც და წმინდა-წყლის ხულიგნობამდე დავედით, უაზრო სიტყვა „ფუტურიზმი“ რომ დავარქვით; რითი არა ჰგავს ვალპურგის ღამეს, კუდიანების შაბაშს!“

დაახლოებით ესა და ამისი მსგავსი მოსაზრებანი გამოთქვა ბუნინმა, როცა ვერანდის კიბეზე ვისხედით და ვსაუბრობდით.

ამ დროს ის რაღაც უჩვეულოდ მშვიდი, ჩაფიქრებული, მკაცრი ჩანდა, ამასთან ნაზი ნალველით სავსე, იმ ადამიანის დარად, აუნაზღაურებელი სულიერი დანაკლისი რომ განუცდია და მარტოდმარტო ეწამება ახლა.

ასე გრძნობს თავს სისხლისაგან დაცლილი კაცი.

მე მგონი, ეს იყო სამშობლოს დაკარგვით გამოწვეული გრძნობა.

სადილობის დრო მოვიდა, ვერა ნიკოლაევნა კი ჯერაც არ იყო დაბრუნებული. მაშინ ბუნინმა შეთქმულივით დამიქნია თითი და ფეხის წვერებზე გაემართა სამზარეულოსაკენ, აგარაკის ბოლოში რომ იყო. არიხინდა, აჩხაკუნდა რკინის ჭურჭელი. მერე გამოიტანა ტაფა, რამდენიმე ცივი ტოლმა რომ იდო ზედ, და კომპოტი ქვაბით, ილღიაში კი პურის დიდი ყუა ჰქონდა ამოჩრილი. ეს ყველაფერი სასადილო მაგიდაზე დააწყო და მიბრძანა:

— აბა, დაჯექით.

მე ჯერ არასდროს დავწვევივარ ბუნიებს. პურმარილით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ, ცოტა მოიძუნწებდნენ. მგონი, მზარეულიც არ ჰყავდათ და მეზობლებთან სადილობდნენ. ხანდახან მეც შემათრევდნენ ხოლმე იქ ჩაიზე ან ვახშამზე ბლომად მოგროვილ მოსკოველ ლტოლვილებთან. იქ გავიცანი ზოგიერთი გამორჩენილი პიროვნება. ბუნინი მოურიდებლად დამიყრიდა ხოლმე თეფშზე ნაირ-ნაირ საჭმელს და მეუბნებოდა:

— ნუ გრცხვენიათ, ვიცი, რომ მგლის მადა გაქვთ. ჭამეთ, თქვენი ახალგაზრდა ორგანიზმი ბევრ საკვებს თხოულობს. პოეზია და ახალგაზრდა ქალიშვილები ყოველდღიურად გფიტავენ. ნუ უარყოფთ, მეც ვყოფილვარ ახალგაზრდა და ვიცი.

თუ მაგიდაზე შეგროვილი ფულით ნაყიდი ღვინო იყო, ბუნინი დაავლებდა ხელს ერთ ბოთლ წითელ ღვინოს, დანარჩენი კი სხვებს შეეძლოთ, როგორც უნდოდათ, ისე ესვათ. მე, როგორც უმცროსს, ბუნინი სუფრის თავმჯდომარედ და მერიქიფედ მნიშნავდა. ისე რომ სანამ ალექსეი ტოლსტოის დავუმეგობრდებოდი, არაერთხელ შემივსია მისთვის ჭიქა.

ახლა ისევ ტოლმას დავუბრუნდეთ.

ტაფაზე ოთხი ტოლმა იდო, ცოტა მიმწვარი და ოქროსფერ ქონში გალიფული. ბუნიმა პენსნე გაიკეთა, ცერად გადმომხედა და ორი მოზრდილი ტოლმა თავის თეფშზე გადაიღო, ორი მომცრო კი მე დამიტოვა.

— ჭამეთ, ნუ გერიდებათ, ვიცი, ყოველთვის ჯოჯოხეთური მადა გაქვთ, განსაკუთრებით, როცა სტუმრად ხართ.

— რას იტყვის ვერა ნიკოლაევნა! — წამოვიძახე მე.

— ახია, რატომ დაიგვიანა. მოკლედ, ჩვენ ახლა ამას ხელად მოვუღებთ ბოლოს, მერე სამზარეულოში გავიტანთ ჭურჭელს და მორჩა, კვალიც დაიფარება.

იმ ხანებში მართლაც ყოველთვის მგელივით მშიოდა. ჰოდა, ვეცი თუ არა კომბოსტოში შეხვეულ გემრიელ ტოლმას, თვალის დახამხამებაში მოვუღე ბოლო. არც ჩემს მასწავლებელს ეთქმოდა საყვედური უმადობაზე. ჭამის დროს წვერი მსუნაგურად უცანცარებდა და გამხდარი ყელი ისე უმოძრავებდა, თითქოს ყოველ ლუკმას დანიშნული ადგილისაკენ სიამოვნებით მიაცილებსო.

როცა ჯერი კომპოტზე მიდგა, ულვაშები გაილოკა და მითხრა:

— ღრმა თეფშებს ნუ დავსვრით, ასე ჯობია...

ხელად ამოვსვლიპეთ კომპოტი პირდაპირ ქვაბიდან. პედანტურმა ბუნიმა წინასწარ ზუსტად გაჰყო კოვზით გაჟივჟივებული ხილი — ჭერამი, ქლიავი, ალუბალი, მწვანე ვაშლი, მსხალი — და თანაც მკაცრად მომთხოვა, დემარკაციული ხაზი არ დაარღვიო, თუმცადა ეს ხაზი წმინდა სიმბოლური გახლდათ. მეგობრულად ვეცით კომპოტს კოვზებით, ვცდილობდით ერთმანეთისათვის მოგვესწრო, მერე კიდევ დიდხანს ვაწებდით პურის ნაჭრებს სქელ წვენში და ვლოკავდით ღვთაებრივ მომჟავო-ტკბილ ნარჩენებს, ხანდახან ქლიავის გასლიპული კანებიც გვხვდებოდა.

არ ვიცი რატომ და სწორედ ამ კომპოტმა დაგვაახლოვა განსაკუთრებით. გარგარის ნარჩენი კურკები ბაღში გავიტანეთ და ისევ იმ კიბეზე ჩა-

მოვსხედით. აგურით ვამტვრევდით კურკებს ბავშვებივით და ვჭამდით სქელი ქერქით დაფარულ ნაზსა და თეთრ გულს...

გვიან საღამომდე დავრჩი ბუნინთან, უფრო სწორად, გვიან ღამემდე. როცა უკანასკნელმა ტრამვაიმაც გაიარა, ბუნინმა გამომაცილა. დიდხანს ვიარეთ წინ და უკან დიდი ფონტანსკაიას გზატკეცილის გასწვრივ ტრამვაის ლიანდაგებზე. ვსხდებოდით ძელსკამებზე აგარაკების ჭიშკრების წინ და იწყებოდა ჩემი გამოცდა:

— ჩვენ წინ ღამეა. როგორ აღწერთ მას რამდენიმე სიტყვით, ისე რომ სწორედ ეს ღამე იყოს და არა სხვა? ხომ ხედავთ, რამდენი რამაა ჩვენ გარშემო, — მან ირგვლივ შემოატრიალა გამხდარი ჯიშის თავი, — მაგრამ მხოლოდ ყველაზე აუცილებლის გამორჩევაა საჭირო, როგორც იტყვიან, ტიპიურისა. აბა?

ჩვენ გარშემო მართლაც ბევრი რამ იყო.

მთვარის მოყვითალო შუქზე ფერგამკრთალი მეჩხერი ვარსკვლავები. თბილი ველის ნიაფი. აკაციების სილუეტები. აგარაკების ლობეები. მწყობრების ქვითქვითი. სიჩუმე. ძაღლების შორეული ყეფა. დროგამოშვებით სახედრის ყროყინი. ვერცხლისფერი აბზინდა, მისი განუმეორებელი ღამის სურნელი. ტრამვაის ლიანდაგის ლაპლაპი, გზას რომ მიჰყვებოდა და სადღაც მოსახვევში, ღამის სიბნელეში ქრებოდა. კატის თუ ზღარბის ფაჩუნი ასკილის დამტვერილ ბურქებში. ჩამქრალი შუქურა.

ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ!

სკამზე ჩამოვჯექით და სანამ ყველაზე აუცილებელ წვრილმანებს ვარჩევდი საშინლად დაძაბული, ბუნინმა რომელიღაც ლექსი ჩაიბურტყუნა ყრუდ. ეს ფეტი იყო:

— «...то блеск замороженной дали, то запах фиалки ночной...»¹.

ღრმად, ნალვლიანი მორჩილებით ამოიოხრა, მიაყურადა, თითქოს უნდა ამ სტრიქონების აზრს ჩახვდესო, და ისევ წაიბურტყუნა:

— «...то мельница, то соловей»².

ჩამოგრძელებული პირსახე ჩემკენ მოატრიალა, ცისკენ აიხედა და მის სახეზე აღბეჭდილი აღტაცება დავინახე.

— ან წისქვილია, ანდა ბულბული, — გაიმეორა მან, — გესმით, რა მშვენიერი რამაა, უკეთესად ვერავინ იტყვის. ზის ღამე მარტოდმარტო და მისი სული ყოვლისმომცველი სიყვარულის მონა გამხდარა. ერთადერთი, განუმეორებელი სიყვარულისა. ზის ასე, მოსდის სურნელი, ესმის ხმები, ერევა გონებაში რაღაც გაურკვეველი სახეები და არ ძალუძს ყურადღება შეაჩეროს რომელიმე მათგანზე. ხან გაყინული სივრცის ციალი იპყრობს, ხან არაფერს გრძნობს ღამის იის სურნელის გარდა, ხან წისქვი-

¹ ან ციალია გაყინულ სივრცის ანდა სურნელი ღამეულ იის.

² ან წისქვილია, ანდა ბულბული.

ლის რახრახი ესმის, ბულბულის სტვენას რომ ახშობს, ხან ბულბულის სტვენა, წისქვილის რახრახისთვის რომ უჯობნია. ყოველივე ეს კი ყოვლის-მომცველი სიყვარულია.

«Мой ангел, мой ангел далекий, зачем я так сильно люблю»¹.

ყრუდ, თითქმის სინანულით წარმოთქვა ბუნინმა უკანასკნელი სტრიქონი.

ვინ დაშიბრუნებს ამ ღამეს!

— აბა, როგორ აღწერთ ამას, მოწყალეო ხელმწიფევე? — ომახიანად მკითხა ბუნინმა.

— მე ასე აღვწერდი: ტრამვაის ბოძის შავი სილუეტი, ვედროების სამხრეულივით გადებული კადონი და იქვე ქათქათა მთვარე, მორჩა.

— ყოჩაღ, — მითხრა ბუნინმა, — სწორედ ასე უნდა, — და ისევ ჩაიბურტყუნა ლექსები ერთმანეთზე მიყოლებით. უპაუზოდ, არც სტროფები გამოუყვია, იგივე ფეტის ციკლიდან „ოფელიას“: — «Офелия гибла и пела, и пела, сплетая венки; с цветами, венками и песнью на дно опускалась реки... Ах, много по жизни мелькнуло, — тхვრით წაიჩურჩულა ბუნინმა, — дней светлых безумной тоски, и счастье давно потонуло, лишь песни плывут да венки...²».

ბოლო ორი სტრიქონი ისეთი ღრმა გრძნობით წარმოთქვა, ისე ნარნარად და თან ულონოდ გააქნია ხელი, თითქოს ამ სიმღერასა და გვირგვინებს მიაცილებსო, დროის მდინარებას რომ მიყვებოდნენ მოუბრუნებელ შორეთში.

შემდეგ პირდაპირ მოაყოლა უკვე თავისი გვირგვინები და სიმღერები და შორეთისაკენ გაუშვა, სრულიად ახლები, ზოგიერთი შეიძლება სწორედ იმ დღესვე შექმნილი:

— «...Этой краткой жизни вечным измененьем буду неустанно утешаться я, — этим ранним солнцем, дымом над селеньем, в алом парке листьев медленным паденьем и тобой, знакомая, старая скамья. Будущим поэтам, для меня безвестным, бог оставит тайну — память обо

¹ ო, შორეულო ანგელოსო, ჩემო მფარველო, რატომ მიყვარხარ ასე ძლიერად.

² და ოფელია ყელს იღერებდა, გვირგვინად წნავდა ყვავილებს, ლერწებს და ყვავილებით და სიმღერებით იძირებოდა მდინარის ფსკერზე, ბედნიერ წუთებს დრო ანიავეს. და ტალღებივით იძირებიან, რაც გადარჩება ჟამთა სიავეს, გვირგვინები და სიმღერებია.

мне: стану их мечтами, стану бестелесным, смерти недоступным — призраком чудесным в этом парке алом, в этой тишине...»¹.

იგი იდუმალი ხმით ლაპარაკობდა, თითქოს სურდა რაღაც დიდებული, ნეტარი ჭეშმარიტება შთაეგონებინა ჩემთვის, თვითონაც სულ ახლახან, ამ წამში რომ ზიარებოდა.

«...В дачном кресле,—იდუმლად ჩურჩულებდა იგი,—ночью, на балконе... Моря колыбельный шум... Будь доверчив, кроток и спокоен, отдохни от дум. Ветер приходящий, уходящий, веющий безбрежностью морской... Есть ли тот, кто этой дачи спящей сторожит покой? Есть ли тот, кто должной мерой мерит наши знания, судьбы и года? Если сердце хочет, если верит, значит — да. То, что есть в тебе, ведь существует. Вот ты дремлешь, и в глаза твои так любовно мягкий ветер дует — как же нет Любви?»².

და ისევ შეუსვენებლად:

«На даче тихо, ночь темна, туманны звезды голубые, вздыхая ширится волна, цветы качаются слепые — и часто с ветром, до скамьи, как некий дух в эфирной плоти, доходят свежие струи волны, вздыхающей в дремоте...»²

¹ მუდამ ნუგეშს მცემს ამ წუთისოფლის

ცვალებადობა მარადჟამული,
შენც, ბადის სკამო, ხარ საამური,
ეს ფოთოლცვენაც იმედად მყოფნის,
როგორც სხივების ყრუ ჟრიაბული.
მომავალ მგოსნებს ღმერთის სურვილით
მოვევლინები, როგორც ნუგეში.
ამ ხეივანში მოვალ სულივით,
ფოთლებად დაღვრილ ამ სიჩუმეში.

² აივანზე ხარ...

ზღვა აქოჩრილი
ნაპირს ასკდება და ილეწება...
იყავი წყნარი, სათნო, მორჩილი,
ფიქრებით ნულარ აიწეწები.
ტალღა ავარდა და აისვეტა,
აგარაკს თქორი გადააფარა,
ნეტა თუ არის ძალა ისეთი,
რომ დარაჯობდეს ძილში აგარაკს.
ნეტა თუ არის ძალა ისეთი,
სწორ საწყაოთი რომ მოგიზღავდეს
სიცოცხლეს, ცოდნას და ბედისწერას.
არის, თუ გინდა, თუ მართლა გჯერა,
ის, რაც შენშია, არსებობს, არის!
აი შენ ყვინთავ და როგორც ნანა
ჩაგესმის ნაზი ჩურჩული ქარის,
ეს სიყვარული არ არის განა?

³ სძინავს აგარაკს და ღამე თალხი
ვარსკვლავთა ცისფერ შუქში ილევა,
ქაფად, ხმაურად იმსხვრევა ტალღა
და ირხევიან ბრმა ყვავილები.

ხანდახან მეჩვენებოდა, რომ ამ ლექსებს ჩემი თანდასწრებით ქმნიდა კითხვის დროს, რომ თვითული სტრიქონი—„მთვლემარე ტალღებს დასცდებათ ოხვრა“, განსაკუთრებით გენიალური „ბრმა ყვავილები“ — ჩვენ გარშემო არსებულ სინამდვილიდან თავისთავად, შეუმჩნევლად გადაიქცნენ წმინდა პოეზიად.

ჯადოქრობა იყო?

დილის თერთმეტ საათზე იმ ზაფხულის საშინელ სიცხისაგან თავის დასალწევად ცივი წყლით პირთამდე სავსე აბაზანაში ვიჯექი. სპილენძის ონკანიდან ხამუშ-ხამუშ ეცემოდა ტყვიასავით მძიმე წვეთები, სხვადასხვა ტონის მოკლე, ერთფეროვან მუსიკალურ ბგერებს რომ გამოსცემდნენ: „ტყაპ-ტყუპ! ტყაპ-ტყუპ!“

ისინი მამშვიდებდნენ, თვლემას მგვრიდნენ, თითქოს მთიშავდნენ იმ ზაფხულის საოცარი, გაურკვეველი სინამდვილისგან.

ეს იყო არტილერიის საწყობების საშინელი აფეთქებიდან რამდენიმე დღის შემდეგ...

უცბად აბაზანის ოთახში მამამ შემოიხედა. სახეზე შევატყვე, რალაც დიდზე დიდი რამ მომხდარიყო.

— გადი, ვილაც მოვიდა შენთან. მგონი, ბუნინია.

საჩქაროდ გადავიცვი, ისე რომ ტანიც არ შემიმშრალებია წესიერად, და სველი თმით შევვარდი განაპირა ოთახში, ხშირად რომ ვაქირავებდით, მაგრამ ახლა თავისუფალი იყო. იქ მართლა დავინახე ბუნინი. სკამზე იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და დარბაისლურად ესაუბრებოდა მამას, თითქმის ბუნინივით რომ ეცვა, ოღონდაც იმ განსხვავებით, რომ მამაჩემის ტილოს ხალათი უფრო სრული იყო და რეცხვისაგან გახუნებული, თანაც ზედ დაგრეხილი აბრეშუმის ფორებიანი ქაშარი ერტყა, ბაზარზე ნაყიდი იაფფასიანი სანდლები კი შიშველ ფეხებზე წამოეცვა. ბუნინის შეკრეჭილ წვერთან შედარებით წვერიც მოუვლელი ჰქონდა. ოღონდ, როგორც მამაჩემს, ისევე ბუნინს მკერდზე შავი ზონრით ეკიდათ ერთნაირი ძველებური პენსნე, რაც ორივეს ამსგავსებდა ჩეხოვს. ბუნინი ახალგაზრდა ჩეხოვს ჰგავდა, მამაჩემი კი უფრო ხნიერს.

თურმე მითქვამს, ოთახებს ვაქირავებთ-მეთქი, და ბუნინიც იმიტომ მოსულა დიდი ფონტანკიდან, რომ უბინოდ დარჩენილი ნაცნობი ლტოლვილები მოეწყო ჩვენთან. შემდეგში გავიგე, ეს ლტოლვილები ალექსეი ტოლსტოი და მისი ოჯახი ყოფილა.

ბუნინს მოესწრო თავისი მახვილი თვალის მოვლება იქაურობისათვის და უკვე ჰქონდა ალბათ წარმოდგენა ჩვენს ყოფაზე, ჩემი აზრით, თითქმის ისეთივე, იური ოლეშას რომ შეუქმნა ჩვენს ბინაზე და ჩემზე ოდესღაც, ახალგაზრდობაში:

მთვლემარე ტალღებს დასცდებათ ოხვრა
და დასცვივდებათ შხეფი ულვეი
და აივნამდე მობარბაცებენ
ვით უსხეულო უცხო სულები.

„...მას ძალიან მოეწონა ჩემი ლექსები, მთხოვდა, კიდევ და კიდევ წამიკითხეო, და მოწონების ნიშნად ჭიხვინებდა. შემდეგ თავისი წამიკითხა, რაც ჩემთვის სრულყოფის მწვერვალი იყო. მათში მართლაც ბევრი სულისამწეწი ლირიკული სტრიქონი ერია... მგონი, ორივენი გიმნაზიელები ვიყავით. მიმიღო დიდ, ცარიელ ბინაში, სადაც მისი ქვრივი მამა და ძმა ცხოვრობდნენ. ნაღვლისმომგვრელი, მოუწყობელი ბინა იყო და დიასახლისის ხელი აკლდა“.

სწორედ ბუნიმაც ეს ნაღვლისმომგვრელი, მოუწყობელი ბინა ნახა და, ცხადია, მაშინვე მიხვდა, რომ ალექსეი ტოლსტოისთანა ბატონკაცს ჩვენი მოუწყობელი ოთახები სრულებით არ შეეფერებოდა.

მამა და ბუნინი დინჯად საუბრობდნენ სხვადასხვა თემაზე. ილაპარაკეს არტილერიის არსენალის აფეთქებაზე. „ბოლშევიკებმა ააფეთქესო“, დაჯერებით თქვა ბუნიმა, შემდეგ საოჯახო საკითხებზე გადავიდნენ.

ვენეციური ფანჯრის გახურებულ რაფაზე მამაკაცის ტუალეტის წვრილმანები შრებოდა — ემალის ტაშტში ლურჯად დაძარღვული ყაზანური საპნის ნამღევით თვითონ მამაჩემის გარეცხილი თეთრი საყელოები, ცხვირსახოცები და წინდები. მოსამსახურე არ გვყავდა.

— თუ გნებავთ, სასარგებლო რჩევას მოგცემთ, — ამბობდა ბუნინი, — არასოდეს არ გარეცხოთ წინდები ცხელ წყალში საპნით, კარგად გაავლეთ ცივ წყალში, თანაც უსაპნოდ და არ დააუთოვოთ, უბრალოდ, მზეზე გააშრეთ. არასოდეს აღარ გაგიოფლიანდებათ ფეხები, თავმდები ვარ. ცოტა ხნის წინ ვისწავლე ეს ხერხი და პირდაპირ ხელახლა დავიბადე.

როგორც სადარბაზოდ მოსულს შეეფერება, ოციოდე წუთს იჯდა, ჟუკოვსკისა და ტურგენევიზე წაისაუბრა. ერთად გაკენწლეს მოდერნისტები, შემდეგ მამას გამოემშვიდობა, თავაზით, სწრაფად ჩამოართვა ხელი.

— სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა.

— ვალიას ნაწარმოებებზე რას იტყვით? — უხერხულობას სძლია და თითქმის საწყლად ჰკითხა მამამ.

— თქვენ რას იტყვით? — კითხვა შეუბრუნა ბუნიმა.

— მე, როგორც მამას, გამიჭირდება შეფასება, მაგრამ მისი ლექსები რითმებისა და ზომების მხრივ ცუდი არ უნდა იყოს, მოთხრობები კი, ჩემი აზრით, ცოტა ფელეტონებს ჰგავს, ნაკლებ შინაარსიანი და ზერელეა. თქვენ ასე არ მიგაჩნიათ?

— ო, ეს არც ისე უბრალო საქმეა და საუბარი გაგვიგრძელდება.

— როგორ ფიქრობთ, გამოვა მისგან რამე?

— ორიოდე სიტყვით ძნელია თქმა, — დინჯად უთხრა ბუნიმა, — დრო გვიჩვენებს.

გაცილებასზე უარი მითხრა, ისე წავიდა.

ყურებამდე გაწითლებული ვიდექი სანახევროდ გამოღებულ კარებში, მესმოდა მისი ახალგაზრდული, მტკიცე ნაბიჯების ბაკაბუკი, ყრუ გუგუნით რომ ავსებდა სადარბაზოს.

მხოლოდ მოგვიანებით, როცა უფრო ახლოს გავიცანი ბუნინი, მივხვდი მისი მოსვლის მიზანს. გასაქირავებელი ოთახები მხოლოდ საბაბი იყო. სინამდვილეში — ეს ღრმად მწამს — ბუნინი უბრალოდ მოუნდა მოულოდნელად მოსულიყო და ენახა, როგორ ვცხოვრობდი, რას წარმოადგენდა ჩვენი ბინა, რა კაცი იყო მამაჩემი. ბუნინი წარმოუდგენელი ცნობისმოყვარე გახლდათ. ყოველთვის უნდა სცოდნოდა მისი გარემო, ყველაფერი და ენახა თავისი დაუნდობელი ფხიზელი თვალთ.

გაორებული გრძნობა დამრჩა ბუნინის ვიზიტის შემდეგ. ერთი მხრივ მეამაყებოდა, მეორე მხრივ კი რაღაც გაუგებრად მტკიოდა გული: უცბად ბუნინის თვალთ, გარეშე თვალთ დავინახე ჩემი მოხუცი, მარტოხელა და ოდნავ მოშვებული მამა, სემინარიელივით დიდი ხნის შეუკრეჭავი ჭაღარა თმა რომ ჰქონდა და შავი დაუუთოებელი შარვალი ეცვა. ჩვენი ოთხ-ოთახიანი ბინა, ყოველთვის კარგად კი არა და მდიდრულად მოწყობილიც რომ მეჩვენებოდა, სინამდვილეში სანახევროდ ცარიელი იყო. „შავი ავეჯი“ ჩვეულებრივი იაფფასიანი შეღებილი ნაძვისგან გახლდათ ნაკლებები, რასაც ალაგ-ალაგ გადახეხილი ადგილები და მომტვრეული ზიზილ-პიპილები ადასტურებდა, ზედაპირი შავი რომ ჰქონდა და გული თეთრი. ამ უგემოვნო ავეჯს, ყვავილებისათვის განკუთვნილი დორიული სვეტების მსგავსი კვარცხლბეკებით, დაცინვით „ბრუგაგას“ უწოდებდნენ. ეკიდა საფანტით ავსებული ბრინჯაოს ბურთიანი ნავთის ლამპა, ელექტროლამპად რომ გადაეკეთებინათ, კიდევ ორი მეშჩანური, ვითომ „ზეთის საღებავებით“ ნახატი „სურათი“, სინამდვილეში კი ქალაქის ოლეოგრაფიები დამამცირებლად წვრილი მოვარაყებულ თამასებით, უფასოდ ნაშოვნო, როგორც „ნივას“ დანართი. ეს სურათები თითქოს ენათესავებოდა ყველა რუს კლასიკოსს, აგრეთვე უფასოდ რომ გამოეცა „ნივას“, მათ რიცხვში ახლა ბუნი-საც. ოდესღაც საკმაოდ კარგ კაბინეტის დივანს ახლა უკვე დახეთქილი, ალაგ-ალაგ ამოგლეჯილი მუშაშა ჰქონდა გადაკრული. დაბოლოს იდგა ყველაზე ძვირფასი და სანუკვარი ნივთი, დედას ნამზითვი პიანინო, გაქეპილი, მოყანყალეული ლითონის პედალებით. ამ პიანინოზე მამა უკრავდა ხოლმე ხანდახან უდიდესი გრძნობით ჩაიკოვსკის ქმნილებას „წელიწადის დრონი“, განსაკუთრებით ხშირად იმეორებდა „მაისს“, გამოუთქმელი ნალველით რომ მივსებდა სულს. მამა ბეცივით ჩაჰყურებდა ხოლმე გაყვითლებულ ნოტებს დაკვრის დროს და პენსნე მალიმალ უვარდებოდა.

ჩვენ ღარიბები არ ვიყავით, მით უმეტეს, ღატაკები, მაგრამ უქალო ოჯახი — უდიასახლისობა და უდედობა, მოუწყობლობა, სიმყუდროვის უქონლობა, უფარდებო ფანჯრები — თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევდა. ყველაფერი გაშიშვლებული იყო... ეს, რასაკვირველია, არ გამოეპარებოდა ბუნინის თვალს. მან ყველაფერი შეამჩნია...

წასვლისას ჩემს ოფიცრულ წითელფუნჯიან ხმალს შეავლო თვალი, მარტოდმარტო რომ ეკიდა საკიდარზე. როგორც მეჩვენა, მწარედ ჩაიციხა. სწორიც იყო: ქალაქი მტერს ჰქონდა დაკავებული, ოთახში კი ყველას და სანახავად, გამომწვევად ეკიდა რუსი ოფიცრის იარაღი!

მან არ იცოდა, რომ ჩვენთან გასაჩხრეკად უკვე იყვნენ ავსტრიელები და იარაღი მოგვთხოვეს. მე ჩემს ხმალზე მივუთითე. ჩემსავით ახალგაზრდა ავსტრიელმა ოფიცერმა ნატის თათმანიან ხელში შეატრიალა ის, ამოტვიფრული წარწერა „მამაცობისათვის“ წაიკითხა, დიდი თავაზით დამიბრუნა

და მითხრა, რომ უფლება მქონდა დამეტოვებინა. „ასეთი იარაღი იოლად არ დაითმობა“.

მოკლედ, ყოველივე ეს ფრიად სევდისმომგვრელი გახლდათ.

დადგა გვიანი შემოდგომა. ბუნინის მოსკოვში დაბრუნებაზე კვლავინდებურად ზედმეტი იყო ლაპარაკი. საბჭოთა მთავრობა, ყველანი დალუპვას რომ უწინასწარმეტყველებდნენ, არამცთუ იღუპებოდა, ყველა ნიშნის მიხედვით ძლიერდებოდა.

გერმანიაში რევოლუცია მოხდა, კაიზერი ჩამოაგდეს, გერმანიის ჯარმა კაპიტულაცია გამოაცხადა. გერმანელები და ავსტრიელები ჰაიჰარად ტოვებდნენ უკრაინას, ასე რომ ბრესტის ზავს, ბოლშევიკების მთავარი ბრალდება რომ იყო, ახლა უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ლენინი მართალი გამოდგა.

ოდესაში კი გერმანელების ნაცვლად მათი დამმარცხებელი, ეგრეთწოდებული „მოკავშირეები“ მოვიდნენ. ეს იყო ხანა, როცა თითქმის ორი წლის მანძილზე ძალაუფლება ექვსჯერ მაინც გადავიდა ხელიდან ხელში, სანამ საბოლოოდ და სამუდამოდ არ დამკვიდრდა საბჭოთა ხელისუფლება.

მთელი ეს ბობოქარი, განუმეორებელი ხანი ბუნინმა ოდესაში გაატარა კნიაჟევსკაიას ქუჩაზე. მხატვარმა ბუკოვეცკიმ თავის სახლში მთელი ქვედა სართული — სამი ოთახი დაუთმო მწერალს, სადაც მე ხშირად დავდიოდი და ყოველთვის წარმოუდგენელ მღელვარებას განვიცდიდი, როცა უკანა შესასვლელიდან ზარს დავრუკავდი ხოლმე.

კარს ყოველთვის ფრანგულ ქუსლებზე შემდგარი მოსამსახურე მიღებდა, გახამებული თავსაფარი რომ ეხვია და პაწაწკინტელა ჯიბეებიანი ბატისტის წინსაფარი ეკეთა. როგორც ბინა, ასევე მოახლეც დაუთმო მეგობარმა მხატვარმა ბუნინს, თუმცაღა იგი საოცრად არ შეეფერებოდა იმ ვითარებას, ქალაქში, რუსეთსა და საერთოდ მსოფლიოში რომ იყო გამეფებული.

ბინა მდიდრული გახლდათ — მძიმე, ვალაქული კარები, გაპრიალებული პარკეტის იატაკი, ვენეციური ფანჯრები, თბილი მარმარილოს რაფები, კარგად დაფერილი შპინგალეტები. მაღალ სუფთა ჭერზე ზაფხულობით წყნარ არისტოკრატიულ ქუჩაზე ჩარიგებული თეთრი აკაციების ფოთლები ისახებოდა, ზამთარში კი ნამქერთა ცისფერი ჩრდილები და მეეტლეთა მარხილების სილუეტები. ავეჯი ცოტა იყო, მხოლოდ აუცილებელი და ისიც საუცხოო, ყოველგვარი მეშჩანური ეტაჟერების, ტუმბოების, სამშენისებისა, პატარა ნოხების, ალბომებისა და გადასაფარებლების გარეშე. ასეთი ბინა დიასაც შეჰფეროდა, ჩემი წარმოდგენით, ბუნინისთანა არისტოკრატს, ტახტის აზნაურს, რუს აკადემიკოსს, უზადო გემოვნების კაცს.

აქ აღარ იყო მოაგარაკე, აქ ცხოვრობდა წმინდაწყლის ქალაქელი, თანაც იძულებითი პოლიტიკური პატიმარი, უზუსტესი დღის რეჟიმი რომ გამოემუშავებინა.

ბუნინი ბევრს მუშაობდა. ისეთი წარმოდგენა შემექმნა, განუწყვეტლივ წერს-მეთქი. როცა არ უნდა მივსულიყავი, მისი სამუშაო ოთახის კარი ყოველთვის ნახევრად იყო გამოღებული ბნელ შესასვლელში, კარს იქით ფანჯარა ჩანდა, წყნარ ეზოში რომ იხედებოდა, იდგა მომცრო მაგიდა, მაგიდასთან კი უპიჯაკო ბუნინი იჯდა იდაყვამდე დაკარწახებული ხმელი, დაკუნთული მკლავებით. მრგვალი სამუშაო სათვალე ძალიან ამსგავსებდა ბუს. იგი სწრაფად წერდა, ჩაწიკწიკებული ლურსმულით ავსებდა მომცრო და ვიწრო საწერ ქაღალდებს.

მუქი მწვანე მელნით წერდა. თუ არ ვცდები, „მონბლანის“ ფირმის ოქროსწვერიანი ავტოკალამი ჰქონდა. თანაც საშრობს არ ხმარობდა, ბოლომდე ჩაწიკწიკებულ ფურცელს გვერდზე გადადებდა ხოლმე. თუ უბის წიგნაკში იწერდა რაიმეს, მაშინ წიგნაკს ცხვირწინ აიქნევდა, რომ ნაწერი მალე გამშრალიყო.

ჩემი ფეხის ხმის გაგონებაზე, როგორც ყოველთვის, თავს არ მოაბრუნებდა, ისე მეტყობდა:

— ვერა ნიკოლაევნასთან შედით, მე ახლავე დავამთავრებ.

მე დიდ ოთახში შევდიოდი, ფანჯრები კნიაჟევსკაიას ქურისკენ რომ ჰქონდა. ამ სალონში ვერა ნიკოლაევნა მხვდებოდა ხოლმე და მალალი წრის დიასახლისის კვალობაზე მსუბუქი საუბრით მიქცევდა, თუმცა, ცხადია, ამინდამდე არასოდეს დაწვრილმანებულა. მაგრამ ცოცხალი გონების ქალი იყო და ბუნინით ცნობისმოყვარე, ამიტომ დიდხანს ვერ ინარჩუნებდა დარბაისლურ კილოს და მალე სულ სხვა თემებზე გადაჰქონდა საუბარი.

— აბა, როგორაა თქვენი რომანი მომხიბლავ ნატაშასთან, ჰა? მართლაც მომხიბვლელია თავისი ბავშვური დიდი პირითა და გრძელი მკლავებით, არა? ნამდვილი ნატაშა როსტოვაა. უფრთხილდით, რომ მისმა დედიკომ, მიუხედავად თავისი არისტოკრატიულობისა, ერთ მშვენიერ დღეს გარეთ არ გამოგაბრძანოთ. როგორც ჩანს, ირენთან ყველაფერი დავამთავრეთ? ოჰ, რა დაუდევარი რამა ხართ, მართლა ბუნინის მოწაფე, — ამოიოხრებდა ხოლმე ნაღვლიანად, — ნება მომბოძეთ გკითხოთ, ვის მიუძღვენით, „მიწას აჩნია პაწაწინა ნაფეხურები?“ ვერაფრით ვერ გამიგია, ვისმა ფეხებმა დაამჩნია ეს პატარა ნაფეხურები! რაღაც ძალიან ბევრი პატარა ფეხი ხომ არ გამოდის, ჰა?

მან ყველა ჩემი რომანის ამბავი იცოდა, ზოგიერთ ჩემს შეყვარებულს პირადადაც იცნობდა და ისე იყო დაინტერესებული ჩემი საკმაოდ უმანკო სატრფიალო თავგადასავლებით, მისთანა გოროზ მანდილოსანს და აკადემიკოსის მეუღლეს კი არა, უფროს დასა თუ გათხოვილ ბიძაშვილს მაგონებდა.

— იან, — ეუბნებოდა იგი შემოსულ ბუნინს, — ამას თურმე ნატაშასთან ჰქონია რომანი გაჩაღებული.

— რა თქმა უნდა, — პასუხობდა ბუნინი. — შეხედე, ლოყები ჩავარდნია, თვალები ამოლურჯებია. ზედ ეტყობა, იმის მაგივრად, რომ იჯდეს და მუშაობდეს, ღმერთმა იცის, სად დაძრწის ღამღამობით. ალბათ გათენებამდე მისი ფანჯრის წინ ხართ ატუზული და ელით, როდის შეგიშვებთ შინ. ეშმაკმა დალახვროს, ისეთს არ გადაყრიხართ, მოწყალეო ხელმწიფე! კარგად ვიცნობ ამ დიდპირა და მალალკანჭა გიმნაზიელ გოგოებს!..

ბუნინი წითელი ხის მრგვალ მაგიდას მიუჯდებოდა ხოლმე. რომლის სარკისებურ ზედაპირზე ბრინჯაოსა თუ თითბრის საფერფლე იდგა, მსუბუქი ნახევარსფერო აღმოსავლური ორნამენტებით. ალბათ კონსტანტინოპოლის ბაზარზე, ატმეიდანზე ან შეიძლება სმირნასა თუ ალექსანდრიაში ჰქონდა ნაყიდი ბუნინს.

ასეა თუ ისე, ეს საფერფლე ყოველთვის მახსენებდა ბუნინის აღმოსავლურ ლექსებს და, პირველ რიგში, რა თქმა უნდა: «Он на клинок дохнул — и жало его сирийского кинжала померкло в дымке голубой: под дымкой ярче заблистали узоры золота на стали своей червонною резьбой. «Во имя бога и пророка. Прочти, слуга небес и рока, свой бранный клич: скажи, каким девизом твой клинок украшен?» И он сказал: «Девиз мой страшен. Он — тайна тайн: Элиф. Лам. Мим.»¹

მოკლედ, ეს საფერფლე იყო საიდუმლოთა საიდუმლო: ელიფ. ლამ. მიმ. და იგი ისარკებოდა მრგვალ მაგიდაზე.

ფეხი ფეხზე გადაედო ბუნინს და პაპიროსზე თითის დაკვრით ფერფლს ყრიდა საფერფლეში.

არ ვიცი რატომ და საოცრად მჩემწონდა ეს საფერფლე. იგი იყო ჩემთვის სამუზეუმო იშვიათობა, საოცარი ფუფუნებისა და იდუმალი კულტის საგანი, განსაკუთრებით მაგიდის პრიალა ზედაპირზე ჩანდა იგი აგრე ლამაზი, ძვირფასი თურქული თამბაქოს „მესაკსუდის“ ბოლითა და მოწიწებული სიჩუმით ავსებული მდიდრული ოთახის შუაში რომ იდგა და გარე სამყაროსგან ფანჯრების ორმაგი სარკისებური მინები ყოფდა.

ახლა ვფიქრობ, რომ ეს საფერფლე ბაზრის უბრალო სუვენირი იყო და მისთანები ასობით ჩამოჰქონდათ ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების „როპიტის“ გემების მგზავრებს მცირე აზიის რეისებიდან. მაგრამ მე უბრალოდ შეყვარებული ვიყავი ამ საფერფლეზე და ჯერ კიდევ ამოუფხვრელი ბავშვური ჩვევით ვფიქრობდი: როცა გავიზრდები, უსათუოდ ასეთი საფერფლე მექნება და შიგ ძვირფასი თურქული თამბაქოს „მესაკსუდის“ ფერფლს ჩავყრი-მეთქი.

მაშინ ეს საფერფლე სრულიად ახალი და კრიალა იყო, თუმცა შიგნით ცოტა ჩაშავებულიყო უკვე, რუხი ფერი გადაჰკვროდა თამბაქოს ფერფლისა თუ ასანთის ნამწვავების წყალობით. ვნახე თუ არა ეს საფერფლე, რატომღაც მაშინვე ბუნინის ერთ-ერთი ახალი ლექსი—„საცეცხლური“ გამახსენდა.

¹ დააოროტლა და გადაბინდა ხანჯალი ცისფრად,
გაბრწყინდა ოქროს ჩუქურთმები თითქოსდა სიზმრად.
„ჰეი, წინასწარმეტყველის და უფლის მსახურო,
რა აზრი არის მაგ ხანჯალზე გამოსახული,
წარწერა ესე რა საომარ ყიყინას ამხელს?“
მან მიპასუხა:
„ჩემი დევიზი საზარია და საშიშარი,
საიდუმლოთა საიდუმლოს სამი ნიშანი:
ელიფ. ლამ. მიმ.“

«В горах Сицилии, в монастыре забытом... стоит нагой престол, а перед ним, в пыли, могильно-золотая, давно потухшая, давным-давно пустая, лежит кадила — вся черная внутри — от угля до смолы, пылавших в ней когда-то... Ты, сердце, полное огня и аромата, не забывай о ней. До черноты сгори»¹.

როგორ ვოცნებობდი მაშინ, რომ დამწვარიყო და დანახშირებულიყო ჩემი გულიც! ის კი არ ვიცოდი, თურმე რა საშინელება ყოფილა ეს.

— აბა, რას მეტყვით კარგს?

— ახალი მოთხრობა დავწერე.

— ცხადია, მოიტანდით.

— აი, აქა მაქვს.

— ვერა, არ წახვიდე, ახლა ვალენტინ კატაევი წაგვიკითხავს თავის ახალ მოთხრობას. აბა, გისმენთ.

ჩვეულებრივ მოთმინებითა და ყურადღებით მოისმენდა ხოლმე ჩემს მოთხრობას თავიდან ბოლომდე და არასოდეს არ დაიწყებდა მის დაწვრილებით განხილვას, — ორ-სამ მოკლე შენიშვნას მეტყობდა მხოლოდ იმაზე, რომელი ადგილი მოსწონდა და რომელი არა, რატომ მოსწონდა ერთი და რატომ არ მოსწონდა მეორე და რა პრაქტიკული დასკვნები უნდა გამომეტანა აქედან.

იგი ყოველთვის ეხებოდა წვრილმანებს, მაგრამ მიჰყავდა კი მნიშვნელოვან განზოგადებამდე. მაგალითად, მე გავიგე, რომ ლიტერატურაში არ არსებობს აკრძალული თემები, მთავარია, როგორ იქნება ნათქვამი. მე სამუდამოდ ჩამრჩა გულში ბუნინის რამდენიმე რჩევა; უნდა მქონდეს თურმე ზომიერება, სიზუსტე, სისხარტე, სისადავე, მაგრამ, ცხადია, — ამას ბუნინმა რამდენჯერმე გაუსვა ხაზი. — არა ის სისადავე, რაც ქურდობაზე უარესია, არამედ იგი უნდა იყოს შედეგი ფრაზაზე, ცალკეულ სიტყვაზე გულმოდგინე მუშაობისა, შედეგი გარემოს სრულიად დამოუკიდებელი ხედვისა, სხვების მიუბაძველობისა (თუნდაც ესენი თვით ტოლსტოი და პუშკინი იყვნენ), ანუ საჭიროა მოვლენებისა და საგნების სავსებით დამოუკიდებელი დანახვა და თავისებური აღწერა, ყოველგვარი ლიტერატურული გავლენისა და რემინისცენციის გარეშე.

ბუნინი განსაკუთრებით გაურბოდა ლიტერატურულ შტამებს, ყოველგვარ „ჩამავალ მზის ირიბ სხივებს“, „ყინვა ძლიერდებოდა“, „სიჩუმე გამეფდა“, „წვიმამ ფანჯარაზე მოაკაკუნა“ და მრავალ სხვა ამდაგვარს, რაზეც ჯერ კიდევ ჩეხოვი ლაპარაკობდა ბუნინამდე.

წვრილმან ლიტერატურულ შტამებს განაკუთვნიებდა აგრეთვე ბუნინი იმ დროის ხელოსან-ბელეტრისტების ჩვევას, დაერქმიათ, მაგალითად, მთავარი გმირისათვის „პირველი კურსის სტუდენტი“, რაც თითქოს ცხოვრებისეულს ხდიდა ამ ახალგაზრდა კაცს: „პირველი კურსის სტუდენტი ივანოვი

¹ სიცილიაში მაღალ მთაზე ერთ მონასტერში მტვერში აგდია საცეცხლური ჩაქანგებული, გაუქმებული, ჩანაცრული, ჩაშავებული. ო, გულო ჩემო, ცეცხლით ავსილო, ეს ამისრულე ერთი სურვილი: სანამ ანთიხარ, იგიზგიზე, არ გამაწბილო, მერე ჩაიწვი და ჩაშავდი საცეცხლურივით.

ვალენტინ კატაევი

უზოდან გამოვიდა და ქუჩას გაუყვა“, „პირველი კურსის სტუდენტმა სიდოროვმა პაპიროსს მოუკიდა“, „პირველი კურსის სტუდენტმა ნიკანოროვმა უბედურად იგრძნო თავი“.

— საშინლად მომაბეზრეს თავი ამ ლიტერატურულმა პირველი კურსის სტუდენტებმა, — ამბობდა ბუნინი.

მე მაშინვე დავიფიცე, რომ მოთხრობებში არც ერთი პირველი კურსის სტუდენტი არ მეყოლებოდა არასოდეს. პრაქტიკულად რომ აღმესრულებინა ეს ფიცი, იმავე დღეს დავიწყე მოთხრობის წერა ახალგაზრდა კაცზე, ვინც არავითარ შემთხვევაში სტუდენტი არ იქნებოდა, მაგრამ ველარ კი გავაგრძელე. ვერ მოვიგონე, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს ახალგაზრდა. უფრო ასაკოვანი კაცი შეიძლება ადვილად გახადოს მწერალმა ტიტულარულ სოვეტნიკად, შტაბს-კაპიტნად, ნოქრად, ობერ-კონდუქტორად და, ვინ იცის, კიდევ რად. მოხუცებთან კიდევ უფრო იოლია, მოხუცი შეიძლება იყოს გენერალი, ნამდვილი სტატსკი სოვეტნიკი, მეორე გილდიის ვაჭარი, სოფლის მამასახლისი და ა. შ. ახალგაზრდა კაცი კი...

გარეთ გამოვედი, რომ გამეველო და მომეფიქრებინა ჩემი ახალგაზრდა გმირის ვინაობა. უცბად ბოძზე ქალაქის თეატრის აფიშა დავინახე, აფიშას თავზე შავი ღირა ეხატა და იუწყებოდა რომელიღაც ოპერის პრემიერას. იქვე, სხვათა შორის, იყო დაბეჭდილი „დეკორატორი დმიტრიევი“. დიდებულია, — გავიფიქრე მე, — დაე, ჩემი ახალგაზრდა გმირი დეკორატორი იყოს.

ჰოდა, ვზივარ აგერ მრგვალ, გალაქულ მაგიდასთან და თურქული საფერფლის ახლოს ახალი მოთხრობის ხელნაწერი მაქვს გაშლილი, მღელვარებისაგან ვახველებ, წინასწარ განვიცდი სიამეს, როგორ მომიწონებს ბუნინი იმ ამბავს, რომ ჩემი ახალგაზრდა გმირი პირველი კურსის სტუდენტი ან პოდპორუჩიკი კი არაა, ასე გასინჯეთ, დეკორატორია. დიდებულიცაა და სავსებითაც ესადაგება ცხოვრებისეულ სიმართლეს.

აჩქარებით, გატაცებით წავიკითხე მოთხრობა, სადაც, როგორც მახსოვს, ახალგაზრდა დეკორატორის სასიყვარულო განცდები მქონდა აღწერილი: პირველი პაემანი, საყვარელ ქალთან დაშორება, როგორ დათვრალამით და, წარმოიდგინეთ, როგორ იყნოსა კოკაინიც რომელიღაც საექვო წრეში, დაბოლოს ნიკოლაევსკის ბულვარის მზიანი, სუსხიანი დილა, სადაც ყველასთვის ცნობილი გრანიტის კიბის საფეხურებზე დიდრონი ვარდისფერი მტრედები დაგოგმანებდნენ.

ყოველივე ეს დიდი პეწით აღვწერე და კითხვის დროს ხანდახან შეფარვით გავხედავდი ხოლმე ბუნინს; მინდოდა მის სახეზე წამეკითხა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემი პროზა, მე რომ საოცრად ლამაზი მეჩვენებოდა.

პირველად ბუნინის სახე პროფესიონალურ ყურადღებას გამოხატავდა, ისიც კი შევნიშნე, როგორ მრავლისმეტყველად გადახედა ერთხელ ვერა ნიკოლაევნას. ალბათ მაინც ვიმოქმედე მოხუცზე! მაგრამ შემდეგ თანდათან მოიღრუბლა, მოუთმენლად ატრიალებდა კისერს, მოთხრობის ბოლოს კი — ჰოი, საშინელება — აღარც მალავდა გაგულისებას და საკმაოდ ხმამაღლაც კი ააბაკუნა იატაკზე ქუსლი. როცა მოთხრობის საუკეთესო ადგილს მივალწიე — განთიადისგან ავარდისფერებულ მტრედებს, ჩემი წარმოდგე-

ნით განსაკუთრებით რომ უნდა მოსწონებოდა ბუნიინს, და ცოტა არ იყოს მოკრძალებული სიამაყით წარმოვთქვი მოთხრობის ბოლო ფრაზა, ბუნიინმა გაბრაზებული სახე მოატრიალა ჩემკენ, განრისხებული თვალები მომაჩერა, ცოტა ხანს სდუმდა, შემდეგ კი ცივად მკითხა:

— ესაა ყველაფერი? დამთავრდა?

— დამთავრდა, — ვუპასუხე მე.

— ამას დამიხედეთ! მაშ რაღა ჯანდაბად, — დაიღრიალა ბუნიინმა და ისეთი ძალით დაარტყა მუშტი მაგიდას, რომ საფერფლე ახტა, — მაშ რაღა ჯანდაბად გვიწყალებდი გულს მთელი ორმოცდახუთი წუთი. მე და ვერა ნიკოლაევნა თითქოს ნემსებზე ვიჯექით, ისე ველოდებოდით, როდის დაიწყებდა თქვენი დეკორატორი ბოლოს და ბოლოს დეკორაციების ხატვას, ამას კი უკვე დაუშთავრებია. ვარდისფერი მტრედები და მორჩა!..

ამავე მრგვალ მაგიდასთან, ამავე იდუმალ არაბულ წარწერებთან საფერფლის წინ წამიკითხა ერთხელ ბუნიინმა ახლად დამთავრებული მოთხრობა, ჯერ კიდევ რომ არ შეშრობოდა მწვანე მელანი. ეს იყო შესანიშნავი მოთხრობა მოხუცი თავადის სიკვდილზე. რომ ვკითხე, რამდენ ხანს წერდა ამ მოთხრობას, ბუნიინმა მიპასუხა:

— სამ საათს.

ჩემი გაოცება რომ შენიშნა, დაუმატა:

— მე საერთოდ ძალიან ჩქარა ვწერ, თუმცა ნელა ვბეჭდავ. „სოფლის“ პირველი ნაწილი, მაგალითად, რაღაც ორ კვირაში დავწერე. ცხადია, დიდხანს ვფიქრობდი, მაგრამ დაწერით ხელად დავწერე, ერთი ამოსუნთქვით, რაღაც-რაღაცეები შევასწორე მხოლოდ გადაწერისა და კორექტურის დროს, როგორც ყოველთვის!

აქამდე მეგონა, რომ ბუნიინი ძალიან ნელა წერდა, მეგონა, უამრავი შავად ნაწერი ექნებოდა: ხვეწს თვითეულ ფრაზას, ათჯერ მაინც შეცვლის-მეთქი თითო ეპითეტს.

ჩემი წარმოდგენით, „ფლობერიზმი“, დღემდე მოდაში რომაა ზოგიერთი მწერლისათვის, ვისაც ღრმად სწამს, მწერლური ხელოვნება დიანაც ენათესავება რანდვასა და ჭედვას, რასაც ძალუძს ხელოსანი ნამდვილ ხელოვნად აქციოსო — არ იყო დამახასიათებელი ბუნიინისათვის, თუმცა ხანდახან ისიც ლაპარაკობდა ამ „რანდვასა“, „ჭედვასა“ თუ სხვა სისულელეებზე, ახლა, მოვიზმის ეპოქაში, რომ მხოლოდ და მხოლოდ ღიმილს მგვრის.

ბუნიინ-გამომგონებლის ძალა იყო გასაოცრად სწრაფი, თითქმის ელვისეობური რეაქცია ყველა გარე გამღიზიანებელზე და იმის უნარი — მაშინვე ეპოვა მისთვის სავსებით ზუსტი სიტყვიერი ფორმა.

ბუნიინმა მითხრა, რომ არასოდეს სარგებლობს საბეჭდი მანქანით, ყოველთვის ხელით წერს, კალმით.

— თქვენც არ გირჩევთ, პირდაპირ მანქანაზე წეროთ. როდესაც ხელნაწერი უკვე მზადაა, შეგიძლიათ მანქანაზე გადაბეჭდოთ. მაგრამ თვით შემოქმედება, შექმნის პროცესი, ჩემი აზრით, დამოკიდებულია იმ იდუმალ კავშირზე, თავსა, ხელს, კალამსა და ქალაქს შორის რომ წარმოიქმნება. შემოქმედებაც სწორედ ესაა.

ამას რომ ამბობდა, ბუნიმა ჯერ თავზე მოიკიდა ხელი, შემდეგ ხელის მტევანი შეანძრია, ავტომატური კალმის პლატინის წვერი ქალაღდს შეახო და ზედ რამდენიმე ხვეული გამოსახა.

— როდესაც პირდაპირ საწერ მანქანაზე თხზავთ, თვითეული სიტყვა ინდივიდუალობას კარგავს, უსახურდება, მაშინ როდესაც თქვენი ხელით დაწერილი იგივე სიტყვა თითქოს თქვენი აზრების მატერიალური, ხილული კვალია, მისი გამონახულება. მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იდუმალი კავშირი თქვენს სულთან, თუ გნებავთ, თქვენს სხეულთან და თუ ეს სიტყვა ყალბია, ან იქ არაა ჩასმული, სადაც საჭიროა, ან უადგილო და უტაქტოა, მაშინ ამას მარტო შინაგანი ალლოთი კი არ იგრძნობთ, მაშინვე შეატყობთ თვალითაც შენელებულ, ნაჩქარევ თუ საერთოდ შეცვლილ ხელნაწერზე. ერთი სიტყვით, თქვენი ხელწერა, ერთადერთი და განუმეორებელი რომაა, როგორც ნაწილი თქვენი სულისა, გაცნობებთ, თუ რაიმე „ისე ვერაა“, — ცოტა შეცვლილად თქვა თავისი ლექსის „კომპასის“ ბოლო სტრიქონი:

«Не собьет с пути меня никто. Некий Норг моей душою правит, он меня в скитаньях не оставит, он мне скажет, если что: не то!»¹

მე ხშირად ჩამოვუგდებდი ხოლმე საუბარს მოთხრობა „სანფრანცისკოელ ბატონზე“. ძალიან მინდოდა გამეგო ბუნიმისაგან, რამ დააწერინა ეს უცნაური მოთხრობა, სრულიად ახალი ფურცელი რომ გადაშალა, ჩემი აზრით, რუსული ლიტერატურის ისტორიაში. მცირე გამონაკლისის გარდა იგი ხომ დღემდე მხოლოდ რუსული ცხოვრების, ნაციონალური ხასიათების, ბუნებისა და ყოფის ასახვით იყო განთქმული. თუ ჩვენს კლასიკოსებთან „უცხოურ სურათებს“ ვხვდებოდით, ეს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი რუსეთის ბედს ან რუს კაცს ეხებოდა.

დაარღვია რა ყველა ტრადიცია, ბუნიმა შექმნა ნაწარმოები, სადაც რუსული მხოლოდ შესანიშნავი ენა და სრულყოფილი პლასტიკურობა იყო, რაიც ყოველთვის გამოარჩევდა რუსულ ლიტერატურას მსოფლიოს ყველა ლიტერატურისაგან და პირველ ადგილზე აყენებდა მას. სხვა ყოველივე „სანფრანცისკოელ ბატონში“ — ბუნება, გმირები, შინაარსი უცხოური იყო, უფრო ზუსტად, ინტერნაციონალური, კიდევ მეტი, კოსმოპოლიტური, და, რაც მთავარია, ულტრათანამედროვე: ამერიკელი მილიონერი, ტრანს-ატლანტური ლაინერი, პირველი კლასის ლუქსები, ბარები, ტანგო, ავტომობილები, კოკტეილები, რადიოკავშირი, პარიზული მოდეები, უზომო სიმდიდრე, შემადრწუნებელი სილატაკე, ერთი სიტყვით, ის ყოველივე, რაც ესოდენ გაიფურჩქნა დედამიწაზე პირველი მსოფლიო ომის წინ და რასაც დაახლოებით მაშინ უწოდა ლენინმა კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია — იმპერიალიზმი.

„სანფრანცისკოელ ბატონში“ თითქოს იდუმალად გრძნობ დაღუპუ-

¹ მე ვერ ამირევს გზას ქარიშხალი, ბედი მფარველობს გზათა სიშორეს და სადმე რამე თუ შემეშალა, — ასე არაა, — მეტყვის ბედი და გამისწორებს.

ლი „ტიტანიკის“ უხილავ აჩრდილს და ავისმაუწყებლად ჟღერს მოთხრობის ბოლო აკორდი:

„ატლანტიდის“ შუაგულში კი, გაჩახჩახებულ სასადილო და სამეჯლისო დარბაზებში, მორთულ-მოკაზმული ბრბო გუგუნებდა, სურნელს აფრქვევდა ცოცხალი ყვავილები, წკრიალებდა სიმებიანი ორკესტრი, შრიალებდა აბრეშუმი, ელავდა მარგალიტი, ქათქათებდა ბანოვანთა შიშველი მხრები და ისევ ქანცის გაწყვეტამდე იგრინებოდა და დროდადრო ერთმანეთს ეხლებოდა მოქნილი წყვილი დაქირავებული შეყვარებულებისა: წამწამებდახრილი, სადად დავარცხნილი მოკრძალებული ყმაწვილი ქალი და ახოვანი, შეფრქვეული პუდრისგან ფერგამკრთალი ლამაზი ჭაბუკი, შავი თმა მიწებებულივით რომ ჰქონდა, შავი ლაქის საუცხოო ფეხსაცმელები ეცვა, ხოლო გრძელკალთებიანი შემოტმასნილი ფრაკი უზარმაზარ წურბელას ამსგავსებდა. არავინ უწყობდა, რომ უკვე დიდი ხანია მობეზრებოდა ამ წყვილს ეს ვითომ ნეტარი ტანჯვა-წამება უსირცხვილობამდე ნაღვლიანი მუსიკის ხმაზე. არც ის იცოდნენ, რომ ქვევით, ღრმად, ძალიან ღრმად, გემის ჩაბნელებული და გავარვარებული წიაღის ახლოს, ტრიუმის ძირზე იდგაკუბო. გემი კი მძიმედ მიაპობდა უკუნეთს, ოკეანეს, ქარბუქს...“

ბუნინის ამ სიტყვების გამეორებაც, მათი გადაწერაც კი უდიდესი სიამოვნებაა!

ჯერ კიდევ ამ მოთხრობამდე ბუნინმა დაწერა გასაოცარი სიძლიერის ანტიკოლონიალური მოთხრობა „ძმები“, ისიც მთლიანად „უცხოური“. ესაა ტრაგედია თეთრ ბატონსა და ფერადკანიან მონას შორის ზღაპრულად მშვენიერ კუნძულ ცეილონზე. შეიძლება იგი ვინმეს თარგმანი ჰგონებოდა, მაგალითად, რედიარდ კიპლინგის მოთხრობისა, თუ რომ საოცარი რუსული ენა და ბუნინისეული განუმეორებელი პლასტიკა არა, რაიც მის ნაწარმოებს სტერეოსკოპიული სივრცის შეგრძნებას და სიზუსტეს ანიჭებდა — ამ თვისებას ბუნინის თანამედროვე ვერც ერთი მწერალი ვერ დაიტრაბახებდა.

— რატომ გიკვირთ, ასეთი „არარუსული“ მოთხრობები რომ დავწერე? ფიცი კი არ დამიდევს, მთელი ცხოვრება მხოლოდ 'რუსეთზე მეწერა, მხოლოდ ჩვენი რუსული ყოფა ამესახა. ყველა ნამდვილ შემოქმედს, ეროვნების მიუხედავად, უნდა ჰქონდეს თავისუფალი, ზოგად საკაცობრიო სული. მისთვის არ არსებობს აკრძალული თემა. ქვეყნად ყოველივე არსებული მისთვის ხელოვნების საგანია. სული საერთო, სული ერთიანი. „ბედნიერი ვარ, — ჩაილაპარაკა მან და უცბად თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა, — ბედნიერი, ოჰ, ვირგილიუს, რომ სული ჩემი არც ჩემია და არცა შენი“. გესმით, „არც ჩემია და არცა შენი“, არამედ საერთო. ამ მხრივ, თუ გნებავთ, მე ინტერნაციონალური ბუნებისა ვარ, შეიძლება ზენაციონალურიც კი. მთავარი ისაა, რომ „სანფრანცისკოელ ბატონში“ მე განვაავითარე ყოველი მსოფლიო სულისთვის უაღრესად დამახასიათებელი სიმფონიზმი, ე. ი. მხატვრული პროზა ავაგე არა ლოგიკურ, არამედ მუსიკალურ ქარგაზე, სადაც რიტმი ცვალებადია, სადაც ერთი მუსიკალური გასაღებიდან მეორეზე გადასვლა ხდება, ერთი სიტყვით, იმ კონტრაპუნქტში, რომლის გამოყე-

ნებაც, მაგალითად, ლევ ტოლსტოიმ სცადა „ომსა და მშვიდობაში“, როცა ბოლკონსკი კვდება.

შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, დაუჯერებლადაც კი, რომ იმ დროს, როცა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადმონაცვლებული სამოქალაქო ომი ბობოქრობდა გარშემო, კნიაჟევსკაიას ქუჩაზე, კერძო ბინაში, სარკის მიწების მიღმა ადამიანების ძალიან პატარა ჯგუფი მხატვრული ლიტერატურის, პოეზიის, კრიტიკის საკითხებით და ძმები გონკურების კითხვით იყო გართული, განაგრძობდნენ მოსკოვურ გაუთავებელ კამათს ტოლსტოისა და დოსტოევსკიზე, დაობდნენ, თუ რას წარმოადგენს სიმფონიური პროზა, ასე სავსედ რომ გამოიყენა პირველად რუსულ თუ მსოფლიო ლიტერატურაში ბუნინმა „სანფრანცისკოელ ბატონში“.

მგონი, სწორედ მაშინ გავეცანი ძმები გონკურების ზოგიერთ მოსაზრებას.

„ჩვენს დროში ლიტერატურაში ისეთი გმირების შექმნა, ვისშიც საზოგადოება თავის ძველ ნაცნობებს ვერ დაინახავს, ან სტილის ორიგინალური ფორმის მიგნება — ჯერ კიდევ ყველაფერი არაა; უნდა გამოიგონოთ ბინოკლი, რომლის წყალობითაც მკითხველები დაინახავენ სულიერ თუ უსულს საგანთ ისეთი შუშიდან, როგორი შუშაც ჯერ არავის გამოუყენებია. ამ ბინოკლის საშუალებით თქვენ უჩვენებთ სურათებს თვალისთვის დღემდე უცხო კუთხით, თქვენ შექმნით ახალ ოპტიკას. ეს ბინოკლი მე და ჩემმა ძმამ გამოვიგონეთ, ახლა კი ვხედავ, მთელი ახალგაზრდობა სარგებლობს იმით“...

ბუნინიც ამ ბინოკლს ხომ არ ხმარობდა? ვინ იცის.

ხელოვნებაში ყველაზე დიდი კონსერვატორები ყოფილი რევოლუციონერებისაგან წარმოსდგებიან და პირიქით.

„ბანვილის „მოგონებანი“ ფრიად თავშესაქცევია. არც ერთი სიტყვა სინამდვილეზე, დღევანდელი ადამიანები თითქოს ჯადოსნური ზღაპრებიდან არიან მოვლენილნი, მაგრამ ისეთი ოპტიკით ხედავს მათ, რაიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი. უცნაური, ზედმიწევნით მიწიური ოპტიკა...“

მიწიური ოპტიკა — ეს დიდებულია!

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მე აქ მხოლოდ იმას ვწერ, რაც მეხსიერებამ შემომინახა ბუნინის „ლიტერატურული გაკვეთილებიდან“, თუმცაღა მას კაბინეტური ცხოვრებისკენ მიდრეკილების ნაცვლად ხალხში ტრიალი, გამვლელბთან გამოლაპარაკების დაუოკებელი სურვილი ჰქონდა. უნდოდა ქუჩაში მომხდარი ამბების მოწმე ყოფილიყო და არა ოსტატობის გაკვეთილები ჩაეტარებინა შინ მჯდომარეს ჩემნაირი ახალგაზრდა მწერლები-

სათვის. ამაზე მეტყველებს შემდეგში გამოქვეყნებული პატარ-პატარა, სულ ერთი ციციქნა მოთხრობა-მინიატურები, სხვადასხვა ჰაიპარა ჩანახატები ნატურიდან, როგორცაა, მაგალითად, „ლანდო“.

„სიკვდილი ყველაფერს თავისებურ ელფერს აძლევს. მისთვის დამახასიათებელს. აგარაკის ჭიშკართან უზარმაზარი ძველი ლანდო დგას, შიგორი ზორბა შავი ცხენი უბია. აგარაკის პატრონი ჩამოსულა ქალაქიდან. რაღაც უჩვეულო და უცნაურია თითქოს ეს ლანდოც და ეს ცხენებიც. რატომ? თურმე ცხენები და ლანდო აგარაკის პატრონისათვის ერთ ნაცნობს უთხოვებია, დამკრძალავი პროცესიების ბიუროს რომ განაგებს. ასეც თქვა კოფოზე წამომჯდარმა მეეტლემ:

— ეს დამკრძალავი კანტორის ლანდო გახლავთ.

მეეტლის შავ წვერსაც გამხმარი ვაქსის ფერი დაჰკრავს: შეღებილი ჰქონია.“

მიწიური ოპტიკა! ეს მოვიზმი ხომ არ არის, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი ჩანახატი?

თითქმის ყოველდღე ნებისმიერ ამინდში ბუნინი რამდენიმე საათი დადიოდა ქალაქში. კი არ სეირნობდა, სწორედ დადიოდა, ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით. მოკლე საშემოდგომო პალტო მუხლებამდე წვდებოდა, ტროსტი ეჭირა და ქუდის ნაცვლად პროფესორის არახინი ეხურა. ოდესის ქუჩების იერი განუწყვეტლივ იცვლებოდა პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით. ხან თითქოს ისევ რევოლუციამდელი ცხოვრება იწყებოდა: თუ ზამთარი იყო, დაქროდნენ ბედაურები, ლურჯი ყაჯარი რომ ეფარათ ზურგზე, თუ ზაფხული, გამოჩნდებოდნენ მეყვავილეები და ზარათები დერბასოვსკაიასა და პრეობრაჟენსკაიას კუთხეებში, ვაგნერის სახლის გასასვლელი ჭიშკრის პირდაპირ; კვლავ დატრიალებდნენ ბირჟის საქმოსნები, ოდესის ცნობილი ფანკონისა და რობინის კაფეების მარმარილოს მაგიდებთან ისხდნენ „მოტიკტიკენი“, ღია იყო ღამის კლუბები, კაბარეები, შანტანები, მინიატურების თეატრები; ეკატერინესა და შავი ზღვის იახტკლუბების კონტა ინგლისური იახტები ერთმანეთის მიყოლებით მიემართებოდნენ თეთრი ქვის შუქურას გასწვრივ უცხოური ქარით დანისლულ ზღვისკენ, ნიკოლაევსკის ბულვარზე უკრავდა სამხედრო ორკესტრი, ჩერნეცკი რომ ხელმძღვანელობდა.

ხან ყოველივე ერთ ბოზოქარ ღამეში წარიხოცებოდა, გაუკაცრიელებულ ქალაქში მხოლოდ წითელგვარდიელი პატრულების ნაბიჯები ისმოდა და კერძო სახლებისა თუ ბანკების ფანჯრები ზანზარებდა ჯავშნოსნების გავლისას. მათ ფრთებზე მეზღვაურები წამოწოლილიყვნენ და წინ გაეშვირათ შაშხანები და მაუზერები. ხან თითქოს პეტლურელებს თუ ვილაც „ბატკოს“ ხალხს ეკავათ ქალაქი. მაშინ ყველა კუთხე-კუნჭულში დაძონდილ მაზარებში გახვეული ქორიანი ბიჭები მოჩანდნენ, გაუზეთავი შაშხანები კონდახით მალლა გადაეკიდათ მხრებზე და რაღაც საბუთებს თხოულობდნენ. საბუთები თუ არ აღმოგაჩნდებოდა, უსაბუთოდაც გაგატარებდნენ. ხანდახან ბრიტანეთის საზღვაო ქვეითი ჯარის მხიარული ბიჭები გამალებით მიაბიჯებდნენ ხოლმე ქუჩებში, თითქოს სადღაც ერქარებათო, თან ფეხბურთის ბურთს მიათამაშებდნენ. ხან ლურჯმაზარიანი ფრანგი

ჯარისკაცები მიდი-მოდოდნენ, გეტრები ეცვათ და მხარზე წყლითა და წითელი ღვინით სავსე ორტუჩა ალუმინის მათარები ეკიდათ. სანდახან უზარმაზარი უცნაური ორთვალეები გაირახრახებდნენ, კოფოზე კი გაოცებისგან თვალეზდაქარული ზორზონა ზანგები ისხდნენ.

ვაკვირდებოდი სალდათების ამ ჭრელ ბაზარში ბუნინს. ხელში უბის წიგნაკი ეჭირა და აუჩქარებლად, უშფოთველად იწერდა თავისი მკაფიო ლურსმულით შაირებს, ორი შავი ზღვის ფლოტელი რომ მღეროდა. თან ხელიხელგადახვეულნი მოდურ „იაბლოჩკოს“ თუ „დერიბასოვსკაიას“ ცეკვაოდნენ, შარვლის განიერი ტოტები კი უფრიალებდათ ამ დროს. გარს სამხედრო „ტელოგრეიკებიანი“ ჩინელები შემორტყმოდნენ, შავი ტოლალეები ეხვიათ წვივებზე და მრგვალი ქუდები ეხურათ, ხელში პაპიროსის ფერადი ქალაღდისაგან გაკეთებული დასაკეცი მარაოები ეჭირათ, ტანზე კი თავიანთი ტრადიციული ჩინური საქონელი აეხორხლათ: სატკაცუნოები, გარუსის ჩიტები, ორ ჯოხზე დამაგრებული პატარა გასაწელი დრაკონები და ვეფხვები, ფარნები, სასტვენები, ჩესურის ნაჭრები, დაწნეხილი ქალაღდის სქელლანჩიანი ფეხსაცმელები.

გული წაუვიდოდა კაცს ერთმანეთში არეული ქუნჯუთის ზეთის, ნიორისა და ადამიანის ოფლის სუნისაგან. მაგრამ ბუნინი ამას არაფრად აგდებდა, მშვიდად მუშაობდა და გვერდებს ავსებდა ჩანაწერებით. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ბუნინს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მისი პროფესორული გარეგნობის მიუხედავად, რაც ვერა და ვერ შერწყმოდა ბაზრის ბრბოს. იქნებ სწორედ ამ გარეგნობის გამოც არ აქცევდნენ. ვინ იცის, ვინ ეგონათ იგი? მაშინ ასეთი აზრიც კი დამებოდა, ეს ხმელ-ხმელი ბატონკაცი უცნაური ქუდითა და ავტოკალმით ხელში ბაზრის გრაფოლოგი, ფოკუსნიკი, ჯადოქარი ან ბედის წინასწარმეტყველი ხომ არ ჰგონიათ, ბედ-იღბლის ფურცლებს რომ ჰყიდის-მეთქი, რაც აგრერიგად ესადაგებოდა იმ დროს; არავის გაუკვირდებოდა, მის მხარზე თუთიყუში ან კოლენკორის ქვედაკაბიანი მაიმუნი რომ დაენახა.

ეს სურათი შემდეგში შანხაის ბაზარში გამახსენა, „ქალაქის მერის ტაძარში“, სადაც მოოქრულ კერპებს შორის, საკმევი ჯოხების ბოლში წმინდა ურნიდან წინასწარმეტყველების დაგრაგნილი ქალაღდი ამოვიღე:

„ფენიქსი მზის წინ მღერის. დედოფალი ყურადღებას არ აქცევს და ძნელია მისი ნება-სურვილის შეცვლა. მაგრამ თქვენი სახელი საუკუნეებში დარჩება“.

უსაშველოდ დიდი და ერთფეროვანი ბრბო მერტყა გარს, ასე მეგონა, სადაცაა გამსრესს-მეთქი. ლამის დამკარგოდა გონი ბავშვების მოჩითული ვარდისფერი ხალათების, წითლად აალებული ატლასის ბალიშების, ბუმბულის საბნების, სანდალის ხის ზანდუკებისა და ახლად გამზადებულ ლითოგრაფიულ პორტრეტების მაცქერალს. ეს პორტრეტები ქუთუთოებშეშუპებული მსუქანი ჩინელის, ტუყურკიანი მანდარინისა და მათ ძედუნისა გახლდათ.

თვალს მიჭრელებდა ყაყაჩოს გულივით ჩაშავებული იეროგლიფებიანი

ტილოები თითქოს იდუმალი წინასწარმეტყველებით. გაწამებული ვმკითხაობდი: ვინ არის ფენიქსი და ვინ მზე, ვინ არის დედოფალი და ვისი სახელი დარჩება საუკუნეებში?

ვნახოთ!

ერთხელ ნაცნობები შეუჩინდნენ ბუნიანს საჯაროდ წაეკითხა ოდესაში ჯერ კიდევ უცნობი მისი ახალი მოთხრობა „ჩანგას სიზმრები“, რათა ფული ეშოვნა. იგი დიდხანს იყო უარზე, ირწმუნებოდა, ეს არავისთვის არაა საინტერესო, სულ ერთია, არავინ არ მოვა, ფართო საზოგადოება მას არ იცნობს, თანაც მთელი საღამო ერთი მოთხრობის კითხვა უბრალოდ სისულელეა: ხალხი ვერ გაუძლებს და ეს ღონისძიება ზარალის მეტს არაფერს მოუტანს საღამოს მომწყობებსო. ბოლოს და ბოლოს მაინც დაიყოლიეს. ოღონდაც განაცხადა, რომ ჰონორარი ანუ, მისი სიტყვებით, „სირცხვილის ჭამის“ გასამრჯელო არ იქნებოდა დამოკიდებული დამსწრეთა რაოდენობაზე, თუნდაც დარბაზი ცარიელი ყოფილიყო.

— მე არც ისე მდიდარი ვარ, ბატონებო, რომ საჯაროდ მოვიჭრა თავი და ისიც უფასოდ, — თქვა ბუნიანმა და ნაღვლიანად გაიცინა.

ქალაქში აფიშები გააკრეს, დაბეჭდეს ვიწრო პროგრამები. ზუსტად დანიშნულ დროს ოდესის მუსიკალური სასწავლებლის საარტისტოში, სადაც ჩვეულებრივ კონცერტები და ჩვენი „მწვანე ლამპის“ პოეზიის საღამოები იმართებოდა რჩეული საზოგადოებისათვის, რაზეც ოდესმე გაამბობთ — ბუნიანი გამოცხადდა. ფერმკრთალი იყო, გემოვნებით ჩაცმული. ქათქათა პერანგის გახამებული მაღალი საყელოს წკვერტებს შორის თავისუფლად თავსდებოდა მისი წვერი, არც ისე გრძელი, რომ მარგალიტის ქინძისთავით შეკრული, „ფარშევანგის თვალის“ დარად ლილისფერი წრეებით მოხატული მუქი აბრეშუმის ჰალსტუხის განიერი ნასკვი დაეფარა.

ცუდად განათებულ ცივ ოთახში საღამოს მომწყობები ისხდნენ, რომელთა შორის მთავარი იყო პეტრე პირველს მიმსგავსებული ფაშფაშა მწერალი. ქალის ქმარი. ცოლი დიდი ხანია იჯდა ცარიელი დარბაზის პირველ რიგში, ზუსტად ესტრადაზე მდგარი მაგიდის პირდაპირ, სადაც ტრადიციულად ბრწყინავდა გადადუღებული წყლით სავსე გრაფინი და ჭიქა. იგი დროდადრო მოუსვენრად ისწორებდა განიერ მკერდზე ამეთვისტოს გულსაბნევს.

ბუნიანმა მდუმარედ ჩამოგვართვა ყველას ხელი და დივანზე ჩამოჯდა, გვერდით ყვითელი ტყავის შესანიშნავი ინგლისური მომცრო ოთხკუთხა პორტფელი დაიდო. პორტფელი ქალის ხელჩანთას უფრო ჩამოგავდა. შიგ მოთხრობის ხელნაწერი ჰქონდა.

ცხადი იყო, რომ საღამო ჩაიშალა, — ხალხი არ მოვიდა.

ბუნიანმა დიდი ხნის შეუკეთებელი ნაძერწი ჭერი შეათვალიერა და ხანმოკლე დუმილის შემდეგ თქვა:

— ლამის მორიგეობა დამკრძალავი პროცესიების ბიუროში, — მერე მწარე ღიმილით დაუმატა, — ხომ გაფრთხილებდით, ბატონებო. — ეს მწა-

რე ღიმილი მოწმობდა, რაოდენ აფიქრებდა მუდამ თავისი ლიტერატურული ბედ-იღბალი.

(იგორ სევერიანინის ან ვერტინსკის საღამო რომ ყოფილიყო, დარბაზი ალბათ გაიჭედებოდა, ასევე ლეონიდ ანდრეევზე, გორკიზე რომ აღარაფერი ვთქვათ. რას იზამ, ფიქრთა მპყრობელნი არიან! ჩემს საღამოზე კი ვინ მოვა? მხოლოდ ვინც მართლა მაფასებს...)

— აბა, მოწყალეო ხელმწიფენო, მაინც დავიწყით თუ მშვიდობიანად დავიშალოთ? — იკითხა ბუნინმა.

— ხალხი ნელ-ნელა იკრიბება, — ყოყმანით თქვა ფაშფაშა ქალბატონის ქმარმა. — თხუთმეტი წუთი კიდევ დავიცადოთ და მერე დავიწყით კიდევაც ღვთის წყალობით.

— თითქოს უხერხულიც კია, — ჩაიბურტყუნა ბუნინმა, — დარბაზში კაცნახევარია. გაფრთხილებდით, ჩემს საღამოზე არ მოვლენ-მეთქი.

— ღმერთს ნუ სცოდავთ, ივან ალექსევიჩი, თქვენ საღამოზე თუ არა, მაშ ვის საღამოზე მოვლენ? — დაიძახა რომელიღაც მომწყობთაგანმა ყალბი ხმით, — საქმე იმაშია, რომ აფიშები გვიან გააკრეს, განცხადებები ცოტა იყო გაზეთებში. მაგრამ, რაც მთავარია, ამაღამ ჰაიდამაკების შეიარაღებულ გამოსვლას ელოდებიან... ასე რომ, თვითონ მოგეხსენებათ...

— ჩემი დამშვიდება რა საჭიროა, — მტკიცედ თქვა ბუნინმა და აფიშა თვალებთან მიიტანა. მაშინვე ეცა თვალში წმინდაწყლის პროვინციული კორექტურული შეცდომა: „ჩანგას სიზმრების“ ნაცვლად მსხვილი შრიფტით ეწერა „ჩაშკას სიზმრები“.

ბუნინს სახე მოუღრცა, თითქოს მოულოდნელად სილა გაარტყესო, წამოიყვირა კიდევაც „ოი!“ მაგრამ მაშინვე სძლია თავს და ხელი ჩაიქნია.

— ჯანდაბას!

მაღალი ფანჯრებისა და პირისფერი ფარდების მიღმა ქუჩაში კანტიკუნტად ისმოდა შაშხანების სროლის ხმა, რეზინის მკვრივი ბურთივით რომ ეხლებოდა მიწებს. ხოლო ჩაბნელებულ, ყურებდაცქვეტილ ქალაქს მაგრად ჩაეკეტა და ჩაეხერგა ჭიშკრები. ყოველი ქუჩის კუთხეში ჯავშნოსანი იდგა. შეიძლება ამიტომ გაიხსენა ვილაცამ ჩურჩულით ბლოკის „თორმეტნი“. ამ პოემამ ცოტა ხნის წინათ მოაღწია ჩვენამდე ჩრდილოეთის დემარკაციული ხაზიდან და მაშინვე ახალგაზრდობის ალტაცება გამოიწვია.

— არ მესმის, რა მოსწონთ ამ „თორმეტნის“. როგორ უნდა დაცემულიყო პოეტი, რომ ეს ვულგარული, უხეში შაირები შეეთითხნა, — მკვახედ თქვა ბუნინმა და მხრები აიჩერა, — ვანკა და კატკა დუქანში არიან, კატკას კერენკები ჩაუჩურთავს წინდებში... ამ ზომამდე არასოდეს დაცემულა რუსული ლიტერატურა. მერედა ეს პოეტი ხომ ოდესღაც მადონაზე წერდა ლექსებს, მშვენიერ ქალზე, თუმცაღა იგი ყოველთვის მანერული იყო, დაბოლოს ეს იესო ქრისტე რაღაა თეთრი ვარდების გვირგვინით? ტიპიური მოდერნიზმია!

ამას რომ ამბობდა ბუნინი, მე მომჩერებოდა და გაბრაზებით კი არა, პირდაპირ ზიზღით მიყურებდა. ლოყები ჩავარდნოდა და თითქოს კიდევ უფრო გამხდარი ჩანდა.

— რა თქმა უნდა, თქვენც აღტაცებული ხართ! ალბათ „სკვითებიც“ დიდ წინასწარმეტყველურ ნაწარმოებად მიგაჩნიათ. აბა როგორ! „ჩვენ ორ მოსისხლე რასას შორის გვეჭირა ფარი, მონღოლებსა და ევროპას შორის“. ან საიდან მოიტანა ფოლადის მანქანები, სადაც ინტეგრალი სუნთქავს? არა, თვითონ განსაჯეთ, როგორ უნდა ისუნთქოს ინტეგრალმა და ისიც ფოლადის მანქანებში. აბდაუბდაა, დეკადენტური სისულელე.

მე შევცბუნდი, იმიტომ რომ ბუნინისგან ფარულად უკვე მიყვარდა ბლოკი და თუ პირველი წიგნი, რომლის ყიდვაც მამას ვთხოვე, ბუნინის ლექსები იყო, მეორე, მე რომ თვითონ ვიყიდე საკუთარი ფულით, ალექსანდრე ბლოკის „თოვლიანი ღამე“ გახლდათ.

ვერ გეტყვით, რომ მაშინ მომწონებოდა „თორმეტნი“. ბევრი რამ მეუცხნობოდა კიდევ, როგორც მეუცხნობა ყოველი სრულიად ახალი ფორმა ლიტერატურაში, ურომლისოდაც წარმოდგენელია ახალი შინაარსი, მით უმეტეს, თუ ამ შინაარსს რევოლუცია წარმოადგენს.

მე კი მაშინ რევოლუციისთვის არ ვიყავი მომწიფებული. მაგრამ „თორმეტნი“ მაინც განმაცვიფრა თავისი გაუგონარი ფერწერით — უტყუარი, ზუსტი, საგნობრივი, რეალისტური კი არა, სწორედ მატერიალისტური ფერწერით, არც ერთ სხვა ფერწერას რომ არ ჰგავდა.

შავი მწუხრი, თეთრი თოვლი. ფიფქი, ფიფქი, ქვეშ ყინული. ჭახ და გაიშხლართა დედაკაცი. ირგვლივ კოცონების ცეცხლი. მხრებზე შაშხანის ღვედები. ელექტროფანარი ხელნაზე. ქარი ფხრეწს და აფრიალებს ვეება პლაკატს: „მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას“. შოკოლად მინიონს თანთქლავდა. ოთხ ნაბიჯზე ვეღარ ხედავს კაცი კაცს...

ოჰ, ეს ოთხი ნაბიჯი! არც ორი და არც სამი, სწორედ ოთხი ნაბიჯი. რამდენ პოეტს დაუკოდა წარმოდგენა ამ ოთხმა საბუდისწერო ნაბიჯმა. რა ძნელი იყო მათგან თავის დაღწევა.

მე უკვე არაფერს ვამბობ ამ გენიალურ სტრიქონებზე: «...нежной поступью надвьюжной, снежной россыпью жемчужной» — ისინი იქნებ საუკეთესოა მთელ მსოფლიო პოეზიაში. რაც შეეხება „სკვითებს“, ამ წინასწარმეტყველურმა მძიმე იამბებმა არა მარტო მომხიბლა, რაღაც ზესთაბუნებრივი ძრწოლაც მომგვარა და ჩემს წარმოსახვაზე დღემდე შემორჩა გავლენა. „სკვითებში“ ყველაფერი ჩემს მაშინდელ წარმოდგენას ესადაგებოდა რუსეთის ბედზე, ყველაფერი გამოძახილს პოულობდა ჩემში.

«...И дар божественных видений... и острый галльский смысл, и сумрачный германский гений».¹

მე ოდნავადაც არ მაშინებდა, რომ „მშვენიერი ევროპისაკენ მოვტრი-

ბასრი გალური აზრი გვხიბლავდა, მაღალი ნიჭი ღვთიურ ხილვათა და გერმანული ქუში გენია.

აღდებით აზიური კუშტ სახეებით“, — არ მეჩინებოდა „ბარბაროსული ქნარი“ და არც ამ არაჩვეულებრივი ევრაზიული პოემის სხვა მკვახე თქმანი, გამოღვიძებული აღმოსავლეთის მთელი სამყარო რომ დამანახვა.

მე ხომ ჯარისკაცი ვიყავი, ფრონტზე ნამყოფი და ჩემი შეშინება, მით უმეტეს რევოლუციით, ძნელი იყო. ჯარისკაცებს უყვარდათ რევოლუცია. ის იყო მათთვის ნანატრი ხსნა ომისგან. ბუნინს კი სძულდა და ეშინოდა ჯარისკაცებისა და მეზღვაურების, კაცობრიობის ისტორიაში დიადი ოქტომბრის რევოლუცია რომ მოახდინეს. ისინი ყველა ერთნაირი ერვენებოდა: რეგვენები, დაუნდობლები, სისხლისაგან გამხეცებულები, თავაწყვეტილები, რევოლუციონერები კი არა, შფოთისთავები, რუსეთის დამლუპველები.

მე კი თითქმის ორი წელი დავყავი მათთან ერთად ომში, მათთან ერთად ვიქეჩებოდი და ვეძებდი მკბენარებს, მათთან ერთად ვჭამდი და ვსვამდი, ზოგიერთს წერა-კითხვასაც ვასწავლიდი, სმორგონის მახლობლად ბრძოლებს შუა შესვენების დროს ძელმიწურში ვუკითხავდი გოგოლსა და ლამის ტოლსტოის „ანა კარენინას“, მათთან ერთად ვიწექი საველე ლაზარეთებში დამპალ ჩალაზე დაჭრილი თუ გაზით მოწამლული, ვიცოდი მათი ყველაზე სანუკვარი და სავსებით სამართლიანი ოცნებები მიწასა და თავისუფლებაზე, საყოველთაო მშვიდობაზე, რომანოვების საძულველი დინასტიის დამხობაზე, ბატონების, კულაკებისა და კაპიტალისტების მოსპობაზე, მომავალ რევოლუციაზე. მთლიანად თანავუგრძნობდი მათ ოცნებებს, თუმცა მათ ჩემს პირად ბედთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონდათ — ასე მეგონა მაშინ! — და სრულებით არ მეშინოდა ამ ადამიანების. ისინი არც დაუნდობლები იყვნენ და არც სისხლისმსმელები, უბრალო, კეთილი, კარგი, სამართლიანი და გაწამებული რუსი გლეხები და მუშები იყვნენ, უკიდურესობამდე რომ მიეყვანა დანაშაულებრივ ომსა და საუკუნეობრივ უსამართლობას.

ეს იყო ნამდვილი რუსეთი და არა ის რუსეთი, იმდროინდელი მრავალი ინტელიგენტის დარად რევოლუციის სამარცხვინო შიშმა რომ წარმოადგენინა ბუნინს მაშინ.

ჩემდა უნებურად გამახსენდა ის ავტობიოგრაფიული შენიშვნა, ბუნინმა რომ დაწერა რევოლუციამდე ორი წლით ადრე: „პირველ ხანებში ჩემი ოსტატობის ქებასთან ერთად რაღა არ მოვისმინე! ზოგიერთებმა ისე დაიმცირეს თავი, რომ ამბობდნენ, თითქოს მებატონე ვიყავი და იმიტომ შემაშინა რევოლუციამ (მებატონე კი არასოდეს ვყოფილვარ)...“

სამწუხაროდ, ახლა სავსებით ნათელი გახდა ჩემთვის, რომ ბუნინს მართლაც შეეშინდა რევოლუციის. ჩემი აზრით, რევოლუციის ეს შიში იყო მთავარი ტრაგედია ბუნინისა, ვისაც მთელი იმ წლების მანძილზე ვაკვირდებოდი.

— რა თქმა უნდა, არ მეთანხმებით „სკვითების“ და „თორმეტნის“ თაობაზე, ხომ? — მკვახედ მითხრა ბუნინმა. — ვშიშობ, რომ ბევრი თქვენი

თანატოლი ახალგაზრდისა და მეგობრის დარად თქვენც მცდარ, მოლიპულ გზაზე დგახართ, უფსკრულისკენ მიექანებით... — ისევ გამჭოლად შემხედა პირდაპირ თვალებში და ჩაიციხა. — ბატონებო, თუ უნდა დავიწყოთ, რაღას ვუცდით, დროა. — თქვა ეს, გვერდით კარიდან ავიდა კიბით ესტრადაზე, ცივად დახარა თავი აპლოდისმენტების პასუხად, შემდეგ მორყეულ მაგიდას მიუჯდა, პორტფელიდან „ჩანგას სიზმრების“ ანაბეჭდი ამოიღო, საათს დახედა და უკვე ერთხელაც აღარ შეუვლია თვალი ნახევრად ცარიელი დარბაზისთვის. მკაფიოდ და დიდებული დიქციით თავიდან ბოლომდე წაიკითხა ეს შესანიშნავი მოთხრობა (ისიც სიმფონიური), გასაოცარი სამგლოვიარო აკორდების დარად აქლერებული ფრაზებით რომ იწყებოდა:

„განა სულ ერთი არაა, ვისზე გვექნება ლაპარაკი? ამას ხომ ყველა სულდგმული იმსახურებს. ოდესღაც გაიცნო ჩანგამ სამყარო და თავისი პატრონი კაპიტანი, ვისაც მისი ამქვეყნიური არსებობა შეერწყო. მას შემდეგ გამოხდა მთელი ექვსი წელიწადი, ჩათავდა ისე, ვითარცა ქვიშა გემის საათში და იყო ღამე ისევ — სიზმრად თუ ცხადში? — და ისევ გათენდა დილა — ცხადში თუ სიზმრად?“

ერთი შეხედვით იფიქრებდით, რა ესაქმება გახურებული რევოლუციის დროს ალყაშემორტყმულ ქალაქში, ნახევრად ცარიელ და ცუდად განათებულ ცივ დარბაზში თავმოყრილ ამ ხალხს ლოთი კაპიტნისა და მისი ძაღლის ჩანგას ბედთან, ერთ მტვრიანსა და ცივ დღეს რომ იყიდეს ჩინეთის მდინარეზე და მერე გემ „ოდესაზე“ მოიყვანეს.

მაგრამ ისინი გაუნძრევლად ისხდნენ მთელი ორმოცდახუთი წუთი ამ სურათებიანი სიმფონიური პროზის მუსიკით, მისი ცვალებადი რიტმით, სინკოპებითა და დიდი ორლანისტის მიერ აღებული ნაღვლიანი აკორდების დარი ფრაზებით მოჯადოებულნი:

„...უცბად გაიხსნა ტაძრის კარიბჭე. ჩანგას თვალწინ წარმოუდგა დიდებული რამ სურათი, აგუგუნებული და აქლერებული: ნახევრად ბნელი გოთური დარბაზი, სანთელთა წითელი ვარსკვლავები, ტროპიკულ მცენარეთა ტყე, შავ ფიცარნაგზე მალლა შემდგარი მუხის კუბო, ხალხის შავი ბრბო, თითქოს მარმარილოსგან ნაქანდაკევი გასაოცარი სილამაზის ორი ძაძებიანი ქალი, ისე მსგავსნი, როგორც სწვადასხვა ახაკის დები, სადღაც ზემოთ, თაღებში კი გუგუნნი, გრიალი და მოზეიმე მოთქმა-გოდება ანგელოსთა დასისა, დიდებული და სულის შემძვრელი, რასაც ფარავს არამიწიერი ხმები გალობისა. ყალყზე უდგება ბალანი ჩანგას აღტაცებისა თუ ტკივილისგან ამ აქლერებული ხილვის გამო...“

აქლერებული ხილვა...

მხოლოდ ერთხელ, ისიც ერთი წამით მოწყვიტეს ყურადღება მსმენელებმა „ჩანგას სიზმრებს“, როცა ფანჯრებს იქით ალყაშემორტყმული ქალაქის შავ უფსკრულში ტყვიამფრქვევებმა გაიკაკანა და ზათქით გასკდა ხელყუმბარა — „ლიმონკა“. დარბაზის შუაგულში ვიღაცამ ჩაილაპარაკა:

— ბატონებო, მგონი, მცირე არნაუტსკაიაზე ისვრიან...

იმ ღამეს მე გავაცვილე ბუნინი ჩაბნელებულ, ავად გალურსულ ქალაქში. ბუნინი, როგორც მეჩვენა, უკმაყოფილოდ დუმდა. მინდოდა მძიმე ფიქ-

ვალენტინ კატაევი

რებიდან გამომეყვანა და შევეცადე მისთვის სასიამოვნო რამ მე-
თქვა:

— ივან ალექსეევიჩ, თქვენი ნაწარმოებები ალბათ მრავლადაა თარ-
გმნილი უცხო ენებზე?

— ღმერთო ჩემო, — გაბრაზებით მიპასუხა მან, — თვითონ განსაჯეთ!
ჩემი ერთი მოთხრობა, მაგალითად, ასე იწყება: «На Фоминой неделе
в ясный, чуть розовый вечер, в ту прелестную пору, когда...» აბა, სცა-
დეთ და თქვით ეს ინგლისურად ან ფრანგულად, ისე რომ რუსული ენის
მუსიკა, პეიზაჟის სინატიფე შეინარჩუნოთ. შეუძლებელია. უამისოდ კი რა-
ღა ვარ? არა, მე ძალიან ნაკლებად მიცნობენ უცხოეთში... ისევე, როგორც
ჩვენთან, რუსეთში, — მწარედ დაუმატა მან.

ერთხელ ბუნინმა მითხრა, მდიდარი რომ ყოფილიყო, ერთ ადგილზე არ
იცხოვრებდა. ოჯახს, ბინას, ბიბლიოთეკასა თუ გარდერობს არ მოიწყობ-
და, შემოივლიდა მთელ დედამიწას, დაბინავდებოდა კომფორტაბელურ
სასტუმროებში და იცხოვრებდა, სანამ ენდომებოდა. როცა მობეზრდებო-
და, სხვა ადგილას გადავიდოდა, ერთი ორი ჩემოდნის გარდა არაფერს
წაიღებდა, ისიც აუცილებელს, არავითარ ზედმეტს არა. ჭუჭყიან პერანგს
გასარეცხად არავის მისცემდა, გაღზავდებდა, რადგანაც ახლის ყიდვა გა-
ცილებით საინტერესოა და ადვილიც. ასევე იხმარდა კოსტუმებსა და ფეხ-
საცმელებსაც. ჩემოდანში კი უბის წიგნაკები, ქალაქები და სხვა შეჩვე-
ული წვრილმანები ექნებოდა.

— როგორც თქვენი საფერფლეა, არა?

— სწორედ.

ხუმრობის კილოთი ლაპარაკობდა, მაგრამ ვფიქრობ, ამ ხუმრობის დი-
დი ნაწილი სიმართლე იყო.

ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ბუნინები ყოველთვის ბანაკად
ცხოვრობდნენ, სხვის ავეჯსა, სურათებსა, ფარდებს, ჭურჭელსა და ლამ-
პებს შორის. საკუთარი მხოლოდ ტანსაცმელი, ქვეშაგები და უცხოური
ჰოტელების იარლიყებით აჭრელებული ორი ინგლისური ტყავის ჩემოდანი
ჰქონდათ.

ბარემ ამ იარლიყებზეც ვიტყვი.

ერთხელ რომ შევეკითხე, რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას
ეკუთვნოდა, ბუნინმა მიპასუხა:

— ო, რა სისულელეა ეს მიმდინარეობები! რად არ მნათლავდნენ კრი-
ტიკოსები: დეკადენტად, სიმბოლისტად, მისტიკოსად, რეალისტად, ნეო-
რეალისტად, ღვთისმადიებლად და ნატურალისტადაც. ვინ იცის, კიდევ რა
იარლიყი არ მომაწებეს, ასე რომ ბოლოს და ბოლოს მსოფლიოშემოტარე-
ბულ, ჭყეტელა იარლიყებით აჭრელებულ სკივრს დავემსგავსე. მაგრამ განა
ამას ოდნავ მაინც შეუძლია ახსნას ჩემი არსი, როგორც მხატვრისა? არა-
ვითარ შემთხვევაში! მე — მე ვარ, ერთადერთი, განუმეორებელი — რო-
გორც ყველა მიწაზე მცხოვრები ადამიანი — ესაა საკითხის მთელი

არსი. — მან ცერად გამომხედა, „ჩეხოვისებურად“, — თქვენც ასეთივე ხვედრი გელით, მოწყალეო ხელმწიფევ. ჩემოდანივით აგაჭრელებენ იარლიყებით. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა.

ბუნიინს საშუალება ჰქონდა მისთვის სახითათო ოდესიდან უცხოეთს გამგზავრებულებიყო, მით უმეტეს, რომ, როგორც მოგახსენეთ, ძალზე უყვარდა სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში ხეტიალი. ოდესაში კი გაეჩხირა. არ უნდოდა ემიგრანტობა, არ უნდოდა მთლად მოწყვეტოდა სამშობლოს. ჯიუტად ჰქონდა საოცრების იმედი — იმედოვნებდა ბოლშევიკების აღსასრულს, საბჭოთა ხელისუფლების დანგრევას და კრემლის ზარებით აგუგუნებულ მოსკოვში დაბრუნებას. როგორ მოსკოვში? ძველებურ, შერვეულ მოსკოვში? არა მგონია, ეს ნათლად ჰქონოდა წარმოდგენილი. ალბათ ამიტომ დარჩა ოდესაში, როცა ცხრამეტი წლის გაზაფხულზე წითელი ჯარის ნაწილებმა დაიკავეს იგი და რამდენიმე თვით საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

ამ დროისათვის ბუნიინს უკვე ისე ჰქონდა გატეხილი სახელი მისი კონტრევოლუციური შეხედულებებით, შეეძლოთ ულაპარაკოდ დაეხვრიტათ და ალბათ დახვრეტდნენ კიდევ, თუ რომ მისი ძველი მეგობარი ოდესელი მხატვარი ნილუსი არა. იგი იმავე სახლში ცხოვრობდა, სადაც ბუნიინები იდგნენ, „ჩანგას სიზმრებში“ აღწერილ სხვენზე, ოღონდაც უბრალო სხვენზე კი არა, „თბილ, სიგარის სურნელით ავსილ, ძველი ავეჯით, ხალიჩებით, სურათებითა და ფარჩებით მორთულ სხვენზე“.

აი, ამ ნილუსს რომ არ გამოეჩინა საოცარი ენერჯია — არ ედებემა მოსკოვში ლუნაჩარსკისთვის, ლამის დაჩოქილს არ ევედრა ოდესის რევკომისათვის — არავინ უწყის, რით დამთავრდებოდა საქმე.

ასე იყო თუ ისე, ნილუსმა მიიღო საგანგებო, ეგრეთ წოდებული „შეუვალობის სიგელი“ ბუნიინის ქონებასა და პირად ხელშეუხებლობაზე. იგი ჭიკარტებით მიაკრეს კნიაჟევსკაიას ქუჩაზე ცალკე მდგომი სახლის გალაქულ, მდიდრულ კარს.

...სახლს შეიარაღებული მეზღვაურებისა და ჯარისკაცების საგანგებო რაზმი მოუახლოვდა. ვერა ნიკოლაევნამ ლურჯი საყელოები და გაღელილი ყვითელი მოკლე ქურქები რომ დაინახა ფანჯრიდან, უხმოდ ჩაიკეცა კედელთან და გონება დაკარგა. ბუნიინმა კი ქუსლების ბრაზიანი პაკაპუკით გაიარა მოპრიალეებული პარკეტი, კართან მივიდა და ზღურბლთან გაშეშდა, უკან წაიღო მთელი ძალით მომუშტული ხელები, წვერი აუცახცახდა, ფერდაკარგული პირისახე დაედრიცა და თვალები რისხვით აეხსო.

— თუ გაბედავს და ვინმე გადმოაბიჯებს ჩემი სახლის ზღურბლს... — ებები აუთამაშდა, მოყვითალო, მაგარი კბილები გააშიშვლა და კი არ დაიყვირა, საოცარი ღრატუნით თქვა, — პირველსავე კაცს საკუთარი კბილებით გამოვლადრავ ყელს, მერე თუნდაც მომკლან! სიცოცხლე აღარც მინდა!

მაშინვე გამახსენდა მისი სტრიქონები: „მეც წამიყვანეთ ჯანდაბას და დანით დამკალით, არადა ყელში გეცემით და დაგლრღნით კბილებით“.

გამახსენდა და შეეძრწუნდი, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. რაზმელებმა საბჭოების ბეჭდიანი შეუვალობის სიგელი წაიკითხეს და გაოცდნენ. ვილაცამ ჩუმად რევკომსაც კი შეუკურთხა, მაგრამ მათთვის

წმიდათაწმიდა საბჭოთა ხელისუფლების დადგენილების წინააღმდეგ არ წავიდნენ და ჩუმად გაუყვნენ დადუმებულ უკაცრიელ ქუჩას, უხმოდ ჩაუარეს თეთრი აკაციის ნაზამთრალ ტოტებს, დამსკდარი, მორუხო-მომშავო ქერქიდან ნაზი. მოყვითალო ლაფანი რომ გამოუკრთოდათ.

მთელი ამ სცენის დროს მე ფანჯრიდან ვიხედებოდი. ფანჯრის გარეთ ჩემსა და საგანგებო რაზმელებს შორის ვერცხლისწყლის ბურთულიანი დიდი თერმომეტრი ეკიდა. მის შუშაში კი თითქმის გაზაფხულის ჩახჩახა, მაგრამ მაინც ოდნავ დანიშლული მზე ირეკლებოდა.

უცბად თვალი მოვკარი და მაშინვე ვიცანი ის გოგო, კოვალევსკის აგარაკზე რომ აღვწერე ხუთი წლის წინათ ბუნინის რჩევით.

ახლა ის ჩვიდმეტი წლისა იყო; ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს შორის იდგა, სალდათური მოკლე ქურქი გადაეღულა, თეთრი ციმბირული მალახაი გაოფლილ შუბლიდან კეფაზე გადაეგდო და შეუვალობის სიგელს კითხულობდა. პატარა ხელი შაშხანისათვის ჩაევლო, პირი მოეკუმა და ნიკაპი ფეხსაცმლის ჭვინტივით გამოეწია წინ. შავგვრემან სახეზე კი მთვარისებრ უბრწყინავდა ვიწრო, ავი და ამავე დროს მომაჯადოებელი, მაცდუნებელი თვალები.

ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ის თავისი კოხტა, მოკლე შაშხანით დამემუქრა, — მისთვის მე კონტრრევოლუციონერი ბუნინის ბინაში მყოფი, მისდამი მტრულად განწყობილი უცნობი ახალგაზრდა ვიყავი.

ჩვენ ისევ დაკვარგეთ ცოტა ხნით ერთმანეთი, ცხოვრება კი, წამით რომ ჰიუგოს წიგნის ფურცლად იქცა, ისევ თავისი გზით წავიდა.

საოცარია, ცოტა ხნის შემდეგ, როცა ისევ შევხვდით ერთმანეთს, უცბად ველარც ვიცანი.

დაიწყო შრომითი, საორგანიზაციო პერიოდი, — ვწერდი მე ცხელ-ცხელი ამბების კვალდაკვალ „სამოქალაქო ომის ჩანაწერებში“.

„ქალაქში დარჩენილებს ბოლშევიკების ახალმა ხელისუფლებამ ნება მისცა შეგროვილიყვნენ და კოლექტიურად ემსჯელათ, როგორ მოეწყოთ თავიანთი ცხოვრება. ეგრეთწოდებულ „ლიტერატურკის“ დიდსა და, ჩემი აზრით, ლამაზად მორთულ დარბაზში, სადაც ცოტა ხნის წინათ ფრაკიანი ლაქიები ხავერდის ქურთუკიან ესთეტებსა და თვალებშელებილ მსახიობ ქალებს ემსახურებოდნენ, ახლა ბაზარზე ნაყიდი თუ მეეზოვის ოთახიდან მოტანილი გრძელი სკამები იდგა და ზედ აღელვებული, შეჩვეული კალაპოტიდან ამოვარდნილი ხალხი იჯდა, მეტწილად ჩრდილოეთიდან ლტოლვილები. ამ ხალხს უნდა გაერკვია თავისი დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებასთან, მათ შავი ზღვის ნაპირთან რომ წამოეწიათ“.

„ბუნინი კუთხეში იჯდა და ნიკაპით მსხვილი ჯოხის ბუნიკს და-
ყრდნობდა. გაყვითლებული, გაავებული და მოჭმუნული იყო. გახამებუ-
ლი ფერადი პერანგის საყელოდან ამოყოფილი კისერი დასჭიმოდა, შესიე-
ბული, თითქოს ნამტირალევი თვალები გამგმირავად იცქირებოდნენ. ად-
გილზე წრიალებდა და ისე აწვალებდა კისერს, თითქოს საყელო უჭერსო.
მეტისმეტად შეურიგებელი იყო. რამდენიმეჯერ წამოხტა და გულმოსულად
დაჰკრა ჯოხი იატაკს“.

დაახლოებით იგივეს წერდა შემდეგში ოლეშაც:

„...მსახიობების, მწერლებისა და პოეტების შეკრებებზე ჯოხს როცა
გვიკაკუნებდა ახალგაზრდებს და მართლა ავ მოხუცს ჰგავდა, მხოლოდ
ორმოცდამორი წლისა იყო თურმე. თუმცა იგი ხომ მართლაც მოხუცი იყო
მაშინ! კიდევ მეტი: გაძვალტყავებული ავი, ბებერი პაპა გახლდათ!“.

ოღონდაც ოლეშა ცდებოდა. მაშინ ბუნინს ცოტა უკლდა ორმოცდა-
ათს. მაგრამ მთავარია არა ასაკი, არამედ ამ ასაკით მოხდენილი შთაბეჭ-
დილება. მეც ხომ იგივე შთაბეჭდილება დამრჩა. ნამდვილად ავი ბებერი
იყო მაშინ ბუნინი.

ახალგაზრდები კი, ვისაც ჯოხს გვიკაკუნებდა, ჩვენ ვიყავით: ბაგ-
რიცკი, ოლეშა, მე...

მაშინ ჩვენზე რაღაც გაოცებითა და შიშით ლაპარაკობდნენ ქალაქში: —
ოჰ, ეს სამეულიო!

მე ისევ დავდიოდი ბუნინთან, თუმცა ცხადი იყო, ჩვენი გზები
თანდათან იყრებოდა. ისევ ძლიერად მიყვარდა იგი. არ მინდა დავუმატო,
მიყვარდა-მეთქი, როგორც შემოქმედი. მე მიყვარდა იგი მთლიანად, რო-
გორც ადამიანი, როგორც პიროვნება. ვერ ვგრძნობდი, რომ ჩემდამი გული
გაუცივდა, თუმცა იმას კი ვამჩნევდი, რომ უფრო ხშირ-ხშირად მაშტერდე-
ბოდა. თითქოს უნდოდა ამოეცნო რევოლუციით დაავადებული თანამედ-
როვე ახალგაზრდის მისთვის ბუნდოვანი სული, ამოეკითხა მისი ყველაზე
სანუკვარი ფიქრები.

ბუნინი ხანდახან წვრილმანებზეც შარიანობდა. ერთხელ, მაგალითად,
შემნიშნა, რომ ხელზე შანიან ოქროს ძეწკვს ვატარებდი სამაჯური-
ვით.

მოიღუშა.

— ეს რასა ჰგავს! ქალი ხომ არა ხართ, ოქროს სამაჯური რომ ატა-
როთ.

— ეს სულაც არაა ოქრო, — ვუპასუხე მე, — სპილენძია, მოოქრული.

— მით უმეტეს. ნამდვილი ოქრო რომ იყოს, კიდევ ჰო. მაგრამ ყალბი
ოქრო მთლად უმსგავსობაა. დაიმახსოვრეთ: ადამიანმა თუკი მორთვა გა-
დაწყვიტა — მხოლოდ ნამდვილი და არა ყალბი სამკაულები უნდა ატა-
როს... ეს რაღაა, ძეწკვზე რომ გიკონწიალებთ?

— ნამსხვრევია, თედოს თავიდან ამომიღეს, — ცოტა არ იყოს კვეხნით
ვთქვი, თუმცა მაინც გავწითლდი ყურებამდე.

ბუნინმა ამიწია ხელი და ხელისგულზე დაიდო გერმანული ჭურვის

ვალენტინ კატაევი

წვეტიანი ნატეხი. ზედ სამი ციფრი იყო ამობეჭდილი. თავში რომ მომხვედროდა, წამში გამაფრთხოვინებდა სულს. ყურადღებით დაათვალიერა ნამსხვრევი ყოველი მხრიდან და მკითხა:

— ეს სხეულში გქონდათ?

— დიახ, თქოს ზედა ნაწილში, — გავიმეორე კმაყოფილებით.

— მაშინ უბრალო ფოლადის ძეწკვზე გეტარებინათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. ამერიკული ოქრო კი, — ხაზგასმით თქვა მან, — თქვენი ნამსხვრევის ღირსი არ არის, მხოლოდ ამცირებს მას. მიაბზეთ, როგორ მოხდა? ოღონდ ნუ შეთხზავთ.

— რალაცამ მომისროლა, როცა გონს მოვედი, ვიგრძენი, ლოყა მიწაზე მედო და ზევიდან კი ბელტები მეყრებოდა, მტვრის ბული ასვეტილიყო და, რაკი აფეთქება ძალიან ახლოს მოხდა, თითქოს დამწვარი ცელულოზის სავარცხლის სუნი იდგა.

— რა გაეწყობა, ატარეთ, რახან გინდათ უფრო მდიდრად ჩაგთვალონ, ვიდრე სინამდვილეში ხართ, — დაფიქრების შემდეგ მითხრა ბუნინმა.

(გაგრძელება იქნება)



ტალი ჰაილარი

შენედე—ეს შენ ხარ!

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ლატვიურიდან თარგმნა უშანგი სახლთხუციშვილმა

ორი წელია, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. გასტონმა აკადემია დაამთავრა და რიგაში დაბრუნდა, მე კი ოდესაში წავიდი. შეიძლება კიდევ ორ წელს ვერ გვეინახა ერთმანეთი, სამხატვრო ჟურნალს ერთი რეპროდუქცია რომ არ გამოექვეყნებინა. შენედე — ეს შენ ხარ! — ასეთი წარწერა ჰქონდა ნახატს. ამისი დედანი არ მინახა, ჩანს, ბოლო დროს შეუქმნია გასტონს. გადაშლილ ჟურნალის ფურცელს დავყურებ და ვგრძნობ, რომ ვღელავ. ნახატი უცნობია ჩემთვის, მოუდელი კი — ნაცნობი. ეს ხომ ის არის, ის... სონდრა! მაგრამ თვალები?.. სონდრას ასეთი თვალები არა აქვს. სონდრა უსინათლოა. სამი წლის წინათ გავიცანი იგი. მე და გასტონი უსინათლოთა დაბაში მიგვიწვიეს. ქალიშვილებში ყველაზე ლამაზი სონდრა იყო. გრძელი, სწორი წაბლისფერი თმა მხრებზე, ჰქონდა გადმოყრილი. აი ასე, გასტონს რომ დაუხატავს. მოგრძო სახე, ჰქონდა, მეტად ნაზი, ხავერდოვანი და შეუქმოსილი. ახლაც ჩამესმის მისი ხმა: წყნარი, წკრიალა, უმანკო. მის ბაგეს მოწყვეტილი სიტყვები ბროლის ჭურჭელში ჩამდინარე წყლის წვეთებივით რაკრაკებდა. მოგისმენიათ ასეთი რამ? შეჭველად მოისმინეთ!

მას შემდეგ მხოლოდ რამდენჯერმე ვიყავი სონდრასთან, ისიც შემთხვევით. გასტონმა კი მოუხშირა იუგლაზე სიარულს. და ერთ საღამოს, როცა ორივენი მის სახელოსნოში ვისხედით და ღვინოს ვსვამდით, გასტონი გამომიტყდა:

— მინდა, რომ სონდრამ ჩემთან იცხოვროს. არ გიკვირს? მით უკეთესი. ყველაფერი ავწონ-დავწონე, მაგრამ გონების ყველა მოსაზრებამ პირველ შეტაკებაზევე დაყარა ფარ-ხმალი უგუნური ვნების წინაშე. ვნებისა გწამს რამე? მე მწამს. ეს სიტყვა ლაქლაქა ფილისტერებმა გაცვიოთეს, ენათმეცნიერებმა

კი თავიანთ ლექსიკონებში ორაზროვნების დამლა დაადეს. შეგიძლია მითხრა, რით განსხვავდება ვნება სიყვარულისაგან? არ შეგიძლია? მაშ მე გეტყვი და, თუ ვინმე ენათმეცნიერი შეგხვდეს, იმასაც განუმარტე. სიყვარული სითბოა, მზე, ზაფხულის ნაყოფი. ვნება კი — ალია, ის წვავს, აღნობს, სპობს და ხელახლა ქმნის. წვავს ტკივილით, სპობს ტკივილით და ხელახლაც ტკივილითვე ქმნის. სწორედ ამიტომ მოითხოვს იგი თავდავიწყებას, ყველაფრის შეწირვას, ყველაფრის!..

გასტონმა კიდევ ბევრი რამ მითხრა. ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ერთად გატარებული ზაფხული და ჩვენი უკანასკნელი ზანგრძლივი საუბარი. გასტონს ერთი კვირის შემდეგ სადიპლომო უნდა დაეცვა. სახელოსნოში ბინდი ჩამოწვა. მინის კედელზე სხივები გადმოაბნიეს ვარსკვლავებმა. ასეთია ივნისის აფორიაქებული საღამოები. მანქანებიც კი, მოკირწყულ გზაზე რომ დაჰქრიან, პაწაწკინტელა ვარსკვლავებს ჰგვანან. გასტონი კიდევ დიდხანს მელაპარაკა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ეს იყო მისი ყველაზე ლამაზი გაზაფხული.

თვალეები! სონდრა იყურება და ხედავს. და ეს თვალეები გასტონს მიუტყია მისთვის. ვნებამოძალეებული ადამიანი ყველაფერს თმობს, ყველაფერს, რადგან ეს გასტონის თვალეებია. გესმით? გასტონის თვალეები, გასტონის! ნათელი, როგორც თოვლი მთვარის შუქზე; ლურჯი, როგორც ზღვა თაკარა მზეზე! ყურნალი მხოლოდ ქალაღდის ფურცლებია, საღებავია, ასოები. უსულო სიცოცხლის აჩრდილია, გაყინული, დაბალზამეებული! სამი დღე მაქვს თავისუფალი, ორსაც გამოვნახავ და რიგაში გავფრინდები. მინდა გასტონს შევხვდე, სონდრაც ვნახო. არ გამიკვირდება, თუ უკვე სასწაული მოხდა. მინდა შევიარო სახელოსნოში, სადაც ეს ნახატი ინახება. ეს არაა ჩვეულებრივი სურათი, და არც მხოლოდ მხატვრული ნამუშევარი. ეს ვნებაა! აი ასე წარმომიდგენია თავდავიწყება! მინდა საკუთარი თვალთ ვნახო, ვიგრძნო. ამ ქალაღდისა არაფერი მჯერა. გასტონი არავის დაუთმობდა თავის ნახატს. მისი ადგილი შინაა, სახელოსნოში, ტაძარში!..

მაინც რა მოხდა? რომ დაქორწინებულიყვნენ, გასტონი დამპატიყებდა. ჩანს, არ დაქორწინებულან. ამ ბოლო დროს გასტონს სონდრაზე არაფერი მოუწერია, არც მე მიკითხავს.

ახლავე გავემგზავრები.

საკვირველია, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც მემართება. იქნებ მეჩვენება? შესაძლებელია, რადგან კაცმა წინასწარ როდი იცის, სად რა მოეჩვენება, ან რა დაემართება.

მივფრინავ. ოთხ საათში რიგაში ვარ. ავტობუსს ქალაქში ჩავყავარ. პარკის განაპირა სკამზე ვჯდები, რათა დავრწმუნდე, რომ კვლავ შინა ვარ. ისევ ზაფხულის საღამოა. მზე იწურება. ისევ და ისევ იწვიან ცაზე ვარსკვლავები. არა, ეს მხოლოდ მოჩვენებებია, ჰალუცინაცია.

ჩემი ბარგი პატარა ჩემოდანია მხოლოდ. ხელში ვიღებ და მივდივარ. ხალხი დინჯად დასეირნობს. მე კი... ჯერ შინ წავიდე? მიეხომ რიგაში ბინა მაქვს. იქ ახლა ჩემი ძმა ცხოვრობს. ჩემი ოთახი მელოდება, ჩემი ოთახი, ჩემი წიგნები და ძველებური „სოფა“. ახლა იშვიათად ნახავთ ასეთ „სოფას“. დედის დანატოვარია, ამიტომაც ვუფრთხილდები. შეგიძლია ზედ ჩამოჯდე და ოცნებაში ჩაიძირო.

ტაქსი! მწვანეთვალა! ბიჭი აჩერებს და მივდივართ.

— საით?

— მხატვარ გასტონ ივეს იცნობთ? — ვეკითხები. ტაქსში ყველაფრის კითხვა შეიძლება.

— ვიცნობ, — ბიჭი მეტად სერიოზულია. — შორიდან ვიცნობ. მისი სურათებიც მინახავს.

— მასთან წავიდეთ. გასტონ ივე ჩემი მეგობარია. თუმცა ჯორჯილი არ შემატყობინა იმ უსინდისომ.

— ალბათ ცუდი მეგობარი ხართ, — მიძლოს მზადა აქვს პასუხი, თანაც ლოგიკური. ამაზე არ მიფიქრია. იქნებ მართლაც ცუდი მეგობარი ვარ?

სახელოსნო დაკეტილია. ბოქლომი ადევს. კარზე ვაკაკუნებ. არ მპასუხობენ. ზარს ვრეკავ. გასტონის მამა გამოდის. „ოჰ! სამხრეთელო, ჩამოხველი?“ მხიარულად ვხვდებით ერთმანეთს. ოთახში შევყავარ. ვჯდები. ჩემოდანს იქვე ვდებ. „კონიაკი? თუ ბალზამი მოგართვით? შეხვედრის სადღეგრძელო იყოს!“ გასტონის მამა გულთბილი კაცია. ძალიან ჰგავს გასტონს. მაგრამ თვითონ გასტონი სადღაა?

— დახეტილობს. ტივით დასეირნობს გაუიაზე. ზუთ დღეს მაინც ვერ ჩამოვა.

— ცოლი არ შეურთავს?

— რას ამბობთ... ვინ გამოჰყვება!

სონდრაზე არაფერს ვეკითხები.

გასტონი მხოლოდ ზუთი დღის შემდეგ დაბრუნდება შინ. მანამ მე ისევ ოდესაში უნდა ვიყო. ამაღამ რა გავაკეთო? დავრჩე აქ და კონიაკი ვსვა?

— იცით რა, მე წავალ, გავისეირნებ. მოკითხვა გადაეცით გასტონს. არა, გთხოვთ, ნება დამართოთ, სახელოსნოში შევიდე.

მოხუცი ილიმება. ეტყობა მიმიხვდა. მე სომ გასტონის ძველი მეგობარი ვარ. გასაღები სამზარეულოში ჰკიდია, მოხუცი იღებს გასაღებს და სახელოსნოსაკენ მივდივართ.

— ღრჭიალებს. ჯერაც არ გაუზეთავს იმ ზარმაცს... — ამბობს მოხუცი, ოთახში შედის და შუქს ანთებს.

— არ არის...

— რა მოხდა? — კითხულობს მოხუცი.

— არაფერი..

სურათი არ არის.

ისევ ქუჩა. შუქი. რიგას ზაფხულის თბილი ცა გადმოჰყურებს. გაუიაშიც უეჭველად თბილი იქნება წყალი, გასტონის კარავი კი კოლოებით გამოტენილი. ახია იმაზე! მაგრამ ამაზე ფიქრს ახლა რა აზრი აქვს? ალბათ სულელი ვარ...

ახლა კი შინისაკენ მივდივარ. ძმასაც უხარია ჩემი ნახვა. გემრიელ ვახშამს შევექცევით. დიდხანს ვსაუბრობთ. კარგ გუნებაზე ვართ. მაგრამ მე მაინც ვერ ვშვიდდები. ჩემოდანში ჩადებული ჟურნალი მოსვენებას არ მაძლევს. ჩემოდანს ვხსნი და ჟურნალს ვიღებ. „შეხვედრე — ეს შენ ხარ!“...

— ეს ნახატი გინახავს? — ვეკითხები ძმას.

— არ მინახავს. გასტონს საერთოდ არ შეეხვედრივარ. ამბობენ, ბევრს მუშაობსო, ყელამდეაო ჩაფლული...

— ჰო, სილაში, მდინარის პირას...

გადარეულებმა ალბათ საზღვარი არ იციან. ვახშამზე მადლობა მოვახსენე ძმას და ვუთხარი, ქალაქში სახეტილოდ მივდივარ-მეთქი.

ძმა ყველაფერს მიმიხვდა. იცის, რომ დიდი ხანია რიგაში არ ვყოფილვარ და გული გარეთ მიმიწევს.

ისევ ტაქსი! მწვანეთვალა!

— საით, ბატონო? — კითხულობს.

— იუგლაზე...

გადარეულებმა საზღვარი არ იციან. თუ სულელებმა? რა განსხვავებაა? იუგლა შეცვლილა. ახალი სახლები წამოუჭიმავთ. ხეები დაურგავთ. ძველი პარკი ისევ ისეთია. უკანასკნელად როდის ვიყავი აქ? ორი წლის წინათ. მგონი, უფრო ადრე. გვიან კი მოვედი ამ საღამოს. უხერხულია... მაგრამ ვის არ აცთუნებს ვარსკვლავებით მოჭედული ცა. კარგი ერთი, ნუ ფილოსოფოსობ! გაახსენდები, გიცნობენ და სტუმრად მიგიღებენ. სტუმარს გარეთ ხომ არ გამოაგდებ, თუნდაც შუაღამისას. თუმცა ჯერ - სადაა დაღამება. სონდრა რომ არ დამხვდეს შინ? იქნებ სულაც აღარ ცხოვრობს აქ?

ცხოვრობს.

კარს დედამისი მიღებს. ოჯახში სამინი არიან: მამა, დედა და სონდრა. დედა მაშინვე მიცნობს. მამა ვერ მიხსენებს. ცოტა უკმაყოფილო ჩანს. ალბათ სწყინს, ასე გვიან რომ ესტუმრნენ. სონდრა თავის ოთახში რადიოს უსმენდა. ჯერ არ დაწოლილიყო. დედამისმა კარი შეაღო.

— სტუმარი მოგივიდა, შვილო.

— სტუმარი? — უკვირს.

— საღამო მშვიდობისა, — ვესალმები.

ქალიშვილი დუმს. ფიქრებშია ჩაძირული.

— მშვიდობა მოგცეს, — მოგვიანებით მპასუხობს.

როცა ჩემი სახელი და კიდევ რამდენიმე უაზრო წინადადება ვუთხარი, სონდრამ სკამი შემომთავაზა. მე სკამზე ვჯდები, სონდრა დივანზე.

— ჩაი აგიდულოთ? — გვეკითხება თავაზიანად სონდრას დედა. თავს უხერხულად ვგრძნობ, ვეუბნები, ნუ შეწუხდებით-მეთქი და კიდევ რამდენიმე უაზრო წინადადებას ვლულულულებ: უკაცრავად, რომ ასე გვიან გესტუმრეთ-მეთქი და კიდევ რაღაც ამის მსგავსს.

— აადულე, — ეუბნება სონდრა. დედა იღიმება და გასვლისას კარს ხურავს. ალბათ რაღაცას ხვდება. დედები ხომ ყოველთვის ხვდებიან.

ღმერთმანი, არანორმალური ვარ! ამ უდროო დროს რა ეშმაკი მომარბენინებდა? მე შენ გეტყვი და აღარ გათენდებოდა! საინტერესოა, ახლა ესენი რას ფიქრობენ ჩემზე?

— როგორც კი ფეხი შემოდგით, მაშინვე გიცანით.

კი მაგრამ, რატომ არ შეიძინია?

უხერხულად ვარ. უცხო დედაბერს მიბარებული ჩვილივით ვზივარ. რა ვთქვა, არ ვიცი. გაუწმენდავ აკვარიუმს მიგავს თავი. თითქოს შიგ მიბუყბუყებულ რაღაც სქელი, დუბელა სითხე და ამ სითხეში სიმყავისაგან დაოსებული ლიფსიტები ყურყუმელაობენ. რა გეხუმრება! მორჩი ოინბაზობას! შენ ხომ ქალიშვილთან მოხვედი! ნაცნობ ქალიშვილთან! სონდრასთან!.. ჰო, ეს სონდრაა. ისევ სონდრა! მადონა... სწორი, გრძელი თმა აქვს. ხედავ მის

თვალეზს, გასტონის თვალეზს. რა გემართება, ღმერთო ჩემო... გონს მოდი!..

— დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს. როგორ ბრძანდებით? — სონდრა ჩემზე უფრო საზრისიანია, რაღაცას მაინც მიეკითხება.

— კარგად.

უფრო სულელურს ალბათ ვერც ვიტყვოდი. საკუთარ თავზე მომდის ბრაზი. თუმცა გაბრაზებულ კაცს ჭკუა არ მოეკითხება.

— ოდესაში ვცხოვრობ ახლა. ხელშეკრულების თანახმად კიდევ ერთ წელს დავრჩები. დღეს გასტონთან ჩამოვედი სტუმრად. მაგრამ მეგობრის ამბავი მოგეხსენებათ... ესტუმრები და შინ არ დაგხვდება. მერე თქვენ გამახსენდით და აქეთ გამოვწიე. თქვენ როგორღა ბრძანდებით? საკუთარ თავზე საუბარი თუ არ გსურთ, გასტონზე მაინც მითხარით რამე...

დუმილი.

— ჩემზე... რატომ არა? — მცირე ხნის შემდეგ ამბობს სონდრა თითქოს დაცინვით.

— გარეთ შესანიშნავი საღამოა, აქ კი ცხელა. შეიძლება პიჯაკი გავიხადო?

— რა თქმა უნდა! განა მაგას ნებართვა სჭირდება?

— მაინც...

— სარკმელს გამოვალე.

სარკმელთან მიდის. ვხედავ მის წერწეტა, ქალწულის ტანს. არა, ქალის... „უნამუსო ხარ! — საკუთარ თავს შევუკურობ. — გასართობად მოხვედი?“ თუმცა არა მგონია, უნამუსო ვიყო. სონდრა მართლაც ულამაზესი ქალიშვილია, ქალი... — სარკმლიდან ღამის სურნელი იფრქვევა, — ამას სონდრას ვეუბნები და ვუმატებ: კარგი იქნება, ახლა გარეთ გასვლა და ტბასთან სეირნობა-მეთქი.

— გასეირნება გსურთ? — ისე მიეკითხება, თითქოს არა სჯერაო ჩემი.

— კი.

— წავიდეთ. საღამოობით ხშირად ვსეირნობ ხოლმე მარტოკა... კარგია ღამით გარეთ ყოფნა.

თავსაფარს იღებს და მივდივართ. სონდრას დედას ვეუბნებით, ჩაის მოგვიანებით დავლევთო. ძალიან სიმპათიური დედიკო ჰყავს. ის მხოლოდ თავს გვიქნევს და ზღურბლამდე გვაცილებს.

ბილიკს მივყვებით სანაპირომდე. მდიულო ნამიანია.

— რისთვის მოხვედით ჩემთან?

აი კითხვა, რომელსაც ველოდი. სხვანაირად ჩვენს სეირნობას აზრი არ ექნებოდა. ასეთ დროს უმიზეზოდ არ ესტუმრებიან ხოლმე. რა ვუპასუხო? რა ვქნა? სიმართლე ხომ მაინც უნდა ვუთხრა. სხვასთან შეიძლება იცრუო, სონდრასთან კი — არავითარ შემთხვევაში.

— ჰო, რისთვის? თქვენ ხომ გასტონთან ჩამოხვედით სტუმრად...

— თქვენი ნახვაც მინდოდა.

ასეთ გულახდილ საუბარს არ ვაპირებდი, მაგრამ წაცდენილ სიტყვას უკან ვეღარ დაიბრუნებ.

სანაპიროს მივყვებით. ვდუმვართ. ვუსმენთ უკან ჩამოტოვებული ქალაქის ხმაურს და ტბისპირა ნოტიო სურნელს ვისუნთქავთ.

— რატომ არ გინდათ სიმართლე, მითხრათ?

— ეს სიმართლეა, სონდრა, თქვენი ნახვა მართლაც მინდოდა...

ტალი ვაილარი

— გასტონმა გამოგზავნათ?

— არა!

ამას რატომ მეკითხება? ისე გამიკვირდა, რომ, მგონი, დარწმუნდა ჩემს სიმართლეში. და მაინც რას ნიშნავს ასეთი კითხვა?

— არაფერი ვიცი, სონდრა. თქვენ ორივენი ხომ... გასტონს ამ ბოლო დროს თქვენ შესახებ არაფერი მოუწერია. თითქმის ერთი წელია, ერთმანეთს არ შეეხვედრივართ.

— არც ჩვენ გვინახავს ერთმანეთი.

— რატომ? — ისევე სულელური კითხვა.

— რატომ?.. გულახდილად შემიძლია იტყვიან. თქვენ ხომ გასტონს ყველაზე ახლობელ მეგობრად მიაჩნებართ. ალბათ ასეც არის. თქვენზე ბევრს შელაპარაკებოდა. და მეც მინდა, რომ ერთმა კაცმა მაინც იცოდეს და გამიგოს, თუ რატომ დავშორდი. მისმინებ? ამას რაღა კითხვა უნდა... თქვენ ხომ მხოლოდ ამისთვის მოხვედით ჩემთან.

უარყო?

— სონდრა, თქვენ დამცინით, მაგრამ დამერწმუნეთ, მე თვითონაც არ ვიცი, რისთვის მოვედი თქვენთან. ნუთუ არ გჯერათ ჩემი?

— მჯერა. ორივესი მჯერა. შეიძლება რაღაც არ მესმის ამ საღამოს, მაგრამ მთავარი ეს არ არის. იქნება კარგად, რომ მესტუმრეთ. იცით, მე მშურს, რომ ასეთი კარგი მეგობრები ხართ. მე არ მყავს ასეთი დობილი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ძნელია, როცა დობილი არა გყავს.

ისევე ეჭვი შემეპარა. განა საჭირო იყო ასეთი საუბრის წამოწყება? ჩანს, ყველაფერს ღრმად აქვს ფესვები გადგმული. ქალიშვილს უნდა, რომ გენდოს. გესმის შენ, ცნობისმოყვარე, ეს რას ნიშნავს? ჯერ გასტონი უნდა გენახა. ეს აჯობებდა. ახლა რა გამოდის? რიგაში ჩამოხველ და... რაც უნდა, ის იფიქროს! ახია მასზე!

— თქვით.

— შეიძლება ყველაფერი უცნაური მოგეჩვენოთ და გაგიკვირდეთ კიდევ. ოღონდ, ძალიან გთხოვთ, ეს საუბარი მხოლოდ აქ, ამ ტბის პირას დარჩეს.

— მე...

— არაფერი მიბასუხოთ. იყურეთ და მომისმინეთ: მე გენდობით, ისიც ვიცი, რასაც ვაკეთებ. მე გასტონი მიყვარდა. ჩემს სიცოცხლეში მსგავსი ჯერ არაფერი განმიცდია. ვფიქრობდი საკუთარ თავზე, ვფიქრობდი გასტონზე. მზად ვიყავ ყველაფერი მიმეცა მისთვის, ყველაფერი. სამაგიეროდ არაფერი მინდოდა. გასტონიც ამასვე მეუბნებოდა. თითქმის ყოველ საღამოს ვხვდებოდით. თეატრში დავდიოდით. სასაცილოა?.. შეიძლება... კინოშიც დავდიოდით. მე ასე მინდოდა. გასტონი ჩურჩულით მიყვებოდა იმას, რაც ეკრანზე ჩანდა. ჩემთვის ყველაფერი გასაგები იყო. მისი თვალებით ვხედავდი ყოველივეს, გასტონის სახელოსნოშიც ბევრჯერ ვყოფილვარ. ის თავის ნახატებს მიჩვენებდა... მე ვთხოვე ეს. მიჩვენებდა და მესაუბრებოდა. ამაზე დიდი ბედნიერება არა მგონია რამე იყოს ამ ქვეყანაზე. ყველა მისი ნახატი ვიცი, სასწავლო ალბომიც კი. გამოფენაზეც ვყოფილვარ. — ხელი მომეცით, ასე უფრო მეადვილება. — შემდეგ გასტონმა მთხოვა, ერთად გვეცხოვრა, მეტი სიახლოვე სჭირ-

დებოდა. მე კი ამისი მეშინოდა. ამას ხელის თხოვნას ეძახიან. მე ბედნიერი ვიყავი. ასე შეგონა, ყველაფერი ამისრულდა-მეთქი. შეიძლება სავსებით არა, მაგრამ თითქმის... გასტონს კი უფრო მეტი უნდოდა, ყველაფერი სურდა... პასუხი არ გამიცია. ერთი კვირის შემდეგ ვუთხარი, არა-მეთქი.

— რატომ?

— იყურეთ. ხელი რატომ შემიშვით? ყველაფერს იმიტომ გიყვებით, რომ მსურს საკუთარი თავი გამოვცადო. გასტონი ხელოვანია. მე ვხედავ მის ნახატებს, მაგრამ არ შემიძლია ვუთხრა, რომელი უფრო მომწონს. მუდამ ვეჭვობ, შედარება არ შემიძლია. მე მხოლოდ ის ვიცი, რასაც გასტონი მეუბნება. ადამიანს განა ყველაფრის თქმა შეუძლია? მე რჩევას ვერასოდეს ვერ მივცემ. არადა, ეს აუცილებელია. ჩვენ ერთად ვიქნებით. ის შემხედავს, მე კი ვერ დავინახავ მას. ის იმრომებს, მე კი მხოლოდ დაველოდე. ქალისგან მას ბევრი რამ სჭირდება, ცოლისაგან კი — უფრო მეტი და ამას მე ვერ შევძლებ. და ბოლოს გასტონი უბედური იქნება. ორივენი უბედური ვიქნებით. ისიც ვიცი, რასაც ფიქრობდა. ორჭოფობდა, საკუთარ თავს ებრძოდა. რა თქმა უნდა, არაფერს ამბობდა, მაგრამ მე ვხვდებოდი. ამიტომაც დავეხმარე და უარი ვუთხარი. განა თქვენ სხვანაირად მოიქცეოდით?

— მან ხომ თქვენ დაგხატათ?

— ვიცი.

— სურათი სადაა?

— დედაჩემის ოთახში.

— თქვენთვის არ მოუცილა?

— დედაჩემს მისცა.

— და თქვენ იცით, რომ...

— ვიცი, სურათში გასტონის თვალები მაქვს.

— და მაინც არ გჯერათ მისი?

— მჯერა, თავადაც სურს, ასეთი მიხილოს.

ქალიშვილის ხელი ისევ ჩაცურდა ჩემი მკლავიდან. სონდრა შეჩერდა. მყუდროებას ნიჩბების ხმაური არღვევდა.

— მჯერა მისი. გასტონსაც ასე გადაეცით, ოღონდ დღეს არა, არც ხვალ, ოღესმე, დიდი ხნის შემდეგ. ხომ შემისრულებთ?

ნავი ნაპირს უახლოვდებოდა. სადღაც აქვე იყო ნავსაბმელი.

— ვერ დაგპირდებით.

